N 6 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ციფრული ტრანსფორმაცია განათლებაში“



№6(109), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ეკატერინე ხუციშვილი,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
თემურ სუყაშვილი,
ქრისტინე სურგულაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
მაია ფირჩხაძე,
ლელა კოტორაშვილი,
ცირა ბარბაქაძე, მარიამ გოდუაძე,
ინა იმედაშვილი,
ნათია ნაფეტვარიძე,
მეგი კავთუაშვილი,
ლელა მანგოშვილი, ნესტან მიქაძე,
შორენა ტყეშელაშვილი,
ნასტასია არაბული,
დიანა ანფიმიადი, ირმა ტაველიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: Futurabook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა

რედაქტორის წერილში ერთ საინტერესო წიგნზე მინდა გესაუბროთ. წიგნზე, რომელიც ბესტსელერია და მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. წიგნი მანამ დაიწერა, ვიდრე დავიბადებოდი. თუმცა, მის შინაარსს აქტუალობა არ დაუკარგავს და მეტიც, იმდენად თანამედროვეა, კითხვისას, სურვილიც არ გიჩნდება, ჩახედო გამოცემის თარიღს. ჯონ ჰოლტის წიგნზე ვსაუბრობ, სათაურით – „რატომ მარცხდებიან ბავშვები?“ ავტორი, ბავშვებზე დაკვირვებით, იმ მიზეზებს ასახელებს, რომლებიც, სკოლაში სწავლის დროს, მათ წარუმატებლობას თუ მარცხს უწყობს ხელს.

ავტორის აზრით, ბავშვების მარცხს ძირითადად შიში, მოწყენილობა და დაბნეულობა განაპირობებს და მისი დაკვირვებით, წარუმატებლობა არასწორ სასწავლო სტრატეგიებს და იმ სასკოლო სისტემას ეფუძნება, რომელიც კლავს სწავლისადმი ბავშვის თანდაყოლილ სურვილს.

ჰოლტის მოსაზრებით, განათლების სისტემა ზედმეტად სტანდარტიზებულია და სრულიად დაცლილია იმ სიხარულისგან, რომელიც ადამიანს აღმოჩენისა და კვლევისადმი სწრაფვას უნდა შთააგონებდეს. მეტიც, მისი აზრით, სკოლები ხელს უწყობენ შიშის დამკვიდრებას – წარუმატებლობის შიში, დამცირების შიში, დაწუნების შიში უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის ინტელექტუალური ზრდის უნარზე.

მოწყენილობაც წარმატების დაბრკოლების წინაპირობაა, რომელიც თრგუნავს სწავლის მოტივაციას. სკოლები ბავშვებისგან ითხოვენ მოსაწყენი დავალებების შესრულებას, რომლებიც ბავშვთა მრავალფეროვან ინტერესებს და შესაძლებლობებს არ ესატყვისება და არ შეესაბამება ცალკეული ბავშვების ინტერესებსა თუ საჭიროებებს.

როცა თანამედროვე განათლების პარადიგმაზე ვსაუბრობთ, ვიცით, რომ ეს არ ნიშნავს წერა-კითხვის, მათემატიკის ან რომელიმე სხვა საგნის კონცეპტუალურ ცოდნაში დახელოვნებას. მოსწავლე აღარაა ყულაბა, რომელშიც ცოდნას აგროვებ და კმაყოფილი ხარ.

თანამედროვე სამყაროში, ციფრული ხელსაწყოებისა და ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, მოსწავლეს, თუ სურვილი აქვს, თავადვე შეუძლია მრავალფეროვანი გახადოს სასწავლო სივრცე და მისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც შეუზღუდავია. შეუძლია, ის ცოდნაც მიიღოს და უნარებიც გამოიმუშაოს, რომელიც სამომავლო ცხოვრებაში დასჭირდება.

მაშინ რატომ გავიხსენე ეს წიგნი? რატომ არ დაძველდა მისი შინაარსი?

ციფრული წიგნიერება

ინა იმედაშვილი

38 | წიგნი VS ეკრანი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა

თანამედროვე სამყარომ, ტექნოლოგიურმა გამოწვევებმა, საოცრად განვითარებულმა სოციალურმა ქსელებმა – ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები სერიოზული საფრთხისა და გამოწვევების წინაშე დააყენა.

გამოცდილება

ქრისტინე სურგულაძე

17 | სანამ კლასში შევალ: წინასწარი შფოთვის ამბავი

თანამედროვე კვლევების მიხედვით მასწავლებელთა საშუალოდ 40-50% მუდმივად განიცდის შფოთვას ან სტრესს. შფოთვა განსაკუთრებით ძლიერდება, როცა მასწავლებელი ემოციურადაა ჩართული სწავლების პროცესში, ცდილობს ყველაფერი გააკონტროლოს, შეცდომები თავიდან აირიდოს და ყველაფერი სრულყოფილად შეასრულოს.

ციფრული მოქალაქეობა

თემურ სუყაშვილი

13 | ხელოვნური ინტელექტი და მიკერძოება

AI-ის მიკერძოების შესახებ ცოდნა გვეხმარება, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. მნიშვნელოვანია, ნებისმიერი პლატფორმის გამოყენებისას ვიყოთ კრიტიკულები და ობიექტურად გავაანალიზოთ მოწოდებული ინფორმაცია.

რესურსი

თინათინ ზარდიაშვილი

19 | A, T, G, C და შოთა რუსთაველი – როგორ ჩაიწერა ქართული ეპოსი სიცოცხლის მოლეკულაში

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ ონლაინკოდირების მარტივი კალკულატორები (მაგ: ASCII to Binary Converter) და ETH ციურიხის კვლევების პოპულარული ვერსიები, რათა მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ დაინახონ, როგორ ხდება ნებისმიერი ტექსტის გენეტიკურ ენაზე თარგმნა.

მაია ფირჩხაძე

21 | სივრცე, ადამიანი, იდენტობა – მიდგომები მხარის/რეგიონის ცნების გააზრებისათვის „ჩვენი საქართველოს“ გაკვეთილებზე

ის აქტივობები, რომლებიც სტანდარტის მიზნის მისაღწევად სჭირდება მასწავლებელს, დაფუძნებული უნდა იყოს მხარეთმცოდნეობითი შესწავლის პრინციპზე და უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს მხარის/რეგიონის ისტორიული, სოციალური და სულიერი ერთობის აღქმასა და შემეცნებაში, რაც რეალურად საკუთარი ქვეყნის სიღრმისეული შესწავლის საფუძველია.

მარიამ გოდუაძე

34 | „ხეების სუნი აქვს კედის“: აუტიზმი, არომატები და ენის დარღვევა

აუტიზმის სპექტრის მქონე ზოგიერთი ბავშვი უსიამოვნო სუნს უფრო დიდი მანძილიდან შეიგრძნობს. ასეთი ბავშვის რეაქცია აუცილებლად იქნება თავის არიდება. ზოგი კი აქტიურად ეძებს ძლიერ სუნს იმ ადამიანებსა და საგნებში, რომლებიც მოსწონს.

ნათია ნაფეტვარიძე

41 | როგორ დავწეროთ ესე

ესეს წერის ტექნიკის დაუფლება არა მხოლოდ წერილობითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ბევრი სხვა ისეთი უნარის განვითარებასაც, რომელიც საჭიროა ზოგადი განათლებისა და შემდგომი კარიერისთვის.

პედაგოგიური პრაქტიკა

ნინო ლომიძე

7 | პედაგოგიური კონფერენცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობა

პედაგოგიური კონფერენციები – პედაგოგიური განვითარების შესაძლებლობა ვალდორფის პედაგოგიკაში არის საინტერესო და მნიშვნელოვანი პრაქტიკა – ყოველკვირეული შეხვედრები – „პედაგოგიური კონფერენციები“. სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლები რეგლამენტირებული დროის განმავლობაში მიმოიხილავენ სხვადასხვა პედაგოგიურ საკითხს.

ციფრული პედაგოგიკა

ნესტან მიქაძე

50 ციფრული პედაგოგიკა – განათლების სისტემის გამოწვევა

განათლების სისტემა ისტორიული გარდაქმნის ზღვარზე დგას. ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური გამოწვევების ფონზე, მკაფიოდ იკვეთება პედაგოგიკაში ციფრული პედაგოგიკის ფუნდამენტურ დონეზე დამკვიდრების საჭიროება.

27 შორენა ტყეშელაშვილი
რატომ არის მნიშვნელოვანი დროის მართვა ბავშვებისთვის

28 ნასტასია არაბული
თუ ემპათია სწავლებადია, როგორ შეიძლება მისი სწავლება სკოლებში

29 დიანა ანფიმიადი
რისთვის ვასწავლით პოეზიას სკოლაში?

30 ირმა ტაველიძე
ჰომეროსის თვალი

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

11 ფერის გავლენა ბავშვის ფსიქიკაზე

ფერის როლი ბავშვების ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არ არის, რომ ის პირველი მახასიათებელია, რომლის ამოცნობასაც პატარა იწყებს. ფერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ბავშვის გუნება-განწყობასა და ქცევაზე.

შეფასება

ლელა მანგოშვილი

46 წლიური განმავითარებელი შეფასება დაწყებით კლასებში

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე.

მოსაზრება

თამთა დოლიძე

5 ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში

მას შემდეგ, რაც განათლების სისტემაში გაჩნდა სიტყვა „ინკლუზია“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და განხორციელება მასწავლებლის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ამის მიუხედავად, დღემდე სირთულეს წარმოადგენს ამა თუ იმ სტატუსის მქონე მოსწავლეზე მაქსიმალურად მორგებული გეგმის შემუშავება.

ლელა კოტორაშვილი

25 საკითხავი მეთერთმეტეკლასელებისთვის

სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების, არასწორი დღის რეჟიმის, ვრცელი ტექსტებით გადატვირთული სახელმძღვანელოების გამო მოზარდებს თანდათან უფრო ნაკლები დრო რჩებათ კითხვისთვის. მოსწავლეთა საჭიროებებზე დაკვირვებამ დამარწმუნა თვის საკითხავი წიგნების აუცილებლობაში.

ცირა ბარბაქაძე

31 „სიტყვების ბაზარი“ და ლინგვისტური კაპიტალიზმი

გლობალურ ბაზარზე ყველაზე „ღირებული“ სიტყვები, როგორც წესი, ინგლისურენოვანია. ეს ახალისებს გლობალური ლინგვისტური სტანდარტების ჩამოყალიბებას, სადაც ლოკალური, ნაკლებად „კონკურენტუნარიანი“ ენები და დიალექტები კიდევ უფრო კარგავენ პოზიციებს ციფრულ სივრცეში.

მეგი კავთუაშვილი

44 სასკოლო ფორმის მსოფლიო ტენდენციები

მოსწავლეთა ჩაცმულობის სტანდარტიზაცია უსაფრთხოების, სწავლაზე ფოკუსირებისა და თანასწორობის გარანტიად გამოიყურება, თუმცა არ არსებობს მყარი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ფორმა ნამდვილად ახდენს გავლენას განათლების ხარისხზე.



თამთა დოლიძე

ინდივიდუალური სწავლების ლაბირინთში

მას შემდეგ, რაც განათლების სისტემაში გაჩნდა სიტყვა „ინკლუზია“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და განხორციელება მასწავლებლის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ამის მიუხედავად, დღემდე სირთულეს წარმოადგენს ამა თუ იმ სტატუსის მქონე მოსწავლეზე მაქსიმალურად მორგებული გეგმის შემუშავება.

მას შემდეგ, რაც განათლების სისტემაში გაჩნდა სიტყვა „ინკლუზია“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და განხორციელება მასწავლებლის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ამის მიუხედავად, დღემდე სირთულეს წარმოადგენს ამა თუ იმ სტატუსის მქონე მოსწავლეზე მაქსიმალურად მორგებული გეგმის შემუშავება. პირადად ჩემთვის, ერთ-ერთ მთავარ დამაბნეველ ფაქტორს დოკუმენტაციის იერსახის ხშირი ცვლა წარმოადგენს. ამას ემატება საგნობრივი სტანდარტის პერიოდული ცვლილება, უცხო ტერმინების (ცნებები, ქვეცნებები, შუალედური მიზნები, მკვიდრი წარმოდგენები და ა.შ.) შემოტანა, კურიკულუმში ფუნდამენტური ცვლილებების (მაგალითად, „ახალი სკოლის მოდელის“) კერძო სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეები და ა.შ.

ზოგადი განათლების შესახებ კანონში „ინკლუზიური განათლება“ განმარტებულია, როგორც თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის შესაბამისი განათლება. ამისათვის საჭიროა ისგ-ის ჯგუფის (მშობელი, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი, ფსიქოლოგი/ინდივიდუალური ასისტენტი) შეკრება, მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვება, პრობლემის შესწავლა/დიაგნოსტირება, სამუშაო გეგმის დასახვა, მონიტორინგი და მიღებული შედეგების ანალიზი. ყოველივე ზემოთქმული კი უნდა იქცეს ოფიციალურ დოკუმენტად, რომლის წარმოებაც ევალება კლასის დამრიგებელს ან სპეციალურ მასწავლებელს და იმ საგნ(ებ)ის მასწავლებლებს, რომლებიც მოსწავლესთან ინდივიდუალურ გეგმაზე დაყრდნობით მუშაობენ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს: მოსწავლის შესახებ ზოგად ინფორმაციას (ძლიერი მხარეები, ინტერესები, სირთულეები და სხვ.), მიზნებსა და ამოცანებს (რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ განსაზღვრულ პერიოდში), სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს (როგორ/რა გზებით უნდა ისწავლოს), შეფასების ფორმებს (როგორ ვზომავთ პროგრესს), ისგ-ის ჯგუფში ჩართული მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტების პასუხისმგებლობებს; გეგმურ ვადებსა და პროგრესის მონიტორინგს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“. აღნიშნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა მესამე თაობის ესგ-ის დიზაინი, რომელიც შედგება გრძელვადიანი მიზნებისა და ორიენტირებისგან, რაც წარმოდგენილია სასწავლო საფეხურისთვის საერთო ცნებებისა და შედეგების სახით. მაგალითისთვის, აი ასე გამოიყურება ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებით საფეხურზე:

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.დაწყ.(I). 1	სტრატეგიების გამოყენებით, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მოსმენა/წაკითხვა და გაგება ცოდნა-გამოცდილების გამდიდრების მიზნით.	**ტექსტი** (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)
ქართ.დაწყ.(I). 2	გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი წვდომისთვის.	
ქართ.დაწყ.(I).3	საკუთარი ან/და ლიტერატურული გამოცდილების გამოყენება ტექსტში მოცემული ინფორმაციის (მაგ., პერსონაჟის ქცევის) შეფასების, პირადი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით.	**სიტყვა, წინადადება, ტექსტი (სიტყვიდან ტექსტამდე)** (შედეგები: (I).4, 5, 6)
ქართ.დაწყ.(I).4	სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).	**გრამატიკა (პრაქტიკული)** (შედეგები: (I).5, 6)
ქართ.დაწყ.(I).5	ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).	**წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა (I კლასისთვის)** (შედეგები: (I) 2, 4, 6)
ქართ.დაწყ.(I).6	ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში ადეკვატური სამეტყველო ქმედების განხორციელება.	**დეკოდირება-კოდირება (I კლასისთვის)** (შედეგები: (I). 2, 4, 6)

ერთი შეხედვით, ზემოთ მოცემული დოკუმენტი კომპაქტური და გასაგებია. თუმცა მუშაობის პროცესში მისი გამოყენება არც თუ ისე მოსახერხებელია, რადგან ცხრილში განთავსებული ინფორმაცია ზოგადია და გიწევს მსგვილ მიზანში ნაგულისხმევი ინდიკატორების ლაბირინთში საჭირო ინფორმაციის ძიება, რათა კონკრეტულ დავალებებთან მათი მისადაგება შეძლო. საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კი სწორედ ზემოაღნიშნულ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით იწერება.

კურიკულუმი არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს, რას, როგორ და რატომ სწავლობენ მოსწავლეები კონკრეტულ საგანში და საფეხურზე. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სასწავლო მიზნებსა და შედეგებს, საგნის შინაარსს, სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს და შეფასების ფორმებს. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმაც კურიკულუმია – დოკუმენტი, რომელიც ადგენს, რა უნდა იცოდნენ და შეძლონ მოსწავლეებმა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

ინდივიდუალური გეგმაც სასწავლო დოკუმენტია. თუმცა კურიკულუმსა და ისგ-ს შორის რამდენიმე ფუნდამენტური განსხვავებაა. კურიკულუმი არის საერთო სასწავლო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა ისწავლოს ყველა მოსწავლემ ამა თუ იმ საგანში საერთო სტანდარტის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კი გახლავთ კონკრეტული მოსწავლის უნარებსა და საჭიროებებს მორგებული დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნება, თუ რომელიმე მოსწავლეს სპეციალური მხარდაჭერა სჭირდება.

ისგ არ არის უცვლელი დოკუმენტი. მას პერიოდულად გადახედავენ, ინიშნავენ მიმდინარე შეფასებებს და მოსწავლის მიღწევებისა და ახალი საჭიროებების შესაბამისად აკორექტირებენ. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველაზე „ცოცხალ“, რეალობასთან ახლოს მდგომ დოკუმენტს წარმოადგენს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ნაწილი, საგნების გეგმები და ინტერვენციის გეგმა. დღეისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საგნის მასწავლებლის მიერ შესავსები დოკუმენტი ასე გამოიყურება:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი)

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება	მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე (რა იცის და რა შეუძლია მოსწავლეს?)

გრძელვადიანი მიზნები

ცნება	მოსწავლემ უნდა შეძლოს (წლიური მიზნები)

მოკლევადიანი/შუალედური მიზნები, მიზნის მიღწევის სტრატეგიები და აქტივობები

თემა:	
ცნება/ცნებები:	
განხორციელების პერიოდი:	
მოკლევადიანი მიზნები და/ან ადაპტირებული კომპლექსური დავალება	**სტრატეგიები, აქტივობები, რესურსები**

მოსწავლის პროგრესის შეფასება

პირველი სემესტრი	
ცნება	**მოსწავლის მიღწევების აღწერა (რა ისწავლა მოსწავლემ განვლილ სემესტრში?)**

პირველ გრაფაში იწერება ის მიზნობრივი ცნებები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც დაძლია მოსწავლემ განვლილი სემესტრის განმავლობაში. გვერდით კი ვუთითებთ, კონკრეტულად რა იცის/შეუძლია მოსწავლეს ზემოაღნიშნული ცნების ფარგლებში. აქ ხშირად უშვებენ შეცდომას და იმ საკითხებსაც უთითებენ, რომელთა დაძლევაც მოსწავლემ ვერ შეძლო. არადა, ზემოაღნიშნული გრაფა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს უნდა აღწერდეს.

სსსმ მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის შეფასების შემდეგ, საგნის მასწავლებელი განსაზღვრავს გრძელვადიან მიზნებს. ეს გახლავთ იმ ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, რომელიც ბავშვმა უნდა გამოიმუშაოს ერთი სასწავლო სემესტრის/წლის განმავლობაში. გრძელვადიანი მიზნების დასახვის პროცესში, აქტუალური დონის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონა, ანუ პოტენციალი, რომელიც სტიმულაციას საჭიროებს (ის, რის სწავლასაც შეძლებს მოსწავლე უფროსის ან კომპეტენტური თანატოლის დახმარებით).

გრძელვადიანი მიზნების დასახვის შემდეგ, მოკლევადიანი მიზნების, ანუ კონკრეტული სტრატეგიების/აქტივობების შემუშავების დრო დგება. მასწავლებლის მიზანს შეიძლება წარმოადგენს სასწავლო მასალის შინაარსის ადაპტირება ან შემცირება (დიფერენცირებული სწავლება), თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეს გასული სასწავლო წლის შესაბამისი უნარების განვითარებაც შეიძლება დასჭირდეს. მოსწავლის პროგრესი ფასდება ყოველი სასწავლო სემესტრის ბოლოს, დაგეგმილი თემების დამუშავების შემდეგ. სასურველია, დეტალურად აღვწეროთ, თუ რისი სწავლა შეძლო მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში და რომელი უნარების განვითარებაზე უნდა გააგრძელოს მუშაობა.

მოსწავლის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ სემესტრულ ტესტზე/შემაჯამებელ დავალებებზე დაყრდნობით არ განისაზღვროს საბოლოო შედეგი. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის ყოველდღიური ინდივიდუალური დავალებები, მოსწავლის თვითშეფასების ბარათები, მშობლის უკუკავშირი და შემოქმედებითი პროდუქტი, რასაც სემესტრის განმავლობაში ვქმნიდით.

თუ ერთხელ მაინც გისწავლებიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, იცით, რომ ისგ არ არის უცვლელი დოკუმენტი. მას პერიოდულად გადახედავენ, ინიშნავენ მიმდინარე შეფასებებს და მოსწავლის მიღწევებისა და ახალი საჭიროებების შესაბამისად აკორექტირებენ. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველაზე „ცოცხალ“, რეალობასთან ახლოს მდგომ დოკუმენტს წარმოადგენს.

ნინო ლომიძე

პედაგოგიური კონფერენცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობა

„პედაგოგიკა, ადამიანის ბუნების შეცნობის მეცნიერების მსგავსად, წიგნებით კი არა, ცხოვრებისეული გამოცდილებით ისწავლება“

ალფრედ ადლერი

პედაგოგიკა – პიროვნული ზრდის ხელშეწყობისთვის

პედაგოგიკის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ერთი და ამომწურავი წინადადება რომ მოგვთხოვოს ვინმემ, ამავე მეცნიერის წიგნიდან ამ ერთ ფრაზას მოვიშველიებდი „რათა ყველას მიეცეს საკუთარი პიროვნების სრულყოფის საშუალება“.

არა რომელიღაც სტანდარტისა თუ სასწავლო მიზნის მიღწევა და მიღწევა/ვერ მიღწევის მონიტორინგი სტანდარტიზებული უნივერსალური ტესტირებებით, არამედ თითოეული ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება და მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

პედაგოგიკა – მეგზურობა საზრისის ძიების გზაზე

მოზარდებთან ხანგრძლივი ურთიერთობა, პედაგოგიური პრაქტიკა და წლობით დაგროვებული გამოცდილება ერთი განზოგადებული დასკვნის გაკეთებისკენ მიბიძგებს – ახალგაზრდა ადამიანს, განსაკუთრებით, გარდამავალ ასაკში მოზარდობიდან ზრდასრულობისკენ, აუცილებლად ებადება კითხვები ცხოვრების საზრისის შესახებ, ასაკობრივი განვითარების უცილობელი თანმდევი არის პიროვნული განვითარებისკენ სწრაფვა, თვითგამოხატვის, სამყაროს შემეცნების, შეცნობის გზების ძიება. ეს წყურვილი, „გულისხმიერებაი სწავლისაი“, მართლაც საკვირველი და დაუოკებელია და მოსწავლეები საკლასო განხილვებისას ან მსჯელობისას მათთვის საინტერესო კითხვებს ხშირად სვამენ, ეძებენ პასუხებს, ითავისებენ ცოდნას, უგულებელყოფენ უკვე გათავისებულს, კვლავ ეძებენ პასუხებს, პოულობენ ან ვერ... და საკუთრივ ეს პროცესი არის იმდენად ღირებული, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ უმთავრეს პედაგოგიურ ამოცანადაც ეს შეიძლება დავსახოთ – მივცეთ ადამიანებს შესაძლებლობა, დააკვირდნენ საკუთარ პიროვნულ განვითარებას. მოსინჯონ განვითარების გზაზე სწორი და არასწორი ბილიკები. შევიდნენ ჩიხში და მოიძიონ გზა ამ ჩიხიდან გამოსასვლელად. დაადგნენ შემეცნებისა და თვალსაწიერის გაფართოების გამზირებს, ეძებონ, პოვონ, დაკარგონ და კვლავ ეძებონ საზრისები...

ვალდორფის პედაგოგიკაში არის საინტერესო და მნიშვნელოვანი პრაქტიკა – ყოველკვირეული შეხვედრები – „პედაგოგიური კონფერენციები“. სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლები რეგლამენტირებული დროის განმავლობაში მიმოიხილავენ სხვადასხვა პედაგოგიურ საკითხს.

საკუთარი თავის აღზრდის მნიშვნელობა

საფრთხილო, ფაქიზი პედაგოგიური ამოცანაა ახალგაზრდა ადამიანის მეგზურობა ამ გზაზე. მზა რეცეპტები არ გვაქვს და ვერ მივაწვდით. დაზუსტებულ პასუხებს ვერ გავცემთ. რაც შეგვიძლია, უსაფრთხო, ნდობით აღსავსე გარემოს შექმნაა.

და რაც დანამდვილებით გვევალება, როგორც პედაგოგებს, **საკუთარი თავის აღზრდა, გამოწვრთნა და მომზადებაა ასეთი გამოწვევებისთვის.**

აღზრდა კრიტიკული კითხვების დასმას, რეფლექსიას, კრიზისული სიტუაციების სწორად დაძლევას, განვითარებისკენ დაუდგრომელ სვლას გულისხმობს. დავსვათ ეს კითხვები: რამდენად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი, როგორც პედაგოგების, მნიშვნელობა მოსწავლეების ცხოვრებაში? პროფესიულ მიზნებსა და ამოცანებს როდის ვუღრმავდებით, ვიცხადებთ, ვითავისებთ? საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადებისას დასწავლილ თეორიებში რამდენი პრაქტიკულად გამოსაყენებელი სტრატეგია, ინსტ-

რუმენტი, ტაქტიკა, მეთოდია მოწოდებული? პედაგოგიკის საუნივერსიტეტო კურსიდან რაც გვახსოვს, რამდენად წაგვადგა სასკოლო პრაქტიკაში? განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასწავლო პროგრამები და კურიკულუმები ის საბადოა, რომელშიც სწორ მითითებებს ვიპოვით? რამდენად გვაქვს მასწავლებლებს ერთმანეთის გამოცდილებების შეფასება-განსჯის გარეშე გაზიარების საშუალება? როდის და რამდენად გვაქვს საშუალება, თავადვე დავაკვირდეთ ჩვენსავე პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას განსჯისა და შეფასების გარეშე?

პიროვნული განვითარება, როგორც პროფგანვითარების უცილობელი შემადგენელი

კითხვების კორიანტელია. მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი კითხვების, მაგრამ სტანდარტიზაციის, რეიტინგების, ქულებისა და კრედიტების დევნის, საკვალიფიკაციო მარათონის, სასკოლო ბიუროკრატიული წნეხის პირობებში ამ მნიშვნელოვან კითხვებზე საფიქრალად დრო თითქმის არ გვრჩება.

სასკოლო სისტემა, რომელშიც ყველაფერი ციფრებით იზომება, კონტროლის ილუზიას ქმნის. ჩვენივე საკუთარი პროფესიული განვითარებაც ამ მაკონტროლებელ სისტემაშია მოქცეული და მასწავლებლისთვის უმთავრეს საჭიროებად დოკუმენტაციის სწორად შევსება, საკვალიფიკაციო იერარქიაში ერთი საფეხურით ზევით ასვლა, კრედიტების დაგროვება იქცა. ამ ყველაფრისგან გადაქანცულ მასწავლებელს მოზარდებთან ურთიერთობისთვის, პედაგოგიური საქმიანობისთვის, საკუთარი საქმის ინტერესითა და ხალისით კეთებისთვის ნაკლები დრო, ენერგია, რესურსი რჩება.

პედაგოგიური კონფერენციები – პედაგოგიური განვითარების შესაძლებლობა

ვალდორფის პედაგოგიკაში არის საინტერესო და მნიშვნელოვანი პრაქტიკა – ყოველკვირეული შეხვედრები, რომლებსაც **„პედაგოგიური კონფერენციები“** ეწოდება. სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლები იკრიბებიან ყოველკვირეულად, ერთ შერჩეულ დღეს და წინასწარ რეგლამენტირებული დროის განმავლობაში მიმოიხილავენ სხვადასხვა პედაგოგიურ საკითხს, აქტუალურს სასწავლო კვირის განმავლობაში. ეს არ არის ადმინისტრაციული ვალდებულება, დირექციის ბრძანება ან ქულა/კრედიტების მისანიჭებელი ღონისძიება, მასწავლებლები იკრიბებიან მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ, ერთმანეთისთვის საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად.

მსგავსი ტიპის შეხვედრები კოლეგიალური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად და ჯეროვანი, სასწავლო დაწესებულებისთვის შესაფერისი ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად შეუცვლელია. საგანმანათლებლო ორგანიზაციის მართვის კულტურა ის ეკოსისტემაა, რომელშიც მოსწავლეები და მასწავლებლები ურთიერთობენ, რომელშიც სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს და ამ ეკოსისტემის სიჯანსაღეზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

პედაგოგიური კონფერენცია საუკეთესო სამარჯვია პროფესიული განვითარებისა და კოლეგიალური კულტურის ჩამოყალიბებისთვის. როგორც წესი, ის ორი ეტაპისგან შედგება და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს. თეორიულ ნაწილში წინასწარ შერჩეული თემის მიხედვით მომზადებულ პრეზენტაციას ან მოხსენებას ისმენს აუდიტორია.მოსმენის შემდეგ კითხვა-პასუხის, მოსაზრებების გაცვლის დროა. პრაქტიკული ნაწილი კი აქტუალური საკითხების მიმოხილვას ეთმობა. მასწავლებლები ნდობით აღსავსე, მშვიდ, უსაფრთხო, საქმიან ატმოსფეროში ერთმანეთს უყვებიან სწავლების პროცესში წარმოქმნილ სირთულეებზე, მოსწავლეთა მოტივაციის, ქცევის სირთულეების ან კონკრეტული კლასის დინამიკის პრობლემებზე. ასეთ შეხვედრებზე კი სწორედ ის ხდება, რაც ადლერის „ცხოვრებისეული გამოცდილებით სწავლებაშია“ ნაგულისხმევი.

ჩვენს სკოლებში მასწავლებლებს ერთმანეთთან შეხვედრის დრო და საშუალება ნაკლებად აქვთ. მართალია, ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, როგორც თვითმმართველობის არჩევითი ორგანო, მაგრამ მისი ფუნქციები და უფლებამოვალეობები შორსაა იმისგან, რაზეც სტატიაში ვსაუბრობდით. არადა, რეგულარული, ცოცხალი, საინტერესო, შთამაგონებელი შეხვედრები აძლიერებს სკოლას, ქმნის თანამშრომლობით სწავლა-სწავლების კულტურას და შესანიშნავ მაგალითს მოსწავლეებისთვის.

ქეთევან ოსიაშვილი

ფერის გავლენა ბავშვის ფსიქიკაზე

ბავშვის ფსიქიკაზე ფერების სწორად ზემოქმედებით ჩვენ შევძლებთ, დადებითი გავლენა მოვახდინოთ მის ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაზე. ცნობილია, რომ სწორად, გონივრულად შერჩეულ ფერებს ნერვულ სისტემაზე სასარგებლო გავლენა აქვს.

ალბათ, არავისთვის იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვი, რომ ფერი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ადამიანისთვის. ყველას თუ არა, ადამიანების უმრავლესობას გვაქვს ჩვენი საყვარელი ფერები, უპირატესობას ვანიჭებთ რომელიმე კონკრეტულ ფერს და შეიძლება უარყოფითი დამოკიდებულებაც კი გვქონდეს სხვა ფერის მიმართ. ფერი, ხშირად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს არა მხოლოდ ტანსაცმლის, აქსესუარების, ცალკეული ნივთების შერჩევისას, არამედ ინტერიერის მოწყობის დროსაც.

ფერის როლი ბავშვების ცხოვრებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არ არის, რომ ის პირველი მახასიათებელია, რომლის ამოცნობასაც პატარა იწყებს. ფერებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ ბავშვის გუნება-განწყობასა და ქცევაზე. ცნობილია, რომ ზოგიერთი ფერი ამშვიდებს და ღიმილს იწვევს მათში, ზოგი კი აღაგზნებთ და აშინებთ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფერმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის როგორც ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ასევე მის ინტელექტზე. ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვებს, რომელთა პიროვნული მახასიათებლები ჩამოყალიბების პროცესშია. ცნობილია, რომ ტანსაცმლის ფერსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ გარემომცველ გარემოში წარმოდგენილ ფერებზე, შეუძლია დააქვეითოს, ან პირიქით – აამაღლოს ბავშვის თვითშეფასება, გააუმჯობესოს, ან გააუარესოს მისი მდგომარეობა, გუნება-განწყობა, დამოკიდებულებები გარშემომყოფებთან.

სიცოცხლის პირველ წელს ბავშვისთვის ფერი შერწყმულია საგნების სხვა მახასიათებლებთან და არ გამოიყოფა, როგორც გარემომცველი სამყაროს დამოუკიდებელი თვისება. ჩვილები დაბადებისთანავე არ იძენენ ფერების გარჩევის უნარს. ახალშობილებს შეუძლიათ მხოლოდ ორი ფერის – თეთრისა და შავის აღქმა, მაგრამ როგორც კი პატარა დაახლოებით ორი თვის გახდება, თეთრ და შავ ფერს ემატება წითელიც. შემდეგი ფერი, რომლის გარჩევასაც ბავშვი შეძლებს, იქნება ყვითელი და მისი ელფერები. 2-დან 4 წლამდე ბავშვის თვალისთვის ყველაზე სასიამოვნოა ღია ვარდისფერი, მოყვითალო, მოცისფრო და მოლურჯო ფერები. ოთხი წლის ასაკში ბავშვები უკვე ახერხებენ მუქი და ნათელი ფერების განსხვავებას. მათ ლექსიკონში ჩნდება სიტყვები „მუქი“, „ნათელი“. ხუთი წლის ასაკში პატარები, როგორც წესი, უკვე იცნობენ საგნებისა და ბუნებრივი მოვლენების სხვადასხვა ფერებსა და ელფერებს.

საყურადღებოა, რომ ბავშვებს ცალკეულ ფერზე სპეციფიკური რეაქცია აქვთ. არა მხოლოდ ტანსაცმლის და სათამაშოების, არამედ ოთახის კედლებისა და ამ ოთახში განთავსებული სხვადასხვა საგნების ფერიც შეიძლება გახდეს როგორც დამხმარე, ასევე დამაბრკოლებელი ჩვენთვის ბავშვთან ურთიერთობისას. ბავშვის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მისი ნერვული სისტემის მდგომარეობაზე. პატარის ფსიქოლოგიური მდგომარეობა სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრულია იმ ფერებით, რომ-

ლებიც მის უახლოეს გარემომცველ სამყაროშია. უკვე დაბადების მომენტიდან ბავშვის ემოციები და გრძნობები ყალიბდება იმითაც, თუ როგორ აღიქვამს ის გარშემო არსებულ ფერებს თვალების პირველივე გახელისას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან ურთიერთობაში მყოფი, მისი აღზრდით დაკავებული უფროსები კარგად ვერკვეოდეთ იმაში, თუ რა

გავლენას ახდენს ფერი ბავშვის ფსიქიკაზე, მის ორგანიზმზე, გუნება-განწყობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პატარის ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ის საკმაოდ დაუცველი და მგრძნობიარეა სხვადასხვა გამღიზიანებლებისა და ნეგატიური ფაქტორების მიმართ. თუმცა, ფერის დახმარებით შესაძლებელია ბავშვის არა მხოლოდ მდგომარეობისა და გუნება-განწყობის, მისი აქტიურობის, არამედ ხასიათის თვისებების შეცვლაც კი.

იმის ცოდნა, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის ფერი ბავშვის ფსიქიკაზე, დაგვეხმარება პატარისთვის ტანსაცმლის, ოთახის დეკორის, სათამაშოებისა და ცალკეული საგნების ფერების სწორად შერჩევაში.

ცალკეული ფერების ზემოქმედება ბავშვზე, მის ქცევაზე და ემოციურ მდგომარეობაზე:

- წითელი ფერი იპყრობს ყურადღებას, ენერგიასა და ლიდერობასთან ასოცირდება. ის ძალიან გამამხნევებელი, აგრესიული ფერიც კია. ბავშვისთვის ის გამაღიზიანებელია. ყველაზე მშვიდ პატარაშიც კი ამ ფერის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყურებამ შეიძლება გამოიწვიოს უზომო შფოთვა, მომატებული აქტიურობა, აგზნებადობა, ნევროზულობა და აგრესიულობაც კი. ამიტომ, თუ ბავშვი მეტისმეტად მოძრავი და მოუსვენარია, უმჯობესი იქნება მასთან მიმართებაში უარი ვთქვათ წითელ ფერზე, ან მინიმუმამდე დავიყვანოთ მისი გამოყენება;
- ვარდისფერი წითლის მოსაზღვრე ფერია, მაგრამ უფრო დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. რაც უფრო ახლოსაა ტონი პასტელურ ფერთან, მით უფრო რბილი, დამამშვიდებელი ეფექტი აქვს და, პირიქით – რაც უფრო კაშკაშაა ტონი, მით უფრო მეტად აღძრავს ბავშვს ენერგიული მოქმედებისკენ;

ფერის როლი ბავშვების ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არ არის, რომ ის პირველი მახასიათებელია, რომლის ამოცნობასაც პატარა იწყებს. ფერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ბავშვის გუნება-განწყობასა და ქცევაზე.

- ნარინჯისფერი მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანსაღი განვითარებისთვის. ის ხელს უწყობს ემოციურ სტაბილურობას, გამამხნევებელი ფერია, ენერგიას მატებს ადამიანს, ამაღლებს გუნება-განწყობას. შეუძლია კომუნიკაბელურობის სტიმულირება, აძლიერებს შემოქმედებით აქტივობას, ქმნის თავდაჯერებულობისა და კომფორტის განცდას;
- ყვითელი ფერი შინაგანი ჰარმონიის, სითბოსა და სტაბილურობის შეგრძნებას იწვევს, ხელს უწყობს კონცენტრაციას, შეუძლია დამამშვიდებლად იმოქმედოს და განწყობა გაუუმჯობესოს ადამიანს. რეკომენდებულია ყვითელი ფერის გამოყენება ბავშვთა ოთახებში, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათ განვითარებას, ასევე მხიარულს გახდის პატარას;
- მწვანე ფერი ბავშვში ცნობისმოყვარეობასა და განვითარების სურვილს აღვიძებს, უმაღლებს გარშემო არსებული სამყაროს შესწავლის სურვილს, აქვს დამამშვიდებელი ეფექტი. მწვანე ფერის მშვიდი და რბილი ტონები ამაღლებს თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას, საკუთარი ძალების რწმენას, შთააგონებს გამბედაობას, სიმამაცეს;
- ლურჯი ფერი დამამშვიდებელია, მას შეუძლია გააღვივოს წარმოსახვა და ინტერესი ახლის მიმართ. თუმცა, მგრძნობიარე ბავშვებში ამ ფერმა შეიძლება ქვეცნობიერი შფოთვის განცდა გამოიწვიოს;
- ცისფერი მოქმედებს უფრო მსუბუქად, ვიდრე ლურჯი. ის ლურჯზე უფრო ნაზია. ცისფერი ხელს უწყობს მოდუნებას, მოშვებას, სიმშვიდეს. რეკომენდებულია ბავშვის თეთრეულისთვის ნაზი ცისფერი ტონების გამოყენება. ამ ფერს შეუძლია შფოთვის შემსუბუქება და დაძაბულობის განეიტრალება. თუმცა, სიცივისა და გაუცხოების თავიდან ასაცილებლად უკეთესი იქნება ზომიერების დაცვა ამ ფერის გამოყენებისას, განსაკუთრებით ინტერიერში;
- თეთრი ფერი დამამშვიდებლად მოქმედებს. თუმცა, ამ ფერის სიჭარბემ შეიძლება გამოიწვიოს დაუცველობის განცდა;
- ნაცრისფერი, ზომიერი გამოყენების შემთხვევაში, დამამშვიდებელი ეფექტით გამოირჩევა, ამცირებს ბავშვის მოჭარბებულ აქტიურობას და უნერგავს მას თავდაჯერებულობას და საკუთარი ძალების რწმენას;
- იისფერი ასტიმულირებს ყურადღების კონცენტრაციასა და წარმოსახვას. ამ ფერთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. ერთი მხრივ, იისფერი შემოქმედებითობის, ხელოვნების ფერად მიიჩნევა, რომელიც აუმჯობესებს წარმოსახვას და ხელს უწყობს აზროვნებას; მეორე მხრივ, იისფრის ჭარბმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს მარტოობის განცდა. ბავშვის ოთახისათვის ასეთი ფერის გამოყენება არ არის რეკომენდებული.

რეკომენდაციები მშობლებისთვის:

- სასურველია ელემენტარული ინფორმაციის ფლობა ფერებით თერაპიაზე და ამ ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში;
- ბავშვი გარემოცული უნდა იყოს ფერების სიმრავლით. თუმცა, მნიშვნელოვანია მათი ზომიერად შერწყმა;
- თუ ბავშვი დილით, გაღვიძების შემდეგ დაღლილობას გრძნობს, ცუდ გუნება-განწყობაზეა, უმჯობესი იქნება მისთვის მხიარული, ნათელი, თბილი ფერების ტანსაცმლის შერჩევა. მაგრამ თუ განიცდის ენერგიის მოზღვავებას, ძალიან აქტიური და ზედმეტად აღგზნებულია, შევურჩიოთ ტანსაცმელი ლურჯი, მწვანე, ცისფერი ტონებით. ამავდროულად, შევზღუდოთ წითელი და ნარინჯისფერი, როგორც ტანსაცმლის, ასევე ნივთების რაოდენობა;
- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ჭრელი ოთახი არ იქნება შესაფერისი. უკეთესი იქნება შევარჩიოთ ყვითელი, კრემისფერი, ატმისფერი, ღია მწვანე, ასევე ცისფრის დამამშვიდებელი პასტელური ტონები;
- ცივი ტონები და მოცისფრო მწვანე ფერთა შეხამება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ოთახის ფანჯრები სამხრეთისკენაა მიმართული და კარგად არის განათებული;
- თეთრი ფერი ასახავს დღის სინათლეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ოთახის განათებას. ამასთან, მას შეუძლია შექმნას ხელსაყრელი ფონი სხვა ფერების აღქმისთვის;
- შავი ფერი არ არის შესაფერისი ბავშვის ოთახისთვის. ის უარყოფითად მოქმედებს ბავშვის მდგომარეობაზე, აუარესებს მის გუნება-განწყობას. ამ ფერის მცირე რაოდენობა დასაშვებია მხოლოდ დეკორის ელემენტებში.
- ბავშვის ფსიქიკაზე ფერების სწორად ზემოქმედებით ჩვენ შევძლებთ, დადებითი გავლენა მოვახდინოთ მის ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაზე. ცნობილია, რომ სწორად, გონივრულად შერჩეულ ფერებს ნერვულ სისტემაზე სასარგებლო გავლენა აქვს.

თემურ სუყაშვილი

ხელოვნური ინტელექტი და მიკერძოება

„მასწ, შეიძლება, ChatGPT-ს ვკითხო? შეიძლება, ხელოვნური ინტელექტი გამოვიყენო?“ – ეს კითხვები სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცა. AI-ს განვითარებამ, ერთი მხრივ, გაამარტივა შემეცნების პროცესი, მეორე მხრივ კი ერთგვარი საფრთხის ქვეშ დააყენა განათლების სისტემა.

დღეს მასწავლებელიც და მოსწავლეც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს. მასწავლებლები ქმნიან დავალებებს, ხოლო მოსწავლეები ხშირად ირჩევენ მარტივ გზას ამ დავალებების შესასრულებლად. ამის შესახებ „მასწავლებელში“ არაერთი წერილია გამოქვეყნებული.

თითქმის ყველა ტექნოლოგიურ გიგანტს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყანასაც საკუთარი ხელოვნური ინტელექტის პლატფორმა აქვს. შეიძლება თუ არა, ერთსა და იმავე კითხვაზე ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა პლატფორმამ სხვადასხვა პასუხი შემოგვთავაზოს? ჩემი სტატია სწორედ AI-სა და მისი შემქმნელების შესაძლო მიკერძოების საფრთხეს ეხება.

როგორ დავაფიქროთ ხელოვნური ინტელექტის პლატფორმების შესაძლო მიკერძოებულობაზე ჩვენი მოსწავლეები და რა უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს AI-ს მხრივ ინფორმაციის შეგნებულ დამახინჯებას?

შეგვიძლია, მოსწავლეები ჩავრთოთ მარტივ ექსპერიმენტში: ვთხოვოთ, მოიფიქრონ კითხვები და დაუსვან ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა პლატფორმას, შემდეგ პასუხები ერთმანეთს შეადარონ და განსხვავებათა მიზეზებზე იმსჯელონ.

კითხვა: **რამდენად უსაფრთხოა tiktok-ი? გთხოვ, მიპასუხო ერთი წინადადებით.**

Deepseek

TikTok-ის უსაფრთხოება დამოკიდებულია მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვაზე და პლატფორმაზე გამოყენებულ პარამეტრებზე, ამიტომ მნიშვნელოვანია პირადი პარამეტრების გულდასმით დაყენება და ფრთხილად გამოყენება.

Gemini

TikTok-ის უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ჩინეთის მთავრობასთან კავშირების გამო, რამაც მრავალ ქვეყანაში შეშფოთება გამოიწვია.

ChatGPT

TikTok-ს აქვს გარკვეული უსაფრთხოების მახასიათებლები, თუმცა მასზე კვლავ არსებობს სერიოზული შიშები მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ჩინეთის მთავრობასთან შესაძლო კავშირების გამო.

პირველივე მარტივ კითხვაზე განსხვავებული პასუხები მივიღეთ. მოდი, გავაგრძელოთ.

კითხვა: **რომელია ყველაზე წარმატებული, პოპულარული და ხშირად გამოყენებადი AI პლატფორმა მსოფლიოში? გთხოვ, მიპასუხე რეალური მონაცემების საფუძველზე.**

Gemini

ბოლო მონაცემებით (2024-2025 წლები), ხელოვნური

ნებისმიერი ხელოვნური ინტელექტი იმ მონაცემებზე დაყრდნობით გვპასუხობს, რომლებსაც შემქმნელები აწვდიან. თუ ამ მონაცემებში არსებობს შეგნებული მიკერძოება ან მონაცემები არასრულია, AI შესაძლოა მოვლენისა თუ ფაქტის, მიმართ მიკერძოებული იყოს.

ინტელექტის ყველაზე წარმატებული და პოპულარული პლატფორმები, გამოყენების მოცულობისა და გადმოწერების რაოდენობის მიხედვით, შემდეგია:

1. ChatGPT (OpenAI):
2. GoogleGemini (ყოფილი Bard)

Deepseek

2024 წლის მონაცემებით, ყველაზე **წარმატებული, პოპულარული და ხშირად გამოყენებადი AI პლატფორმები** მსოფლიოში შემდეგია:

1. OpenAI (ChatGPT, GPT-4, DALL·E, Whisper)
2. Google AI (Gemini, Bard, DeepMind, PaLM 2)

როგორც ვხედავთ, ამ კითხვაზე ორმა სხვადასხვა AI პლატფორმამ იდენტური პასუხი გაგვცა. შეგვიძლია, კითხვა ოდნავ გავართულოთ და გავამწვავოთ:

კითხვა: **რატომ არ დაუჭირა ჩინეთმა მხარი გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც ეხებოდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან – იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა დაბრუნების უფლებას**

Deepseek

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია **არჩარევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში** და **სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა**. გაეროს რეზოლუცია, რომელიც ეხება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს), შეიძლება განიხილებოდეს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევად, რაც ჩინეთის პოზიციას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, ჩინეთი ხშირად **თავს არიდებს კონფლიქტებთან დაკავშირებულ რეზოლუციებს**, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მხარეებიდან ერთის მხარდაჭერად.

ChatGPT

1. **ძირითადად ნეიტრალიტეტზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა**

ჩინეთი ცდილობს, თავი შეიკავოს ისეთი რეზოლუციების მხარდაჭერისგან, რომელიც სეპარატიზმის, ტერიტორიული მთლიანობის ან საერთაშორისო დაპირისპირების საკითხებს ეხება, თუ ეს არ ემთხვევა მის პირდაპირ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ის, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისგან ან აძლევს ხმას „წინააღმდეგ", რათა არ დაიკავოს მკაფიო პოზიცია.

2. **საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკა**

ჩინეთი ძალიან სენსიტიურია საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიმართ (მაგალითად, ტაივანი, ჰონკონგი, ტიბეტი, სინძიანი). შესაბამისად, ის მოერიდება იმ რეზოლუციების მხარდაჭერას, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ეხება, რათა არ შექმნას პრეცედენტი, რომელიც ორმაგი სტანდარტის ბრალდებას გამოიწვევს მის მიმართ.

ამ კითხვას AI პლატფორმები უკვე განსხვავებული ინტერპრეტაციით პასუხობენ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

კითხვა:



Deepseek-ის პლატფორმამ კითხვაზე გაჩუმება არჩია და სხვა თემაზე საუბრის გაგრძელება შემოგვთავაზა.

ChatGPT

ჩინეთი ითვლება არადემოკრატიულ ქვეყნად იმიტომ, რომ მას მართავს ერთპარტიული რეჟიმი – ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც არ ატარებს თავისუფალ და მრავალპარტიულ არჩევნებს, ზღუდავს სიტყვის, პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებებს და არ უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

Gemini

ჩინეთი არადემოკრატიულ ქვეყნად ითვლება მისი პოლიტიკური სისტემისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გამო, რაც შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით არის განპირობებული:

- **ერთპარტიული მმართველობა**
- **არჩევნების არარსებობა**



AI-ის მიკერძოების შესახებ ცოდნა გვეხმარება, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. მნიშვნელოვანია, ნებისმიერი პლატფორმის გამოყენებისას ვიყოთ კრიტიკულები და ობიექტურად ვაანალიზებდეთ მოწოდებულ ინფორმაციას.

- **სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა**
- **ადამიანის უფლებების დარღვევა**
  - **ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დევნა**
  - **თავისუფლების შეზღუდვა**
  - **წამება და არაადამიანური მოპყრობა**
  - **სოციალური საკრედიტო სისტემა**
- **სასამართლო სისტემის ნაკლებობა**

კითხვა: **რამდენად სანდო და მიუკერძოებელი AI ხელსაწყოა Deepseek?**

ChatGPT

DeepSeek არ ითვლება განსაკუთრებით სანდო ან მიუკერძოებელ AI ინსტრუმენტად, რადგან ის აჩვენებს ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა:

- **მნიშვნელოვანი სიზუსტის ნაკლებობა;**
- **ცენზურა და პოლიტიკური ბაიასი;**
- **უსაფრთხოების სუსტი დაცვა;**
- **მონაცემთა კონფიდენციალურობის რისკები.**

Gemini

DeepSeek, ჩინური ხელოვნური ინტელექტის მოდელი, მიუკერძოებლობისა და სანდოობის კუთხით არაერთ კრიტიკას იმსახურებს, განსაკუთრებით დასავლურ ალტერნატივებთან შედარებით (მაგალითად, ChatGPT, Gemini).

Deepseek

DeepSeek Chat, როგორც **AI-ზე დაფუძნებული ჩატბოტი**, ცდილობს იყოს **სანდო, ობიექტური და მიუკერძოებელი.**

ნებისმიერი ხელოვნური ინტელექტი იმ მონაცემებზე დაყრდნობით გვპასუხობს, რომლებსაც შემქმნელები აწვდიან. თუ ამ მონაცემებში არსებობს შეგნებული მიკერძოება ან მონაცემები არასრულია, AI შესაძლოა მოვლენისა თუ ფაქტის მიმართ მიკერძოებული იყოს. AI-ის მიკერძოების შესახებ ცოდნა გვეხმარება, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. მნიშვნელოვანია, ნებისმიერი პლატფორმის გამოყენებისას ვიყოთ კრიტიკულები და ობიექტურად ვაანალიზებდეთ მოწოდებულ ინფორმაციას.

ქრისტინე სურგულაძე

სანამ კლასში შევალ: წინასწარი შფოთვის ამბავი

რამდენიმე თვის წინ ჩემს თავს უცნაური რამ შევნიშნე. ისეთი, რაც, სავარაუდოა, დიდი ხანია მემართება, უბრალოდ ყურადღება ახლა გავამახვილე და შესაბამისად, გავაანალიზე კიდეც. გაკვეთილის დაწყებამდე 20-30 წუთით ადრე უცნაური შფოთვა მიპყრობს, მკერდში სიმძიმეს ვგრძნობ, ყბები მეძაბება და თავში ათასობით აზრი ისე სწრაფად დარბის, რომ ვერცერთ მათგანს ვერ ვეწევი. არც ვცდილობ ხოლმე. ალბათ შფოთვის სიმპტომებს იმდენად ვართ მიჩვეული, რომ თუ რამე უფრო რთულში არ გადაიზრდება, ჩვეულებრივ ამბად გვეჩვენება. ეს ხომ სულ შეიძლება დაგვემართოს? მაგალითად, ზედმეტი კოფეინის, ძილის ნაკლებობის, გადაღლილობის გამო. არცერთი ჩამოთვლილთაგანი არ აკლია თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობას, ამიტომ შფოთვა ზოგჯერ უკანა ფონზე, ჩუმად „მიმდინარეობს“, ვიდრე ჩვენ ჩვეულებრივ ვფუსფუსებთ. საზიანოა, თუმცა ასეა.

ერთ დღესაც, როცა არც ძილი მაკლდა, არც დაღლილი ვიყავი და არც ზედმეტი ყავა მქონდა დალეული, ჩემს თავს ასეთი აბეზარი შფოთვა შევნიშნე და დავფიქრდი. საათს დავხედე, გაკვეთილის დაწყებას ოციოდე წუთი აკლდა. ყველაფერი მზად მქონდა. რაც მთავარი და ყველაზე უცნაურია, იმ კლასში უნდა შევსულიყავი, რომელსაც ერთ წელზე მეტია, ვასწავლი და ბავშვებს შესანიშნავად ვიცნობ. ვიცი, რა უხარიათ, რა სწყინთ, რა მოსწონთ, რას ვერ იტანენ. ისინიც ასევე, ძალიან კარგად მიცნობენ და, როგორც წესი, დროს ბრწყინვალედ ვატარებთ ხოლმე ერთად. მაშინ რატომ ვიჯექი დაძაბული, რატომ ვცდილობდი, ავტომატურად ღრმად მესუნთქა და რატომ ვიმტვრევდი თითებს? ამჯერად შფოთვას არ წავუყრუე და შევნიშნე, რომ გაკვეთილის დაწყებიდან პირველ ორ-სამ წუთში მთლიანად გაუჩინარდა.

თანამედროვე კვლევების მიხედვით მასწავლებელთა საშუალოდ 40-50% მუდმივად განიცდის შფოთვას ან სტრესს. შფოთვა განსაკუთრებით ძლიერდება, როცა მასწავლებელი ემოციურადაა ჩართული სწავლების პროცესში, ცდილობს, ყველაფერი გააკონტროლოს, შეცდომები თავიდან აირიდოს და ყველაფერი სრულყოფილად შეასრულოს. ვფიქრობ, ჩვენი ეს მდგომარეობა სისუსტე სულაც არაა, პირიქით, ეს ნიშნავს, რომ სწავლება ჩვენთვის მექანიკური პროცესი არ არის და მასში სულსა და გულს ვდებთ, თუმცა შფოთვა და სტრესი ჩვენს ორგანიზმსა და ნერვულ სისტემაზე ცუდ კვალს ტოვებს. ამიტომ, კარგი იქნება, თუკი, პირველ რიგში, სწორედ მის გაკონტროლებას შევეცდებით. გაკონტროლებამდე კი აუცილებელია, შევნიშნოთ და დავაკვირდეთ, როდის ჩნდება, რატომ და რა სიმპტომებით. შემჩნევა პირველი ნაბიჯია გამკლავებისკენ.

ჩემი სამუშაო დღეები საოფისე საათებით იწყება. გაკვეთილის დაწყებამდე ზოგჯერ ოთხ ან ხუთ საათს სიჩუმეში ვატარებ: გეგმებს ვწერ, საჭირო მასალებს ვამზადებ, ვბეჭდავ. ზოგჯერ ამ ყველაფერს მუსიკის ფონზე ვაკეთებ, ან თანამშრომლებს მშვიდად ვესაუბრები, გვერდით მოდგმულ ყავას ვსვამ და არ ვჩქარობ. მერე კი უცებ გაკვეთილების დრო მოდის, რომლის რიტმიც ძალიან სწრაფია და ჩემგან საერთოდ სხვა უნარების გამოხმობასა და გააქტიურებას მოითხოვს. გაკვეთილის ჩატარება ხომ სცენაზე ასვლას ჰგავს, უნდა გამოცოცხლდე, ხმა აიმაღლო, განწყობა შეიცვალო, გაკვეთილის თემას გადახედო და მზად უნდა იყო, რომ თითოეული მოსწავლის ინტერესს მოერგო. ასე და ამგვარად ჩემმა ნერვულმა სისტემამ ჩემზე ადრე იცის, რომ მალე უნდა ავდგე და ჩემი პროფესიული ვერსია ჩავრთო, რომელიც მოქმედებს სწრაფად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და თავდაჯერებულად. კომფორტის ზონაში მაგიდასთან ცხელ

თანამედროვე კვლევების მიხედვით მასწავლებელთა საშუალოდ 40-50% მუდმივად განიცდის შფოთვას ან სტრესს. შფოთვა განსაკუთრებით ძლიერდება, როცა მასწავლებელი ემოციურადაა ჩართული სწავლების პროცესში, ცდილობს, ყველაფერი გააკონტროლოს, შეცდომები თავიდან აირიდოს და ყველაფერი სრულყოფილად შეასრულოს.

ყავასთან ერთად მოკალათებული ჩემი თავის ნელი ვერსია ნელ-ნელა უნდა გადაირთოს კონცენტრაციის რეჟიმში და ეს ჩუმი გადართვა ჩემში იწვევს უმისამართო შფოთვას. ვღელავ, ხომ ყველაფერი გამომივა?! რამე ხომ არ შემყვება კლასში, რაც ხელს შემიშლის?! რამემ რომ არ იმუშაოს?! რომ დავმარცხდე?! თითქოს მფრინავი ვარ, რომელმაც აფრენამდე უნდა შეამოწმოს, გააქტიურებულია თუ არა ყველა ღილაკი. მერე კი, როგორც კი ავფრინდებით (გაკვეთილს დავიწყებთ), ყველაფერი თავის ადგილას დგება. თვითმფრინავი დინჯად მიაპობს სივრცეს. ეს უკვე ფოკუსის ფაზაა, როცა გონება ზედმეტ ხმაურს ამცირებს და საშუალებას გაძლევს, იმოქმედო – ასწავლო.

მნიშვნელოვანია, ისიც გავიაზროთ, რომ ზოგჯერ შფოთვა სულაც არ არის იმ დღის გაკვეთილების ბრალი. შეიძლება, ეს ადრინდელია, რომელიც ჩვენმა ნერვულმა სისტემამ დაიმახსოვრა და ისიც ყოველ ჯერზე დაუღალავად გვახსენებს თავს. თუკი ოდესღაც ახალ სამსახურში, დემოზე, პირველ ჯერზე ან საჩვენებელ გაკვეთილზე ძალიან ვღელავდით და დიდი სტრესი მივიღეთ ან რაღაც არ გამოგვივიდა, ჩვენმა სხეულმა ეს ისე დაიმახსოვრა, როგორც გაფრთხილება. ახლა კი, ამდენი წლის და ამდენი გაკვეთილის მერეც კი, როცა დრო დგება, ისევ გზავნის სიგნალებს, რომ სადღაც საფრთხეა. ეს თავდაცვის მექანიზმია, რომელიც, იდეაში, კვლავ ჩვენთვის აქტიურდება. წარმოიდგინეთ, რომ უბრალოდ ჩვენზე ზრუნავს და ცდილობს, აგვარიდოს იმ საფრთხეს ან უსიამოვნებას, რომელიც კვლავ ჰგონია, რომ განმეორდება.

როცა ჩემი შფოთვის სავარაუდო მიზეზები ჩამოვწერე და იმ ყველაფერში გავერკვიე, რაც ზემოთ აღვწერე, ისიც ცხადი გახდა, რომ არსებობს კონკრეტული გზები, რითაც მასთან გამკლავება შემიძლია. პირველ რიგში, აუცილებელია, მას სწორი სახელი დავარქვათ, შემდეგ კი ჩავატაროთ ისეთი პატარა რიტუალი, რაც დამშვიდებაში დაგვეხმარება – დავლიოთ წყალი, მოვუსმინოთ მუსიკას, წარმოვიდგინოთ მოსწავლეების მოღიმარი სახეები, ღრმად ვისუნთქოთ, თვალები დავხუჭოთ, ხუთი წუთი ჩუმად, სიმშვიდეში გავატაროთ და ა.შ. ეს რიტუალი ყველასთვის ინდივიდუალური შეიძლება იყოს.

თუკი ასეთი შეგრძნებები თქვენთვის ნაცნობია, იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ. ჩვენი ეს მდგომარეობა სწორედ იმას აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ვზრუნავთ. ყოველი მასწავლებელი კი, ვინც შფოთვის მიუხედავად მაინც შედის კლასში, უპირობოდ, უმამაცესია. უსიამოვნოა, თუმცა შფოთვა ჩვენი პროფესიის მუდმივი თანმხლებია, რომელიც ალბათ საგაკვეთილო პროცესისადმი სიყვარულს ვერასდროს წაგვართმევს, თუმცა, ძალა კი ნამდვილად შეიძლება წაგვართვას, თუკი, პირველ რიგში, საკუთარ თავს არ გავუფრთხილდებით.

ამიტომ, თავს გაუფრთხილდი, მასწავლებელო!

თინათინ ზარდიაშვილი

A, T, G, C და შოთა რუსთაველი – როგორ ჩაიწერა ქართული ეპოსი სიცოცხლის მოლეკულაში

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ ონლაინკოდირების მარტივი კალკულატორები (მაგ: ASCII to Binary Converter) და ETH ციურიხის კვლევების პოპულარული ვერსიები, რათა მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ დაინახონ, როგორ ხდება ნებისმიერი ტექსტის გენეტიკურ ენაზე თარგმნა.

რა საერთოა ნუკლეოტიდებსა და შოთა რუსთაველს შორის? შეკითხვა უზომოდ საინტერესოა, თუმცა, პასუხი კიდევ უფრო საინტერესო. ბოლო რამდენიმე თვეა, ძალიან ხშირად ვუსმენ ქართულ პოდკასტებს, განსაკუთრებით მეცნიერებაზე. ერთ-ერთ პლატფორმაზე მოვუსმინე ქართველ ბიოლოგს და მფრინავს, ცოტნე ჯავახიშვილს. მისი საუბრის მოსმენის შემდეგ ახალი იდეები გამიჩნდა, გეგმებიც დავაწყვე, თუმცა ბატონი ცოტნე ტრაგიკულად დაიღუპა. საბედნიეროდ, ინტერნეტსივრცეს დარჩა მისი საინტერესო და მარტივი საუბარი უახლეს ბიოლოგიურ კონცეფციებზე. ინფორმაციის შენახვა რომ მნიშვნელოვანია, ამ აბზაცდანაც ჩანს. მაინც რა არის ინფორმაციის ყველაზე საიმედო და ტევადი საცავი? ღრუბლოვანი სივრცე? კომპიუტერის მყარი დისკი? კომპიუტერის გარე მეხსიერება? ბევრი შეიძლება ჩამოითვალოს, თუმცა ყველაზე ტევადი და საიმედო ჩვენი დნმ-ია (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა), რომლის სიგრძე ერთ უჯრედში დაახლოებით 2 მეტრია, თუმცა უზომოდ მცირე მოცულობაში კომპაქტურად არის მოთავსებული. ის შეფუთულია ნუკლეოსომებში და საიმედოდ იცავს ჩვენ შესახებ ინფორმაციას.

2018 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისთვის თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის ინიციატივით განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ დნმ-ში ჩაწერის პროექტი. ეს პროექტი არ ყოფილა ექსპერიმენტი. მიზანი უნიკალური კულტურის დაცვაა ბუნებრივი მოლეკულის, დნმ-ის საშუალებით. ტექნიკური ნაწილი, ტექსტის დნმ-ის კოდში გადაწერა, ქიმიური სინთეზი და შენახვა, **შვეიცარიის ETH ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ გრასმა (Robert Grass)** და მისმა გუნდმა განახორციელა, რომლებიც დნმ-ში მონაცემთა შენახვის მიმართულებით მსოფლიო ლიდერები არიან. ქართველმა ფილოლოგებმა და ენათმეცნიერებმა შეარჩიეს პოემის აკადემიურად ყველაზე ზუსტი, კანონიკური ტექსტი (ქართულ ენაზე), მოამზადეს მისი ციფრული ფორმატი. „ამ პროცესის საბოლოო პროდუქტი – **სილიციუმის ნანოსფეროებში** დაცული დნმ-ის მატარებელი – **საქართველოს ეროვნულ მუზეუმში** ინახება, როგორც ტექნოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ექსპონატი“.

რობერტ გრასმა (Robert Grass) და მისმა კოლეგამ რაინჰარდ ჰეკელმა (Reinhard Heckel), ETH-ის ყოფილმა მეცნიერმა, ალბომი ციფრული აუდიოგენეტიკურ კოდად თარგმნეს. „მაშინ, როცა CD-ზე ან მყარ დისკზე შენახული ინფორმაცია ნულებისა და ერთიანების თანმიმდევრობაა, ბიოლოგია გენეტიკურ ინფორმაციას დნმ-ის ოთხი სამშენებლო ბლოკის – A, C, G და T-ის – თანმიმდევრობით ინახავს“, – განმარტავს გრასი.

ციფრული მეხსიერება (HDD, SSD) მაქსიმუმ რამდენიმე ათწლეულს ძლებს და დიდ ფიზიკურ ადგილს იკავებს. დნმ-ი კი იდეალური „მარადიული არქივია“:

მაინც, რა თვისებები ახასიათებს დნმ-ს, რაც ამდენი რამის შენახვის საშუალებას იძლევა:

1. **გამძლეობა:** სათანადო პირობებში (მშრალ, გრილ ადგილას) მას შეუძლია ინფორმაცია შეინახოს **ათასობით წლის** განმავლობაში (როგორც ამას ნამარხი ორგანიზმების დნმ ადასტურებს).
2. **კომპაქტურობა:** დნმ-ი არის ინფორმაციის შენახვის ყველაზე მაღალი სიმკვრივის მქონე გარემო. ერთ გრამ დნმ-ს შეუძლია **215 მილიონ გიგაბაიტზე მეტი** ინფორმაციის დატევა. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტექსტი ამ გრამის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.
3. **უნივერსალურობა:** დნმ-ის წაკითხვა ყოველთვის შესაძლებელი იქნება, რადგან ის სიცოცხლის ფუნდამენტური მოლეკულაა.

ეს ინფორმაცია ინოვაციური გაკვეთილის დაგეგმვის საშუალებას იძლევა. ჩემი ვერსია ქვემოთაა მოცემული, თუმცა მკითხველს საკუთარ საჭიროებებზე მორგება მარტივად შეეძლება.

გაკვეთილი ინტეგრირებულია, მასში გაერთიანებულია ბიოლოგია, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ქიმია. ასევე მნიშვნელოვანია ლიტერატურის მასწავლებლის ჩართვა, რომელმაც უნდა ისაუბროს „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალობაზე არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო პოეზიაში.

აქტივობა 1: დნმ-ის ანბანის შექმნა – ბიოლოგია/ქიმია

რა არის დნმ-ის ოთხასოიანი (A, T, G და C) ანბანი და ფუძეების კომპლემენტარულობა?

დავალება: მოსწავლეები ქმნიან დნმ-ის ორმაგი სპირალის მოდელს კომპლემენტარულობის პრინციპის გათვალისწინებით (A-T, C-G).

აქტივობა 2: ციფრული ხიდის აგება

როგორ გადავაქციოთ ტექსტი ბინარულ კოდად და შემდეგ ჩავწეროთ დნმ-ის კოდში?

პროცესი: მოსწავლეები სწავლობენ, როგორ ხდება ნებისმიერი ასოს (მაგ., „რ“) Unicode-ის ან ASCII-ის მეშვეობით ბინარულ კოდად (0 და 1) გარდაქმნა. შემდეგ კი ამ ბინარულ კოდს გარდაქმნიან დნმ-ის ფუძეების მიმდევრობად (მაგ: 00 = A, 01=T, 10=C, 11 = G).

აქტივობა 3: პროექტი „ჩემი მარადიული მემკვიდრეობა“

დავალება: მოსწავლეები ირჩევენ მათთვის მნიშვნელოვან მოკლე ფრაზას „ვეფხისტყაოსნიდან“ და სქემის სახით წარმოადგენენ მისი კოდირების სრულ პროცესს პოსტერზე: ორიგინალი ტექსტი → ბინარული კოდი → დნმ-ის მიმდევრობა.

1. შეავსეთ ცხრილი:

ფუძე	სრული სახელი	კომპლემენტური წყვილი
A	ადენინი	
T	თიმინი	
G	გუანინი	
C	ციტოზინი	

2. დაახლოებით რამდენი ინფორმაციის შენახვა შეუძლია **ერთ გრამ** დნმ-ს?

3. რატომ არის დნმ-ში ჩაწერილი ინფორმაცია გაცილებით უფრო გამძლე?

პასუხი: ის დაცულია სილიციუმის ნანოსფეროებში, ქიმიურად სტაბილურია და მისი შენახვა შესაძლებელია ათასობით წლის განმავლობაში ბუნებრივ გარემოში, ელექტროენერგიის გარეშე.

4. პრაქტიკული დავალება: მოცემულია დნმ-ის **ერთ-ერთი ჯაჭვი:** A T C G T T A G C. შეადგინე მისი კომპლემენტარული ჯაჭვი.

პასუხი: კომპლემენტარული ჯაჭვი: T A G C A A T C G

5. **კოდირების სქემის გამოყენებით განახორციელე ბინარული გარდაქმნა.**

კოდირების სქემა: 00 = A; 01 = T; 10 = C; 11 = G.

1. ბინარული გარდაქმნა:

ბინარული კოდი	11	01	10	00	11
დნმ-ის თანმიმდევრობა					

პასუხი:

ბინარული კოდი	11	01	10	00	11
დნმ-ის თანმიმდევრობა	G	T	C	A	G

2. დეკოდირება:

ბინარული კოდი					
დნმ-ის თანმიმდევრობა	C	T	G	A	C

პასუხი:

ბინარული კოდი	10	01	11	00	10
დნმ-ის თანმიმდევრობა	C	T	G	A	C
გაერთიანებული კოდი	1001110010				

6. **ისტორია და ტექნოლოგია:** რატომ აირჩიეს „ვეფხისტყაოსანი“?

ეს ინტეგრირებული აქტივობები უზრუნველყოფს ცოდნის რამდენიმე მიმართულებით ათვისებას:

1. თეორიის პრაქტიკით განმტკიცება (STEM განათლება): მოსწავლეები აღარ სწავლობენ დნმ-ს მხოლოდ როგორც „გენეტიკურ მასალას“, არამედ იგებენ, რომ ის არის **მათემატიკურად ზუსტი, საინფორმაციო სისტემა**, რაც აძლიერებს ალგორითმულ აზროვნებას.
2. ინტერდისციპლინარული უნარები: პროექტი აჩვენებს, რომ ლიტერატურა, ისტორია, ქიმია და კომპიუტერული მეცნიერებები ერთი დიდი სამეცნიერო ფაზლის ნაწილია. მოსწავლეები იგებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობასაც სჭირდება თანამედროვე ტექნოლოგიები საიმედოდ შესანახად.
3. გლობალური კონტექსტი და ინოვაცია: მოსწავლეები ხედავენ, რომ ქართული ეროვნული საგანძური მოექცა გლობალური სამეცნიერო ინოვაციის ცენტრში, რაც აჩვენებს საქართველოს ჩართულობას მსოფლიო ინტელექტუალურ პროცესებში.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ ონლაინკოდირების მარტივი კალკულატორები (მაგ: ASCII to Binary Converter) და ETH ციურიხის კვლევების პოპულარული ვერსიები, რათა მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ დაინახონ, როგორ ხდება ნებისმიერი ტექსტის გენეტიკურ ენაზე თარგმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.unicode.org/charts/PDF/U10A0.pdf
2. https://www.youtube.com/watch?v=9DNYoh0KPgM
3. https://ethz.ch/en/news-and-events/eth-news/news/2018/04/entire-music-album-to-be-stored-on-DNA.html
4. შემდეგი პოდკასტი

დანართი:

ასო	UTF-8-ის ბოლო 16 ბიტი (ორობითი)	დნმ-ის კოდი (ბოლო 8 ნუკლეოტიდი)
ა	10000011 10010000	CAGCACTA
ბ	10000011 10010001	CAGCACTT
გ	10000011 10010010	CAGCACTC
დ	10000011 10010011	CAGCACTG
ე	10000011 10010100	CAGCAGAA
ვ	10000011 10010101	CAGCAGAT
ზ	10000011 10010110	CAGCAGAC

მაია ფირჩხაძე

სივრცე, ადამიანი, იდენტობა – მიდგომები მხარის/რეგიონის ცნების გააზრებისათვის „ჩვენი საქართველოს“ გაკვეთილებზე

„ჩვენი საქართველო“ ინტეგრირებული საგანია, რომელიც მხარეთმცოდნეობით პრინციპზეა აგებული. ოღონდ აქ „მხარე“ მხოლოდ გეოგრაფიული არეალი არაა, ის ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების კულტურულ-სოციალური სივრცეა, სადაც ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. მხარის გაგება-გააზრება „ჩვენი საქართველოს“ საგნის შესწავლისთვის აუცილებელი ყველა ცნების გაგება-გააზრების საფუძველია (**სივრცე (მხარე, რეგიონი)** (საზ.მეც. დაწყ. (II) 1), **მეურნეობა** (საზ.მეც.დაწყ. (II) 2,4,5), **დრო (ცვლილება)** (საზ.მეც.დაწყ. (II) 3, 5), **საზოგადოება** (საზ.მეც.დაწყ.(II) 5), **მრავალფეროვნება** (ყოფითი თავისებურებები) (საზ.მეც.დაწყ.(II) 4), **სახელმწიფო** (საზ.მეც.დაწყ.(II)5,6)).
ეს ეხმარება მოსწავლეს:

- წარმოიდგინოს ადამიანი დროსა და სივრცეში;
- გაიაზროს, რას ნიშნავს იყო „ქართლელი“, „იმერელი“, „მეგრელი“, „კახელი“, „ფშაველი“, „მოხევე“ და ა.შ.
- დაინახოს და გააცნობიეროს, რა არის:
  - სივრცე (პეიზაჟი, ბუნებრივი გარემო) („რა?“ „სად?“...);
  - ადამიანი (საზოგადოებრივი ცხოვრება, საქმიანობა) („ვინ?“...“როდის?“.. „როგორ?“.);
  - იდენტობა (ტრადიციები, კულტურა, ცნობიერება) („როგორი?“.. „რომელი?“..).

რა ეფექტური სტრატეგიები და მიდგომები შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლემ შეძლოს საგნის შესწავლის სირთულეების დაძლევა და „მხარის/რეგიონის“ გაცნობიერება, სივრცეს, ადამიანსა და იდენტობას შორის კავშირის დანახვა?

პირველ ეტაპზე სასურველია, აქტივობები მიმართული იყოს მხარის/რეგიონის ცნების გააზრებისათვის, მაგალითად:

1. ინტერაქციული რუკის გამოყენება – მოსწავლეები ქმნიან მხარის (მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) თემატურ რუკას, რომელზეც დაიტანენ სოფლებს, კოშკებს, გზებსა და კულტურულ ობიექტებს (მაგალითად, შატილის, დართლოს, სნოს, გუდანის);
2. ისტორიული მემკვიდრეობა – მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას (ზეპირი და ფოლკლორული) მხარის (მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) მითებისა და ლეგენდების, კულტურული ტრადიციების შესახებ და წარმოიდგნენ, როგორ ქმნის კულტურა იდენტობას;
3. პრეზენტაციები თემაზე – „მხარის ბუნება და მისი გავლენა ადამიანის საქმიანობაზე“, „მთის /ბარის სოფელი“ და სხვ.
4. ვირტუალური მოგზაურობა – ვიდეომასალის ან 3D რუკის გამოყენება ადგილობრივი ბუნებრივი გარემოსა და არქიტექტურის შესასწავლად.

ის აქტივობები, რომლებიც სტანდარტის მიზნის მისაღწევად სჭირდება მასწავლებელს, დაფუძნებული უნდა იყოს მხარეთმცოდნეობითი შესწავლის პრინციპზე და უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს მხარის/ რეგიონის ისტორიული, სოციალური და სულიერი ერთობის აღქმასა და შემეცნებაში, რაც რეალურად საკუთარი ქვეყნის სიღრმისეული შესწავლის საფუძველია.

5. დისკუსია – მოსწავლეები მსჯელობენ კითხვებზე:
   - რას ნიშნავს ამა თუ იმ მხარეში (მაგალითად, მთიანეთში) ცხოვრება?
   - რა კავშირია ადამიანის საქმიანობასა და იდენტობას შორის?
   - რომელი ღირებულებები აერთიანებს რეგიონს?

მსგავსი სტრატეგიებით მოსწავლე თანდათან გააცნობიერებს სივრცესა და ადამიანს შორის კავშირს, დაინახავს, რომ მხარე/რეგიონი არის ის, სადაც ბუნება, ადამიანი, კულტურა და ტრადიციები ერთ მთლიანობას ქმნიან კონკრეტულად მისთვის დამახასიათებელი ელემენტებით (ანუ მოსწავლეები არ შეისწავლიან მხოლოდ ფაქტებს, არამედ შეასრულებენ იმ აქტივობებს, რომლებითაც შეძლებენ სივრცის აღქმას იმ ადამიანების საქმიანობისა და მოღვაწეობის კონტექსტში, რომლებიც იქ ცხოვრობენ). შესაბამისად, ის აქტივობები, რომლებიც სტანდარტის მიზნის მისაღწევად სჭირდება მასწავლებელს, დაფუძნებული უნდა იყოს მხარეთმცოდნეობითი შესწავლის პრინციპზე და უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს მხარის/ რეგიონის ისტორიული, სოციალური და სულიერი ერთობის აღქმასა და შემეცნებაში, რაც რეალურად საკუთარი ქვეყნის სიღრმისეული შესწავლის საფუძველია.

მეორე ეტაპზე აქტივობები მიმართულია მხარის/ რეგიონის, ადამიანისა და იდენტობის ურთიერთკავშირის გააზრებისკენ, მაგალითად,

- **სივრცის რუკის შექმნა** იდენტობის ჩამოყალიბებისთვის. ამ მიზნით მოსწავლეები:
  - მუშაობენ რუკაზე (ფიზიკური რუკა ან ციფრული Google Maps);
  - რუკაზე აღნიშნავენ სვანეთის, თუშეთისა და ხევსურეთის და ა.შ. სოფლებს/დასახლებულ პუნქტებს (მაგალითად, ომალოს, შატილს, სნოს, კავთისხევს და ა.შ.);
  - თითოეულ წერტილთან მიმართებაში ქმნიან მოკლე ნარატივს, სადაც აღწერენ, როგორ მოქმედებს ბუნება ადამიანების ცხოვრებაზე;
  - მიუთითებენ ამ მხარის ადამიანების იდენტობის განმსაზღვრელ სამეურნეო და კულტურულ ელემენტებზე (საქმიანობა, ჩაცმულობა, ნაგებობა, ფოლკლორი..);
  - მიღებულ შედეგებს შეაჯამებენ პრეზენტაციით (ზეპირი / ვიზუალური).
- **„ინტერვიუ წარსულთან“** :
  - მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოს ტექსტებს (მაგალითად, ხევსურე-

ბის, თუშების, ფშაველების, ქართლელების და ა.შ. ცხოვრების შესახებ);

- შეადგენენ „ისტორიულ ინტერვიუს“: წარმოიდგენენ, რომ ესაუბრებიან ხევსურ მოხუცს, ან თუშ მეცხვარეს, ან მეგრელ მესიმინდეს და ა.შ. სხვადასხვა საკითხზე:
- რა მნიშვნელობა აქვს მათთვის სამშობლოს, მთასა და ბარს?
- როგორ გამოხატავენ, როგორ აღიქვამენ საკუთარ იდენტობას?
- რას ჰქვია, იყო „ხევსური“, „ფშაველი“, „მოხევე“, „ქართლელი“ და ა.შ.

„საქართველოს გზებზე“ – სივრცისა და ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისათვის იგეგმება კიდევ ერთი აქტივობა – **„საქართველოს გზებზე“**. ამ მიზნით მოსწავლეები:

- რუკაზე მონიშნავენ სავაჭრო გზებს (მაგალითად, დარიალის ხეობა..);
- მოძებნიან იმ გზებს, რომლებიც კონკრეტულ მხარეებს ერთმანეთთან აკავშირებდა;
- იმსჯელებენ, როგორ უწყობს ხელს ვაჭრობა, ეკონომიკა მხარის განვითარებასა და იდენტობის ჩამოყალიბებას.

პრეზენტაცია თემაზე: „რას ნიშნავს იყო...“ (მაგალითად, მთიელი):

- მოსწავლე მოკლე ტექსტს წერს მხარის შესახებ;
- პრეზენტაციას დაამატებს სურათს ან ნახატს, რომელიც უკეთესად გადმოსცემს მხარის ძირითად შინაარსს (თოვლიანი მთა.. კოშკი..);

ნიმუში – ცხრილი – „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“:

სივრცე	ადამიანი	კულტურული იდენტობა	ეკონომიკა	ცვლილება XXI საუკუნეში
თუშეთი	მწყემსობა, სეზონური მიგრაცია	სტუმარ-მასპინძლობა, ტრადიცია, სამოსი, ნაგებობა მეცხვარეობა	ხალხური რეწვა	ტურიზმი, გზების ინფრასტ-რუქტურა
ხევსურეთი	თავდაცვითი ციხეები	ტრადიციული სამოსი, ერთგულება	მეცხვარეობა ხალხური რეწვა	ურბანიზაციის გავლენა

მეტაკოგნიტიური ამოცანა:

- მოსწავლეები მუშაობენ ცხრილის შევსებაზე, რომელიც ეხმარება სივრცის გააზრებასა და საკუთარი იდენტობის გაცნობიერებას.

რეფლექსიური შეკითხვები:

- *როდის ხდება ბუნებრივი სივრცე ადამიანის იდენტობის ნაწილი?*
- როგორ გეხმარება შენი რეგიონისა და სხვა რეგიონების გაცნობა იდენტობის გააზრებაში?

აღნიშნული მიდგომები ეხმარება მოსწავლეს, გამოცდილების, ცოდნისა და ემპათიის საფუძველზე, გაიაზროს ცნება „მხარე/რეგიონი“, „სივრცე“, როგორც გეოგრაფიული ერთეული და აღიქვას მხარეს/რეგიონს, სივრცეს, ადამიანსა და იდენტობას შორის ურთიერთკავშირი და წარმატებით გააგრძელოს „ჩვენი საქართველოს“ სხვა ცნებების შესწავლაც.



ლელა კოტორაშვილი

საკითხავი მეთერთმეტე-კლასელებისთვის

საკითხავის შესახებ ფიქრი სოციალურ ქსელში გაზიარებულმა ფოტომ შთამაგონა. დედას თავისი მოზარდი შვილისთვის მთელი წლის საკითხავი 12 თვის მიხედვით შეერჩია, თორმეტივე წიგნი შეეფუთა და თითოეულ წიგნზე თვეების სახელები დაეწერა. საკითხავი წიგნის ამგვარად შეთავაზება ცნობისმოყვარეობას აღძრავს. დიდი სურვილი გამიჩნდა, მეც შემერჩია ჩემი 16 წლის შვილისთვის მთელი წლის საკითხავი და რადგან მის კლასს ვასწავლი, გადავწყვიტე, ჩანაფიქრი საკლასო პროექტად მექცია.

სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების, არასწორი დღის რეჟიმის, ვრცელი ტექსტებით გადატვირთული სახელმძღვანელოების გამო მოზარდებს თანდათან უფრო ნაკლები დრო რჩებათ კითხვისთვის. მოსწავლეთა საჭიროებებზე დაკვირვებამ დამარწმუნა თვის საკითხავი წიგნების აუცილებლობაში.

ჩემი ბიბლიოთეკიდან შევარჩიე 25 ქართველი ავტორის წიგნი, რომლებიც სხვადასხვა ჟანრსა და ეპოქას მოიცავდა. თითოეული წიგნიდან ამოვწერე ციტატა, ამოვბეჭდე ორ ეგზემპლარად და დავჭერი, წიგნები გავახვიე ქაღალდში, თოკით შევკარი და გამხმარი ვარდებით გავაფორმე, შემდეგ მოვძებნე მწერლების ფოტოები და სლაიდშოუდ ავკინძე, ბოლოს კი ფიქრი დავიწყე იმის შესახებ, თუ რა ფორმით მიმეწოდებინა წიგნები 16 წლის გოგო-ბიჭებისთვის ან გაკვეთილის თემად რა შემერჩია. მოსწავლეთა ინტერესებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, გაკვეთილის სათაური ასე შევარჩიე – ქართველი მწერლები – მათი მხატვრული ენა, სტილი.

- სლაიდშოუს გამოყენებით გავაცანი 25 ქართველი ავტორი და თითოეულის შესახებ მივაწოდე ინფორმაცია;
- დავურიგე გამომცხვარი მაფინები, რომლებშიც ჩარჭობილი მქონდა წიგნებიდან ამოწერილი ციტატები;
- რამდენიმე ციტატა წაიკითხეს ხმამაღლა;
- შეფუთულ წიგნებში ციტატის ნომრის მიხედვით მოძებნეს კუთვნილი წიგნი;
- ბოლოს დავურიგე ფერადი ბარათები, რომლებზეც დაწერეს სამი რამ, რაც გაკვეთილიდან დაამახსოვრდათ.

გაკვეთილის თანმიმდევრობა ამგვარი იყო:

- ვთხოვე, გაეხსენებინათ, რომელ ქართველ ავტორებს იცნობენ და პასუხები დაფაზე ჩამოვწერე;
- დავაფიქრე, თუ როგორ ესმოდათ სიტყვა „სტილის“ მნიშვნელობა;
- მინილექციით გავაცანი ლიტერატურული სტილის რაობა, ვესაუბრე სტილისტიკის შესახებ;

შევთანხმდით, რომ წიგნს ნოემბერში წაიკითხავენ, თვის ბოლოს კი ლიტერატურულ კაფეს გავმართავთ და ვისაუბრებთ წაკითხული წიგნების შესახებ.

რეალობას თვალს ვუსწორებ და ვიცი, რომ ოცდახუთივე მოსწავლე წიგნს არ წაიკითხავს, თუმცა, თითოეულმა იგრძნო მისთვის განკუთვნილი მასწავლებლის ყურადღება,

ამასთანავე, კლასში შექმნილი დადებითი განწყობა კითხვის მოტივაციასაც აამაღლებს და ცოდნას შეიძენენ. მთელი თვის განმავლობაში ვაპირებ ტექსტის ანალიზის ირგვლივ დაგეგმილი გაკვეთილები შევთავაზო კლასს და ლიტერატურული სტილი რასაც მოიცავს, თითოეულ საკითხს (თემა, იდეა, მოტივი, მხატვრული ენა, პეიზაჟი, გმირის ხასიათი...) სიღრმისეულად შევეხო.

საკითხავი წიგნების ნუსხა ამგვარია:

1. რაზიკაშვილების მიმოწერა;
2. მარო მაყაშვილის დღიური;
3. „გრიგოლ რობაქიძე – წერილები სტეფან ცვაიგს“, ნათია ფურცელაძე
4. „ბორიაყი“, ოთარ ჩხეიძე;
5. „მღვდლის ცოდვა“, გოდერძი ჩოხელი;
6. „ანტონიო და დავითი“, ჯემალ ქარჩხაძე;
7. „ვა, სოფელო...“, ზაირა არსენიშვილი;
8. „ზებულონი“, ჯემალ ქარჩხაძე;
9. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, 100 ამბავი
10. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, აკა მორჩილაძე
11. „გადამალვა“, ალეკო შუღლაძე
12. „ჯინსების თაობა“, დათო ტურაშვილი
13. „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, ლანა ღოღობერიძე
14. „ტრანსმუტაცია“, იაგო თვალაბეიშვილი
15. „ახალი აღქმა“, ნანა აბულაძე
16. „ისპაჰანის ბულბულები“, ნესტან-ნენე კვინიკაძე
17. „მოგზაურის ჩანაწერები“, ჯუმბერ ლეჟავა
18. „სამხრეთის უბანი“, მარი ბექაური
19. „ეს მე ვარ, ფიროსმანი“, შორენა ლებანიძე
20. „კონკიას ღამე“, კოტე ჯანდიერი
21. „ქალაქი წყალზე“, სალომე ბენიძე
22. „გათვლა“, თამთა მელაშვილი
23. „სწრაფი, ღამისმიერი“, ზურა ჯიშკარიანი
24. „სამხრეთული სპილო“, არჩილ ქიქოძე
25. „მშვიდი ცურვა“, ირაკლი ჩარკვიანი

მეთერთმეტეკლასელების გამოხმაურება გაკვეთილის ბოლოს. გასასვლელ ბარათებზე დაწერეს 3 რამ, რაც გაკვეთილიდან დაამახსოვრდათ:

- ყველა მწერალს თავისი დამახასიათებელი სტილი აქვს. სტილისტიკა ენათმეცნიერების დარგია. ლიტერატურულ ნაწარმოებს საკუთარი ენა აქვს. **ანა რაზმაძე**

სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების, არასწორი დღის რეჟიმის, ვრცელი ტექსტებით გადატვირთული სახელმძღვანელოების გამო მოზარდებს თანდათან უფრო ნაკლები დრო რჩებათ კითხვისთვის. მოსწავლეთა საჭიროებებზე დაკვირვებამ დამარწმუნა თვის საკითხავი წიგნების აუცილებლობაში.



- სლაიდშოუ და წარწერებით გადავსებული დაფა. თეთრ ქაღალდში შეხვეული წიგნების ასხმა, რომლებსაც იასამნისფერი ყვავილების ღეროები ჰქონდა ჩარჭობილი. ბავშვების ყიჟინა, წიგნების დარიგების პროცესი და ჩემი უკმაყოფილება. **თეკლა მეტრეველი**
- „აუ, მე ეს არ მინდოდა!" „ამ ხალხის დამსახურებაა, დღეს რომ სკოლაში სწავლობ". პროექტორის პრობლემები. **ნინი მიხანაშვილი**
- მაფინების დარიგება. „ინტელექტი თავისუფალია". ზაირა არსენიშვილი. **ლუკა არაბული**
- საინტერესო იყო საუბარი სტილსა და მწერლებზე. საოცარი გრძნობა იყო, სანამ გავიგებდი, რა წიგნი იყო. ავღელდი. მას, თქვენს გამომცხვარ მაფინებზე ვგიჟდები! **დიანა ლიქოკელი**
- დამამახსოვრდა ის, რომ ეს დღე მნიშვნელოვანია ჩემთვის და მომავალში თბილად გამახსნდება. **ნინი ბერმამუკელი**
- ულამაზესად შეფუთული წიგნები. ქართველი მწერლები. სტილი, სტილისტიკა. **ანანო კიპაროიძე**
- წიგნების ძებნა. ფოტოების გადაღება. ნამცხვრების ჭამა. **ნინო სახელაშვილი**
- შეფუთული წიგნები. მიშოს გაღვიძება მაფინებით. კომპიუტერის წვალება. **მეგი დავიდოვი**
- ჩარკვიანის „მშვიდი ცურვა". დეას ნათქვამი: „მართლა ჩარკვიანი რომ ამოგივიდეს" და მართლა ეგ ამომივიდა. მწერლები, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურას გვაცნობენ. **ნია თედორაძე**
- ლელა მასწავლებელმა გამაღვიძა. თავი ავწიე თუ არა, მაფინი შემომთავაზა. **მიშო გელენიძე**
- სტილისტიკა. რა ახასიათებს მხატვრულ სტილს. თედო რაზიკაშვილის სიკვდილი. **სალომე კომახიძე**
- მწერლები, მათი ბიოგრაფიიდან მცირე დეტალები. რაზიკაშვილების მიმოწერა. მაფინები. **მარიამ ღამბაშიძე**
- ის, რომ თედო რაზიკაშვილი ქართლში დასახლდა, ირაკლი ჩარკვიანმა წიგნი დაწერა, ანას „ანტონიო და დავითი" შეხვდა. **მარიამ თხლაშიძე**

მოსწავლეთა გასასვლელი ბარათებიდან ამოკითხული შთაბეჭდილებები დამეხმარა გაკვეთილის შეფასებაში, მაგალითად, მივხვდი, რომ მოსწონთ მინილექცია და ამ დროს მიწოდებული ინფორმაცია, აქტივობების მონაცვლეობა, ამბები, რომლებიც მხოლოდ ერთ გაკვეთილზე ხდება და კიდევ ის, რომ ცოდნის განსამტკიცებლად საჭიროა იმავე თემის შესახებ კიდევ სხვა გაკვეთილების დაგეგმვა.

ნოემბრის თვის საკითხავი წიგნების ნუსხას თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ავტორები მე-19, მე-20 და 21-ე საუკუნეებს მოიცავს, ტექსტების ჟანრი დ ფორმაც მრავალფეროვანია: მხატვრული ლიტერატურა, დოკუმენტური და სამოგზაურო პროზა, პირადი წერილები, მცირე და დიდი ზომის რომანები, საინფორმაციო ტექსტი, ავტობიოგრაფია, დღიური. კლასიკოს ავტორებთან ერთად გაეცნობიან თანამედროვე ლიტერატურას, ავტორებს და ჟანრის, ტექსტის, მთავარი თემების ცვლილებებზე დაკვირვებას შეძლებენ. მე კი ერთი სული მაქვს, როდის მოვა ნოემბრის ბოლო და როდის გამიზიარებენ შთაბეჭდილებებს ბავშვები. არასდროს დამავიწყდება ამ გაკვეთილისთვის მზადების პროცესი, ბავშვების ანთებული თვალები და ბედნიერი სახეები.

www.mastsavlebeli.ge

www.mastsavlebeli.ge

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

რატომ არის მნიშვნელოვანი დროის მართვა ბავშვებისთვის

ცოტა ხნის წინ, ახალი პროფესიის შესწავლა გადავწყვიტე. მოვიძიე ინფორმაცია საუკეთესო კურსისა და ხელმძღვანელის შესახებ, მოვძებნე სოციალურ ქსელში და მივწერე. კურსის ხელმძღვანელმა საერთო სასაუბროში დამამატა და შემომთავაზა დასწრება ონლაინ შეხვედრაზე, რომელზეც კურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა მიგვეღო. შეხვედრა საღამოს 10 საათზე ჩაინიშნა, რადგან მონაწილეთა უმრავლესობა ბავშვიანი იყო და დღისით არ ეცალა.

შეხვედრა დათქმულ დროს დაიწყო, კურსის ხელმძღვანელი გაგვეცნო, ერთმანეთს გავეცანით მონაწილეებიც. ხელმძღვანელი საუბრობდა პროფესიის გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ, მაგრამ პრაქტიკული ინფორმაცია, რომელიც ყველას გვაინტერესებდა, დიდხანს ვერ მივიღეთ. როდესაც ღამის 12-ს გადასცდა, პრაქტიკულ კითხვებზე პასუხები კი ისევ არ მქონდა და ჩემმა პატარამაც გაიღვიძა, გადავწყვიტე, შეხვედრა დამეტოვებინა და აღარც ამ სასწავლო კურსის შესახებ მეფიქრა.

დრო ძვირფასი რესურსია, რომელსაც მოფრთხილება და სწორი განაწილება სჭირდება, განსაკუთრებით ახლა, ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და ცხოვრების სწრაფი ტემპის პირობებში. ადამიანების უმრავლესობა ვერ ახერხებს, ისე გაანაწილოს დრო, რომ მისგან სარგებელი მიიღოს და დროის დეფიციტის პირობებში ნაკლებად დაზარალდეს. როცა ეს არ გამოგვდის, ყველას ძალიან ცოტა დრო გვრჩება იმ პატარა სიამოვნებებისთვის, რომლებიც გვაბედნიერებს და რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა იქნება ეს, მათთვის დროის დათმობა, დანაშაულის შეგრძნების გარეშე დასვენება თუ სხვა რამ.

დროის დაგეგმვა, მისი რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელიც აუცილებლად უნდა განვუვითაროთ ბავშვებსაც და მოზარდებსაც, რომ თვითონაც არ შეეჯახონ იმ პრობლემას, რომელსაც დროის არასწორი მენეჯმენტი ჰქვია. ბავშვს, რომელიც მართავს საკუთარ დროს, უყალიბდება განცდა, რომ საკუთარ ცხოვრებას თავად განაგებს. ეს მაღლა სწევს მის თვითშეფასებას, მატებს თავდაჯერებას.

რატომ არის ბავშვისთვის მნიშვნელოვანი დროის მართვა?

- ის აცნობიერებს, რომ დრო უნიკალური რესურსია;
- უყალიბდება დროის დაგეგმვის უნარი;
- სწავლობს პრიორიტეტულობის მიხედვით საქმეების განაწილებას;
- ახერხებს საკუთარი ყოველდღიურობის იმგვარად ორგანიზებას, რომ რჩება დრო დასვენებისთვის, თამაშისთვის, სწავლისა და ურთიერთობებისთვის;
- დროის მართვის უნარი ხელს უწყობს სტაბილურობის განცდის ჩამოყალიბებას და ამცირებს შფოთვას;
- კარგად დაგეგმილი სასწავლო გრაფიკი გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე – ის უფრო მეტ წარმატებას აღწევს სწავლაში;
- როდესაც ბავშვი სწავლობს თავისი და სხვისი დროის პატივისცემას, ის ხდება უფრო ორგანიზებული და პასუხისმგებლობიანი სხვებთან ურთიერთობაშიც.

დროის მართვის უნარი არ არის თანდაყოლილი ჩვევა, ის ყალიბდება მშობლისა და მასწავლებლის თანმიმდევრული მხარდაჭერით ადრეული ასაკიდან, როდესაც ბავშვი სწავლობს დროის გონივრულად განაწილებას საკუთარ შესაძლებლობებს, სურვილებსა და პასუხისმგებლობებს შორის.

ნასტასია არაბული

თუ ემპათია სწავლებადია, როგორ შეიძლება მისი სწავლება სკოლებში

„თანაგრძნობის უნარის ქონა კაცობრიობის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია“.

მართა ნუსბაუმი,
ამერიკელი ფილოსოფოსი

ხშირად, როცა სოლიდარობისა და თანაგრძნობის მნიშვნელობაზე საუბარი მესმის ხოლმე, გამიგონია, რომ ფინურ სკოლებში ემპათიას სკოლებში სპეციალურად ასწავლიან ბავშვებს. ამ ინფორმაციის გადამოწმებას თუ გადაწყვეტთ ჩემსავით, ნახავთ, რომ ემპათია მართლაც ისწავლება, თუმცა არა ცალკე საგნად, არამედ პრაქტიკად, ცხოვრების წესად, ყოველდღიურ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად, ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა, სპეციალურად შერჩეული ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვები, როლური თამაშები, კონფლიქტური ვითარებების მედიაციური მიდგომით გადაწყვეტის მცდელობები და ჯგუფური სამუშაოები, რაც სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასა და დახვეწას უწყობს ხელს. ამ მიდგომის მიზანია, ემოციურად მდგრადი ინდივიდების ჩამოყალიბება, თვითშემეცნებით სიამოვნების მიღება, ემოციური რეგულირება და კონფლიქტების მოგვარებისას ინიციატივის გამოჩენა, თანმიმდევრული მოქმედება.

საქმე ის გახლავთ, რომ ფინეთი განათლებას არ უდგება როგორც მხოლოდ სახელმწიფო სერვისს, რომელსაც საკუთარ მოქალაქეებს სთავაზობს – ფინეთის სახელმწიფოსთვის განათლებული, ემოციურად მდგრადი და სოლიდარული საზოგადოება ქვეყნის რესურსად აღიქმება. როგორც ამბობენ ხოლმე, „ჩვენ დიდი არაფერი გვაქვს, მხოლოდ ტყეები და საკუთარი ხალხიო“. ამ მიდგომის ნაწილია, ერთი მხრივ, მოსწავლეების მაქსიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი – ყოფითი უნარების განვითარება აკადემიური განათლების მიღების პარალელურად. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, მაგალითად, მათემატიკისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ასევე ისწავლება კონცენტრაცია, თანამშრომლობა და ემოციების მართვა, საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე გარემოსა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობების საკითხები, აქტიური მოქალაქეობისა და მოხალისეობის პრინციპები, კრიტიკული აზროვნების გავარჯიშება კი მუდმივი პროცესია.

ამ მოდელში კითხვები არანაკლებ ღირებულია, ვიდრე პასუხები.

კონკრეტული საკითხის შესწავლისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყაროების ფილტრაციისა და შედარების უნარების მუდმივი წრთობა.

არგუმენტირებული და გააზრებული პოზიციების ქონა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე „სწორი პასუხის“ ცოდნა.

უნდა არსებობდეს სივრცე სხვის მოსასმენად, საკუთარი თავის გვერდიდან შესაფასებლად, პოზიციების გადასახედად.

„განათლების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, ჩამოყალიბდნენ კაცობრიობისა და საზოგადოების ეთიკურად პასუხისმგებლობიან წევრებად“ – წერია 2016 წელს მიღებულ ფინეთის ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ემოციური უნარების განვითარება პრაგმატული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია – გარდა იმისა, რომ ემპათიური ადამიანები, კვლევების მიხედვით, უკეთეს აკადემიურ მოსწრებას აჩვენებენ, პოლარიზებულ საზოგადოებებში, სადაც ტექნოლოგიები უფრო და უფრო დიდი დოზით იჭრება ყოველდღიურობაში, უკიდურესად ადამიანური უნარები შესაძლოა გადარჩენის, განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ჩამოყალიბდეს. თანაგრძნობის უნარი თვითშემეცნების უნარის გარეშე არ არსებობს – იმისათვის, რომ სხვა ადამიანებს გაუგო, მათ მდგომარეობაში შეხვიდე და მათი მხარდაჭერა უნდა შეძლო, შენ თავს უნდა იცნობდე, შენს ემოციებს აკონტროლებდე.

ამგვარ მსჯელობებს კონკრეტული მაგალითები უხდება ხოლმე. აი, რამდენიმე მათგანი ფინური სკოლებიდან:

- მათემატიკის ან ბიოლოგიის გაკვეთილზე ბავშვები ადგენენ მთელი კვირის კვების გეგმას, ქმნიან საყიდლების სიას, სასურსათო ბიუჯეტს და სწავლობენ დაბალანსებული კვების პრინციპებს. ეს მათ საკუთარ თავზე ზრუნვას, ყოფით ეკონომიკას, ნუტრიციოლოგიის საბაზისო პრინციპებს და რაც მთავარია, პასუხისმგებ-

ლობას ასწავლის და ცხოვრებისთვის ამზადებს.

- ლიტერატურის გაკვეთილზე ბავშვები მსჯელობენ კონკრეტული პერსონაჟის მოტივაციებზე, მისი ქცევის მოდელებზე; განიხილავენ, როგორ მოიქცეოდნენ თვითონ ანალოგიურ მდგომარეობაში და ეხებიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, მორალი, პასუხისმგებლობა, სიყვარული, მეგობრობა და ა.შ.
- ბუნების გაკვეთილზე ბავშვები ღია ცის ქვეშ თავშესაფრის აგებას სწავლობენ, გარეთ ამზადებენ კერძებს და ცდილობენ, თანამედროვე გაჯეტების გარეშე ისწავლონ ნავიგაცია უკაცრიელ გარემოში. ასე სწავლობენ ისინი გუნდურ მუშაობას, ერთმანეთზე ზრუნვას, რისკების შეფასებას, დაზღვევასა და უცხო გარემოში ადაპტირებას.
- პროექტებზე დაფუძნებული სწავლება იძლევა საშუალებას, შედარებით უფროსკლასელებმა რომელიმე დიდ თემასთან ან მათთვის მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით მოაწყონ ღონისძიება, შექმნან პოდკასტი ან ჩაატარონ თემში სამოყვარულო კვლევა. ამ გზით ისინი უფრო მრავალმხრივად ხედავენ საკითხს, მასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას და სწავლობენ სხვების გამოცდილების გაზიარებისა და გაცნობის შემდეგ საკუთარი სათქმელის ფორმირების გზებს.
- უფროს კლასებში შესაძლოა მოსწავლეებმა მცირე გუნდებით პატარა ბიზნესიც წამოიწყონ, რათა იცოდნენ, როგორ კეთდება ბიუჯეტი, მარკეტინგის გეგმა, ინვესტიციების მოზიდვა, ადამიანური რესურსების სწორად განაწილება და დროისა და მოლოდინების მართვა. ამგვარ პრაქტიკაში მათი მხარდამჭერები, სკოლის გარდა, შეიძლება იყვნენ ადგილობრივი სოციალური საწარმოები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობები.

დიანა ანფიმიადი

რისთვის ვასწავლით პოეზიას სკოლაში?

როდინდელ ფოტოებს მივადექი. აი, ერთ-ერთიდან პატარა, დიდთვალება დიანა ანფიმიადი მიყურებს ცოტა შეშინებული, ცოტა შეციებული, სუფთად ჩაცმული, ხუთოსანი, შავტუხა, ობოლი გოგო. სკოლის სცენაზე დგას, მოყვითალო ფოტოა, მგონი „კოდაკის“ ფირმის ფოტოაპარატებით იღებდნენ მსგავსებს. სხეულის ენით აშკარად ჩანს – ლექსს კითხულობს. ნეტავ რა ლექსია? უყვარდა? ძალით დაასწავლეს? ზამთრის ბნელ ღამეებში, ლამფის შუქზე, „კერასინკის“ სითბოზე. იქნება მაგ ლექსმა გაზარდა, იქნებ მაგ ლექსმა ასწავლა, როგორ არ გაზრდილიყო. ვიხსენებ, ვიხსენებ, ცოტა დამაცადეთ, კარგად გავიხსენო.

ლექსებს კი არა, მაშინ ყველაფერს ზეპირად ვსწავლობდით. ახლა ქრონოლოგიას ვერ აღვიდგენ, მაგრამ ფრაზები მახსენდება ალაგ-ალაგ, ხან სრულიად შეუსაბამო ადგილას, ენაში შაბლონივით ჩაკერებული, უსისტემო გაელვებები: „და დავარდა იგი ქვეყანასა ზედა..“ „ქარნი ხორშაკნი და უდაბურნი“, „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა“, წარვედ წყალის პირს“ და ა.შ. მოდით მოქნილი, მარილიანი ქართულის და ჰაეროვანი ფონეტიკის გამო, ყველა ესენი პოეზიას მივაკუთვნოთ.

რა მომცა? მჭირდებოდა? მე არ გამოვიკვლევ სიმბოლურ და კრიტიკულ აზროვნებაში პოეზიის როლს, სამშობლოს გააზრებას ენის სიღრმიდან. არაფერ მსგავსს. ბოლო დროს მინდა ყველაფერი პრაქტიკული მაგალითებით გამოვიკვლიო, მარტივი, ბავშვური, სასტიკი ჭეშმარიტებებით. ეგეთი ახირება მაქვს. ჰოდა, აი, ამ წამს გავიხსენე თითქმის ყველა ნაცნობი, ვისაც უყვარს და ესმის პოეზია და ისინიც, ვისაც – არ უყვარს. თქვენ უნდა მენდოთ, რომ პატიოსნად გავიხსენე, სხვანაირად აზრი არა აქვს. ესენი ერთნი, სინათლით სავსე ხალხია, მიმტევებელი, თანამგრძნობი, ზრდილი. არა, როგორ არა, ახირებულებიც არიან მათ შორის, უჟმურებიც, ბუზღუნებიც, მაგრამ იოლად შესაყვარებელი, საინტერესო ადამიანები. ის მეორე ნაწილი კი, ვისაც არ უყვარს... როგორ აგიხსნათ, ზოგჯერ ისეთ უხეშ, მკაცრ სიცარიელეს ვგრძნობ მათგან, ვფიქრობ, ნაწვიმარ ქვიშაზე კვალს არ ტოვებენ, მსუბუქად, უტიფრად მიაბიჯებენ თავიანთი განსაზღვრული მიზნებისკენ. ჰა-ჰა, ცოტა გავბრაზდი, კონკრეტული ადამიანი გამახსენდა. მართლა, რანაირია, ღმერთო, ადარდე ახლა მაგას რუსთაველი და გალაკტიონი.

ის კი ვიცი, რომ პოეზია ფაზლია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ რომ გახსნა, არ ვიცი, რამდენჯერ უნდა წაიკითხო. ამიტომ, დაზეპირების რა მოგახსენოთ, მაგრამ პოეზიისთვის ბლომად დროის დათმობას კი ვემხრობი, სანამ ჰარმონიას არ იგრძნობს ბავშვი, სანამ მგრძნობელი არ გახდება, სანამ სულში რაღაც პატარა კარს არ შეაღებს, სადაც თავის ბავშვურ გამომგონებლობას, აღტაცებას და ათას ბანალურ სიკეთეს არ შეინახავს საიმედოდ, თბილად, სამარადისოდ.

როგორ მომინდა ახლა იმ ფოტოში გადავიდე, იმ დიდთვალება ბაიას ხელი მოვკიდო მხრებში და ვუთხრა: შენ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და ყოჩაღი ბაია ხარ და ყველაფერს სწორად აკეთებ. ატარე ეგ ლექსი, როგორც ჯვარი, როგორც წყევლა გაღვიძებულის. მძინარეებმა დაე, თავი მოიმძინარონ.

ჩემო პატარა, პოეზიაზე შეყვარებულო გოგო. გავა წლები და როცა მსოფლიო ცეცხლის ალში გაეხვევა, შენ გაიხსენებ გალაკტიონს და მირზა გელოვანს, შენ ამის მერეც შენ იქნები. შეძლებ, გადარჩე, ისე, რომ ფასი ჰქონდეს მაგ გადარჩენას და ცოტათი მაინც იქნები იმაზე უკეთესი, ვიდრე ამ მომენტის გარეშე იქნებოდი.

მოკლედ ასე, მე მჯერა, რომ თუ სკოლამ ადამიანები უნდა გაზარდოს, თუ რამ მორალი უნდა მისცეს ბავშვს, პოეზიაზე უკეთ ამას ვერაფერი ახერხებს. და ამიტომაც მაქვს ოცნება: ქართველი მეცნიერები, იურისტები, ექიმები, ფიზიკოსები, ქართველი მათემატიკოსები და პროგრამისტები, მიაბიჯებდნენ ამ დაბურულ, ეკლიან სამყაროში ამაყად, მძიმედ, გვასახელებდნენ, გვავითარებდნენ, სჯეროდეთ, სწამდეთ და ზოგჯერ მაინც აგონდებოდეთ: „სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“.

ირმა ტაველიძე

ჰომეროსის თვალი

ეს უილიამ საროიანის ითაკაა – კალიფორნიის შტატში მდებარე ქალაქი. ესენი უილიამ საროიანის ითაკელები არიან, რომელთა ამბებსაც „ადამიანურ კომედიაში“ ვკითხულობთ, სინათლით სავსე, გულში, გონებაში სამუდამოდ ჩასარჩენ წიგნში. ჰომეროსი, ულისე... სხვა რა უნდა ერქვათ ამ ქალაქის მკვიდრთ? (ქართულ თარგმანს მივყვები, შარშან გამოცემულს).

ჰომეროს მაქოლი თოთხმეტი წლისაა. ბევრს შრომობს, ბევრს ფიქრობს. უკეთეს სამყაროში ცხოვრება უნდა, სადაც სხვები ეწურება, მაგრამ დასანახს, საბედნიეროდ, სწორად ხედავს: „ადრე მეგონა, რომ ადამიანი როცა გაიზრდება, აღარ ტირის. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ იწყებს ადამიანი ტირილს, რადგან სწორედ მაშინ აღმოაჩენს ბევრ რამეს“.

დედა მას სიმართლეს არ უმალავს, არ არწმუნებს, რომ მარტივი გამოსავალი უნდა ეძებოს, რომ ტკივილი თავიდან უნდა აირიდოს, რომ სამყაროს მომავალზე დარდი უნდა მიატოვოს. იმ იშვიათ მშობლებს შორისაა, ვისაც შეიძლება უშიშრად გაუმოლოდინს გაუმართლებენ, სადარდებელს მოაკლებენ. „ჩემი მარტოობა საერთოდ არ მადარდებს. მე ის ხალხი მადარდებს, ვისაც სიმტკიცე არ აქვს და ამიტომ მარტოობას და ტკივილს ვერ გაუძლებს. თან ასე მგონია, რომ სამყარო სავსეა ასეთი ადამიანებით“, – მსგავსი ფიქრებითაა სავსე ჰომეროსის დღეები. მოუსვენარი თვალი აქვს – ყველგან უნდა შეიხედოს, ყველა ბნელ კუთხეს უნდა მიაწვდინოს. იღლება. ხანდახან იმედიც როგორიც ბევრს ჰგონია. სამყარო სავსეა დაშინებული ბავშვებით. თავისი შიშით ისინი ერთმანეთს აშინებენ. ეცადე, გაუგო“.

დედა იმასაც ეუბნება ბიჭს, ბოროტები თავს ბოროტებად ვერ აღიქვამენ და ამიტომაც უდანაშაულოები არიან, ცუდ ადამიანს ყოველდღე უნდა მიეტევოსო. გავიხსენოთ, ჰომეროსს ის ასაკი აქვს, სახელი თავიდან რომ უნდა დაარქვას ყველაფერს, შავი თეთრისგან თავიდან რომ უნდა გაარჩიოს – შეკითხვას შეკითხვაზე სვამს, მსოფლიო კი მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველ ქარიშხალშია გახვეული. „წინ მშვენიერი შეცდომები გელის, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩაიდინო და ჩაიდენ კიდეც, – მშვიდად უხსნის დედა. – რა შეცდომებიც უნდა დაუშვა, ნუ შეგეშინდება იმის გამო, რომ ისინი ჩაიდინე და ნურც იმის გამო, რომ მათ კიდევ ჩაიდენ. ენდე შენს გულს. გული ყოველთვის მართალია“.

ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი ჰიქსიც უნდა ვახსენოთ, რომელსაც მოსწავლესთან ხილო ყველა დაკვირვება, ყველა ვარაუდი. რჩევები მართლაც საყურადღებო აქვს, დასამახსოვრებელი: „სკოლა იმისთვისაა, რომ ბავშვებმა რამე ისწავლონ და ქუჩებში უსაქმურად არ იყიალონ. მაგრამ დგება დრო, როცა ისინი მაინც გადიან ქუჩაში. [...] ბუნებრივია, მშობლებს, დედებსაც და მამებსაც, ეშინიათ ამის. მიაჩნიათ, რომ ქუჩის სამყარო არ არის სიკეთის მომტანი მათი შვილებისთვის. მაგრამ სინამდვილეში ქუჩა არც ისეთი საშიშია, ისეთი კლასი, მხოლოდ სამაგალითო გოგონებისა და ყმაწვილებისგან რომ იყოს შემდგარი. მინდა, რომ ჩემი მოსწავლეები პიროვნებები იყვნენ, ერთმანეთს არ ჰგავდნენ, თითოეული იყოს განსაკუთრებული, განუმეორებელი...“

ასეთები არიან უილიამ საროიანის ითაკელები. განსაკუთრებულები.

ასეთია უილიამ საროიანის ჰომეროსი – თვალმახვილი, გულდარდიანი.

ცირა ბარბაქაძე

„სიტყვების ბაზარი“ და ლინგვისტური კაპიტალიზმი

ციფრულ ეპოქაში სიტყვებს ახალი მნიშვნელობები ემატება. მაგალითად, თუ მანამდე არსებობდა სიტყვების ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები, ახლა ემატება ახალი სემანტიკა: რა ღირს ეს სიტყვა Google-ის აუქციონზე? წარმოიდგინეთ, რომ Google არის უზარმაზარი ბაზრობა, სადაც არ იყიდება ვაშლი, მსხალი და ატამი, ან პური და ხორცი, არამედ იყიდება – სიტყვები.

ახლა ავხსნათ, როგორ მუშაობს „სიტყვების ბაზრობა“:

ყოველდღიურად მილიარდობით ადამიანი მიმართავს Google-ის საძიებო ველს კითხვებით, რომლებიც შეიძლება იყოს უმარტივესი, მაგალითად, „როგორ მოვხარშო კვერცხი?“ ან უფრო რთული: „როგორია სამყაროს მომავალი?“. ერთი შეხედვით, Google უბრალო საინფორმაციო პორტალია, რომელიც გვაძლევს წვდომას კაცობრიობის კოლექტიურ ცოდნაზე, მაგრამ ამ მარტივი ფასადის მიღმა იმალება მსოფლიოს ყველაზე დინამიკური და გიგანტური ბაზარი – უხილავი ბირჟა, სადაც მთავარი ვალუტა არც აქციებია და არც ნავთობი, არამედ – **სიტყვები**. ყოველი „ძიების“ ღილაკზე დაჭერა მყისიერად იწყებს გლობალურ აუქციონს, სადაც კომპანიები ერთმანეთს ეჯიბრებიან მხოლოდ სიტყვებისთვის კი არა, არამედ იმ განზრახვებისთვის, რომლებიც ამ სიტყვების მიღმა დგას. მაგალითად, თქვენ Google -ში ჩაწერეთ სიტყვა „ავტომობილი“. ამ მომენტში Google მაშინვე აწყობს მინი-აუქციონს, სადაც მრავალი კომპანია (Mercedes, BMW, Toyota) ეჯიბრება ერთმანეთს ამ სიტყვასთან დაკავშირებული რეკლამის ჩვენების უფლებისთვის.

აუქციონი მიმდინარეობს ასე:

- Mercedes ამბობს: „მე გადავიხდი 5 ლარს, თუ ვინმე ჩემს რეკლამაზე დააწკაპუნებს”
- BMW ამბობს: „მე – 7 ლარს”
- Toyota ამბობს: „მე – 3 ლარს”

მაგრამ აქ მხოლოდ ფასი არ წყვეტს! Google ასევე აფასებს თითოეული რეკლამის „ხარისხს” – რამდენად რელევანტურია, რამდენად ხშირად დააწკაპუნებს ხალხი მასზე. ეს ყველაფერი ხდება წამებში, ყოველ ძებნაზე, მილიონჯერ დღეში. Google-მ ფაქტობრივად შექმნა „სიტყვების საფონდო ბირჟა“, სადაც სიტყვების ღირებულება იცვლება მოთხოვნის შესაბამისად: ზაფხულში „საზღვაო კურორტი“ ძვირდება, ზამთარში „სათხილამურო კურორტი“. აი, ასე გარდაქმნა Google-მ ჩვენი ყოველდღიური ძებნები – ჩვენი ენობრივი ქცევა – ფულის მშოვნელ მანქანად.

ფრედერიკ კაპლანი სტატიაში – „ლინგვისტური კაპიტალიზმი და ალგორითმული მედიაცია“[1] – განიხილავს, თუ როგორ გარდაქმნა Google-მ სიტყვები ეკონომიკურ რესურსად და როგორ შექმნა პირველი გლობალური ლინგვისტური ბაზარი.

„Google-ის უაღრესად ორიგინალური ბიზნესმოდელის წარმატება ორი ალგორითმის ისტორიაა. პირველმა – რომელმაც პიონერული გზა გაუხსნა ვებგვერდების მოთხოვნებთან დაკავშირების ახალ მეთოდს საკვანძო სიტყვების საფუძველზე - Google პოპულარული გახადა. მეორემ - რომელმაც კომერციული ღირებულება მიანიჭა ამ საკვანძო სიტყვებს – Google მდიდარი გახადა” (კალპანი).

გლობალურ ბაზარზე ყველაზე „ღირებული“ სიტყვები, როგორც წესი, ინგლისურენოვანია. ეს ახალისებს გლობალური ლინგვისტური სტანდარტების ჩამოყალიბებას, სადაც ლოკალური, ნაკლებად „კონკურენტუნარიანი“ ენები და დიალექტები კიდევ უფრო კარგავენ პოზიციებს ციფრულ სივრცეში.

1 https://www.researchgate.net/publication/271899710_Linguistic_Capitalism_and_Algorithmic_Mediation

სტატია საინტერესო პერსპექტივას გვთავაზობს იმის შესახებ, რომ ჩვენ ვართ გარდამავალ ფაზაში – ყურადღების ეკონომიკიდან გამოთქმის ეკონომიკისკენ. კაპლანი ასევე აანალიზებს ალგორითმული შუამავლობის პოტენციურ გავლენას ენის ევოლუციაზე: „თუ ამ ჰიპოთეზას მივყვებით, ბუნებრივი ენები შეიძლება თანდათან ევოლუციონირდნენ, რათა ბუნებრივად ინტეგრირდნენ ალგორითმების ენასთან“ (კაპლანი).

სოციალური მედიის „სიტყვების ბაზარი“: აქვე უნდა ვახსენოთ პლატფორმები, როგორებიცაა – Instagram, TikTok და X (Twitter), რომლებიც საკუთარ ლინგვისტურ ბაზრებს ქმნიან **ჰეშთეგების** მეშვეობით. ჰეშთეგი არის საკვანძო სიტყვის სოციალური ეკვივალენტი, რომელიც განსაზღვრავს კონტენტის ხილვადობას, ტრენდულობას და, საბოლოოდ, მის კომერციულ ღირებულებას. აქ სიტყვის კაპიტალიზაცია პირდაპირი რეკლამით კი არ ხდება, არამედ „გავლენისა“ (influence) და სოციალური კაპიტალის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის (ChatGPT, Midjourney) ეპოქაში ლინგვისტური კაპიტალიზმი ახალ საფეხურზე გადადის. ახლა უკვე მხოლოდ საძიებო სიტყვები კი არა, არამედ **პრომპტები** – ანუ ჩვენი ინსტრუქციები AI-სთვის – ხდება უძვირფასესი ლინგვისტური აქტივი. იქმნება „პრომპტინჟინერიის“ პროფესია და **„პრომპტების ბაზრობები“**, სადაც ყველაზე ეფექტიანი და კრეატიული სიტყვიერი ფორმულები იყიდება. ეს არის „გამოთქმის ეკონომიკის“ ლოგიკური გაგრძელება და რადიკალური ფორმა.

ენის ახალი „გრამატიკა“

ძალიან საყურადღებოა კაპლანის იდეა, რომ ბუნებრივი ენები ალგორითმების ენასთან ინტეგრაციისკენ მიისწრაფვიან. ეს პერსპექტივა შორს მიმავალ დასკვნებს გვთავაზობს. Google აღარ არის მხოლოდ პასიური სარკე, რომელიც კაცობრიობის ლინგვისტურ ქცევას ასახავს; ის აქტიური არბიტრი ხდება, რომელიც განსაზღვრავს, რომელი სიტყვები და გამოთქმებია „ღირებული“ და რომელი – არა. ამ პროცესში იქმნება ერთგვარი **ალგორითმული გრამატიკა**, რომელიც ტრადიციული გრამატიკისგან განსხვავებით, სინტაქსურ გამართულობას კი არა, არამედ სიტყვის ეკონომიკურ ეფექტიანობას ეფუძნება. ახალ გრამატიკაში „სწორი“ წინადადება ის კი არ არის, რომელიც გრამატიკულად გამართულია, არამედ ის, რომელიც მაქსიმალურად ოპტიმიზებულია საძიებო სისტემისთვის (SEO – Search Engine Optimization). კონტენტის შემქმნელები, ჟურნალისტები, ბლოგერები და ბიზნესმენები სწავლობენ ამ ახალ ენას. ისინი არჩევენ სიტყვებს არა მხოლოდ შინაარსის სიზუსტის ან სტილისტური სილამაზის გამო, არამედ მათი „საბაზრო ღირებულების“ - ძიების მოცულობისა და კონკურენციის დონის - გათვალისწინებით. შედეგად, ადამიანური გამოხატვის თავისუფლება ნაწილობრივ იზღუდება ალგორითმის უხილავი კარნახით. ენა, რომელიც ცოცხალი და სპონტანური უნდა იყოს, ფორმულებსა და საკვანძო სიტყვების ჩარჩოებში ექცევა.

საბოლოოდ, ენის მომავალს განსაზღვრავს არა ბაზრის ლოგიკა, არამედ ჩვენი მზაობა, დავიცვათ მისი უნარი, გამოხატოს შეუცნობელი, შექმნას სილამაზე და დაამყაროს ღრმა ადამიანური კავშირები.

რის ნიშანია სიტყვა? – ახალი სემიოტიკა

სოსიურის კლასიკურ მოდელში ნიშანი შედგება აღმნიშვნელისა (სიტყვის ჟღერადობა/დაწერილობა) და აღსანიშნისგან (კონცეპტი). მაგალითად, სიტყვა „თავისუფლება“ (აღმნიშვნელი) მიემართება თავისუფლების იდეას (აღსანიშნი).

ლინგვისტური კაპიტალიზმის პირობებში ამ დუალიზმს მესამე, დომინანტური განზომილება ემატება – კომერციული პოტენციალი. სიტყვა „თავისუფლება“ ახლა მხოლოდ იდეას კი არა, არამედ საძიებო მოთხოვნას, მომხმარებლის განზრახვას და პოტენციურ ტრანზაქციასაც აღნიშნავს. ის შეიძლება ასოცირდებოდეს წიგნებთან, სამოგზაურო პაკეტებთან („ფინანსური თავისუფლება“), პოლიტიკურ კამპანიებთან თუ საინვესტიციო სქემებთან.

ამგვარად, სიტყვა კარგავს თავის პოლისემიურ სიღრმეს და იქცევა ერთგანზომილებიან კომერციულ სიგნალად. ალგორითმი უპირატესობას ანიჭებს იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ადვილად მონეტიზდება. ენის პოეტური, ფილოსოფიური და ორაზროვანი ბუნება იჩქმალება მისი ინსტრუმენტული, ტრანზაქციული ფუნქციის მიღმა.

ლინგვისტური კაპიტალიზმის სოციალური და კოგნიტიური ეფექტები

ამ ფენომენის გავლენა სცდება ენისა და ეკონომიკის საზღვრებს და ჩვენს აზროვნებასა და სოციალურ სტრუქტურაზეც ვრცელდება:

ენობრივი ჰომოგენიზაცია: გლობალურ ბაზარზე ყველაზე „ღირებული“ სიტყვები, როგორც წესი, ინგლისურენოვანია. ეს ახალისებს გლობალური ლინგვისტური სტანდარტების ჩამოყალიბებას, სადაც ლოკალური, ნაკლებად „კონკურენტუნარიანი“ ენები და დიალექტები კიდევ უფრო კარგავენ პოზიციებს ციფრულ სივრცეში.

სემანტიკური გალიები (Semantic Cages): ალგორითმები ჩვენივე ენობრივი არჩევანის საფუძველზე გვიშენებენ ინფორმაციულ ბუშტებს. თუ ადამიანი ხშირად ეძებს კონკრეტული ტიპის ინფორმაციას (მაგალითად, ჯანმრთელობის პრობლემებზე), სისტემა მას მუდმივად შესაბამის, ხშირად კომერციალიზებულ, კონტენტს შესთავაზებს. ჩვენივე სიტყვები ქმნის იმ გალიას, რომელშიც ალგორითმი გვამწყვდევს და გვიზღუდავს წვდომას ალტერნატიულ იდეებსა და პერსპექტივებზე.

გამოხატვის ინსტრუმენტალიზაცია: როდესაც გამოხატვის მთავარი მიზანი ალგორითმული აღიარება ხდება, ჩვენ ვკარგავთ კომუნიკაციის ავთენტურობას. საკუთარი აზრის გამოხატვა სულ უფრო ემსგავსება ბაზარზე პროდუქტის პოზიციონირებას. ეს კი გრძელვადიან პერსპექტივაში აუფასურებს საჯარო დისკურსს და კრიტიკულ აზროვნებას.

კოგნიტიური გამარტივება: როდესაც ჩვენ ვსწავლობთ ალგორითმის ენაზე საუბარს, ხომ არ ვიწყებთ ამავე ენაზე ფიქრს? SEO-ზე ოპტიმიზებული ენა ხშირად მარტივი, პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანია. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება იწვევდეს ჩვენი აზროვნების გამარტივებას, მეტაფორული და კომპლექსური აზროვნების უნარის დაქვეითებას. ეს არის ჯორჯ ორუელის „ახალმეტყველების“ (Newspeak) საბაზრო, დეცენტრალიზებული ვერსია, სადაც ენას ტოტალიტარული რეჟიმის ნაცვლად ბაზრის უხილავი ხელი ზღუდავს.

შემოქმედებითი კლასიფიკაცია: მწერლები, პოეტები, ბლოგერები, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი ნამუშევარი ხილვადი გახადონ, დგანან დილემის წინაშე: დაწერონ ავთენტურად, მაგრამ რისკის ფასად, რომ მათ ვერავინ იპოვის, თუ მოერგონ ალგორითმს? ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს შემოქმედებითი ექსპერიმენტების შემცირება. ენა, რომელიც მუდმივად ეძებს „ოპტიმალურ“ ფორმულას, კარგავს თავის სპონტანურობას და ცოცხალ ბუნებას, თითქოს „იყინება“ ან „კლასიფიცირდება“ ყველაზე ეფექტიანი ფორმების გარშემო.

აქედან დასკვნა:

Google-ის მიერ შექმნილი „სიტყვების ბაზარი“ არ არის უბრალოდ ჭკვიანური ბიზნესმოდელი; ის არის ძლიერი სოციალურ-ლინგვისტური მექანიზმი, რომელიც ჩუმად, მაგრამ ფუნდამენტურად ცვლის ჩვენს ენას, აზროვნებასა და რეალობის აღქმას. ფრედერიკ კაპლანის ანალიზი გვაფრთხილებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ენა, ადამიანური კულტურის უმთავრესი საგანძური, გადაქცეულია კაპიტალის დაგროვების ყველაზე დახვეწილ ინსტრუმენტად.

საკითხავი მხოლოდ ის რჩება, შევძლებთ თუ არა, როგორც ცნობიერი არსებები, ამ ალგორითმული გრამატიკის მიღმა შევინარჩუნოთ სიტყვის ნამდვილი ძალა.

საბოლოოდ, ენის მომავალს განსაზღვრავს არა ბაზრის ლოგიკა, არამედ ჩვენი მზაობა, დავიცვათ მისი უნარი, გამოხატოს შეუცნობელი, შექმნას სილამაზე და დაამყაროს ღრმა ადამიანური კავშირები.

მარიამ გოდუაძე

„ხეების სუნი აქვს კედის“: აუტიზმი, არომატები და ენის დარღვევა

„ხეების სუნი აღარა აქვს კედის და მე ავტირდი“.

უილიამ ფოლკნერი, „ხმაური და მძვინვარება“

სოციალურ ისტორიებს შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების ურთიერთობა როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთანაც. შეუძლია, აჩვენოს და ასწავლოს, როგორ მოიქცნენ სოციალურ სიტუაციებში და პრობლემების წარმოშობის დროს.

ორიოდე წლის წინ, ჩემი სპეციალური მასწავლებლობის ბოლო წელს, კერძო პრაქტიკით სამუშაოდ მომიყვანეს პირველკლასგავლილი გოგონა ნუშის თვალებით, ქერა თმითა და სიყვარულით სავსე გამოხედვით. არ მეტყველებდა. გაცნობისთანავე თითები, მაჯა-ხელები საგულდაგულოდ დამიყნოსა, ინტერესით აკვირდებოდა ჩემს სამუშაო მაგიდაზე არსებულ ნივთებს, რომლებსაც აღებისთანავე ყნოსავდა და ვგრძნობდი, მათი გემოც აინტერესებდა. განსაკუთრებული სიფრთხილე გახდა საჭირო წებოს, ჰიგიენური სითხისა და სხვა თხევადი ნივთიერებების მიმართ, პირთან რომ არ მიეტანა და არ დაელია.

ეს იყო აუტიზმის შემთხვევა სუნისა და გემოს გამძაფრებული შეგრძნებით. სტატიის მომზადებაც მაშინვე მომინდა, მაგრამ დაკვირვება ვამჯობინე. ცოტა ხნის წინ კი კარგად მოაზროვნე ბიჭი გამაცნეს, ოღონდ ენისა და მეტყველების თავისებური მდგომარეობით. აღმოჩნდა, რომ ყნოსვა მისთვისაც ძირითადი ფაქტორია.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ აუტიზმის მქონე ადამიანებთან ხშირია სინათლის, ხმების, ტექსტურებისა და სუნების მიმართ მომეტებული მგრძნობელობა.

ამ სტატიაში უფრო დეტალურად განვიხილავთ მომეტებულ ყნოსვით მგრძნობელობას, ანუ ჩვეულებრივზე ძლიერი ყნოსვის შეგრძნებას, ასევე – ყნოსვითი მგრძნობელობის ეფექტებს აუტიზმის მქონე ბავშვებში და იმას, თუ როგორ დავეხმაროთ ასეთ ბავშვებს სიმპტომების მართვაში.

ცოტა რამ ყნოსვითი სისტემის შესახებ

როგორც ცნობილია, ყნოსვითი სისტემა პასუხისმგებელია ყნოსვაზე. ეს სისტემა ჰაერში სხვადასხვა სუნს ცხვირისა და ცხვირის ღრუს მეშვეობით აღიქვამს და შემდეგ სიგნალებს ანუ ინფორმაციას უგზავნის ტვინს. ტვინიც ამა თუ იმ სურნელსა თუ სუნს გადაამუშავებს და უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე აანალიზებს. ტვინი დიდ როლს ასრულებს ყნოსვითი სისტემის მუშაობაში. სხვა გრძნობების მსგავსად, ყნოსვაც დაკავშირებულია მოგონებებსა და ემოციებთან. შეიძლება, სუნი ჩვენი ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდს ან საკვებს დავუკავშიროთ. ვინაიდან გამოცდილება ინდივიდუალურია, ამგვარი ასოციაციებიც ინდივიდუალურია ყოველი ადამიანისთვის. ამასთან, ყნოსვითი მეხსიერება ყველაზე ხანგრძლივია.

აუტიზმი და გაძლიერებული ყნოსვა

მრავალი კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად, აქვთ თუ არა აუტიზმის მქონე ბავშვებს ყნოსვითი ჰიპერმგრძნობელობა. 2018 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აუტიზმის მქონე ადამიანები, ნეიროტიპურთაგან განსხვავებით, ტვინის სხვადასხვა უბანს იყენებენ სუნების აღსაქმელად. კვლევებმა აჩვენა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვებს შესაძლოა, გაძლიერებული ჰქონდეთ ყნოსვა.

აუტიზმის სპექტრის მქონე ზოგიერთი ბავშვი უსიამოვნო

სუნს უფრო დიდი მანძილიდან შეიგრძნობს. ასეთი ბავშვის რეაქცია აუცილებლად იქნება თავის არიდება. ზოგი კი აქტიურად ეძებს ძლიერ სუნს იმ ადამიანებსა და საგნებში, რომლებიც მოსწონს. აუტისტ პირებში ჰიპერმგრძნობელობის უკეთ გასაგებად და მისი სიხშირის დასადგენად კვლევები უცხოეთში ამჟამადაც მიმდინარეობს.

ძლიერი ყნოსვის გავლენა

სუნების მიმართ ჰიპერმგრძნობელობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანსა და მისი ფუნქციონირების უნარზე. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვმა შესაძლოა შეამჩნიოს სუნები, რომელთა აღქმაც ჩვენ არ შეგვიძლია.

კვლევებმა აჩვენა, რომ არც ისე იშვიათი ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოჭარბებულ ყნოსვის შეგრძნებას თან ახლავს **კომუნიკაციის უნარის დარღვევა.** ამავდროულად, ჰიპერმგრძნობელობა შესაძლოა გამოიხატოს უჩვეულო ქცევით. სამყაროს განსხვავებული აღქმა გარშემო მყოფების მიერ შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს აუტიზმის მქონე ბავშვისთვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და სოციალურ ურთიერთობებში. აუტიზმის მქონე პირთათვის ზრდასრულ ასაკში ყნოსვითი სისტემის გამძაფრებამ შესაძლოა, გაართულოს ფუნქციონირება საზოგადოებრივ ადგილებში, მგზავრობისას ან სამუშაო ადგილზე. აუტიზმის მქონე ბავშვებს შესაძლოა, პრობლემები შეექმნათ სხვადასხვა გარემოში.

აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის, რომლებსაც ყნოსვის გამძაფრებული შეგრძნება აქვთ, შესაძლოა რთული იყოს სხვადასხვა კვებით დაწესებულებაში, რესტორანსა თუ კაფეში ყოფნა, რადგან ამ სივრცეში უამრავი სხვადასხვა სურნელია, უცნობი ადამიანების უცნობი სურნელებით დაწყებული, საკვებისა და სასმელების მრავალფეროვნებით დამთავრებული, რამაც შესაძლოა ზედმეტი სტიმულაციური რეაქცია გამოიწვიოს სუნის მიმართ ჰიპერმგრძნობიარე ბავშვებში. რესტორანში წასვლისას გასათვალისწინებელია რესტორნის ტიპი, მისი დატვირთულობა და გარემო. არ არის გამორიცხული, ამ ფაქტორებმა გავლენა მოახდინოს ბავშვზე.

გამძაფრებული სტიმულაციური რეაქციები

სტიმულაცია არის განმეორებადი ან უჩვეულო მოძრაობები ან ხმები, მათ შორის – ხელების ქნევა, თავის ქნევა, რხევა. ასეთი რეაქციები მხოლოდ აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანებისთვის არ არის დამახასიათებელი. ნეიროტიპურ ადამიანებში სტიმულაციური რეაქცია შეიძლება იყოს ფრჩხილების კვნეტა, თმის ტრიალი ან ფეხის ქნევა. ეს ქმედებები ეხმარება აუტისტ პირებს ემოციების მართვასა და კომფორტის პოვნაში სენსორული გადატვირთვის დროს.

დამამშვიდებელი სურნელების საჭიროება

აუტიზმის მქონე ბავშვებს შესაძლოა დასჭირდეთ (მზრუნველის ან სათამაშოს) დამამშვიდებელი სურნელი სიმშვიდის შესანარჩუნებლად. ამან შესაძლოა შეზღუდოს ბავშვების სხვებთან ურთიერთქმედების გზები, რადგან მათ მხოლოდ კონკრეტული სურნელები სურთ.

თუ თქვენს საკლასო ოთახში ასეთი მოსწავლე გამოჩნდა, აუცილებლად ჩართეთ სასწავლო კომპონენტად ბუნებრივი საგნები და მათზე ყნოსვითი დაკვირვება. გახსოვდეთ, ყნოსვით ამ ბავშვებს უამრავი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ. ამგვარი აქტივობების მოფიქრება არცერთ დისციპლინაში არ უნდა იყოს რთული, მთავარია, გული გულობდეს!

ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს: აუტიზმის მქონე ბავშვი შეიძლება შეაწუხოს ისეთმა ქიმიურმა სუნმა, რომელიც ნეიროტიპური ტვინისთვის შეუმჩნეველია.

ძლიერმა უცნობმა სუნებმა, მაგალითად, სუნამოს ან საწმენდი საშუალების სუნმა, სენსორული გადატვირთვისა და კომუნიკაციის უნარების ნაკლებობის გამო შეიძლება ჰიპერმგრძნობიარე ბავშვის აჟიტირება გამოიწვიოს. საკლასო ოთახში აუტიზმის მქონე ბავშვს შესაძლოა გაუჭირდეს ფოკუსირება, სანამ მისი ტვინი გადაამუშავებს სუნებს, რომლებსაც სხვა ვერავინ ამჩნევს. სენსორული ძიების მქონე ბავშვს განსაზღვრულმა სუნებმა შეიძლება ყურადღება გადაატანინოს, როდესაც ის სურნელთან მიახლოებას ცდილობს.

აუტიზმის სპექტრის მქონე ზოგიერთი ბავშვი უსიამოვნო სუნს უფრო დიდი მანძილიდან შეიგრძნობს. ასეთი ბავშვის რეაქცია აუცილებლად იქნება თავის არიდება. ზოგი კი აქტიურად ეძებს ძლიერ სუნს იმ ადამიანებსა და საგნებში, რომლებიც მოსწონს.

ბავშვმა შეიძლება უარი თქვას არასასიამოვნო სუნის მქონე სივრცეში შესვლაზე.

ახალ სივრცეში შესვლამ, სადაც უცნობი სურნელებია (მეგობრის სახლი, ექიმის კაბინეტი, მაღაზია, რესტორანი) აუტიზმის მქონე ბავშვში შესაძლოა ინტენსიური რეაქცია გამოიწვიოს, რაც შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ხელების ქნევით, თავდასხმით ან გაქცევით.

როგორ დავეხმაროთ ბავშვს, რომელსაც ყნოსვითი ჰიპერმგრძნობელობა აქვს?

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებთან მომატებული ყნოსვითი მგრძნობელობა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სურნელებს ძლიერ და ინტენსიურ სუნებად აქცევს. ისეთმა გავრცელებულმა სუნებმა, როგორიცაა, მაგალითად, ცხარე საკვების, სურნელოვანი შამპუნის ან ბენზინის სუნი, არ არის გამორიცხული, ბავშვი დათრგუნოს. ასეთმა ბავშვებმა შესაძლოა

უარი თქვან განსაზღვრულ საკვებზე, თავი აარიდონ გარკვეულ ადგილებს ან გამოავლინონ უჩვეულო ქცევა.

ჰიპერმგრძნობიარე ბავშვის დახმარების უმარტივესი გზებია:

- მხოლოდ უსუნო საწმენდი საშუალებების გამოყენება;
- სურნელოვანი სანთლების, სუნამოებისა და დეოდორანტების გამოყენებისთვის თავის არიდება;
- ოთახის კარგად განიავება, ცხვირზე ხელსახოცის ან სხვა დამცავი საშუალების აფარების შეთავაზება.

სენსორული აღქმის მქონე ბავშვისთვის მუდამ თან იქონიეთ ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც მისი საყვარელი სურნელი აქვს, მოამზადეთ სურნელოვანი კერძები.

როდესაც შვილთან ერთად მუშაობთ მისი რეაქციების წყაროს დასადგენად, შეგიძლიათ, მოიფიქროთ გამოსავალი, რომელიც მას უსაფრთხოდ და კომფორტულად აგრძნობინებს თავს.

არსებობს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელთა გამოცდაც შეგიძლიათ შვილთან ერთად. ერთი მათგანია ABA თერაპია – გამოყენებითი ქცევითი ანალიზი. ABA არის სტრატეგია, რომელიც შექმნილია, რათა დაეხმაროს ჰიპერმგრძნობიარე ბავშვებს კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაში. გაწვრთნილ ABA თერაპევტთან მუშაობით თქვენს შვილს შეუძლია, განივითაროს ენობრივი და კომუნიკაციის უნარები, გაიუმჯობესოს ყურადღება, კონცენტრაცია, სოციალური უნარები. ABA თერაპია აუმჯობესებს მეხსიერებასა და აკადემიურ მოსწრებას და შეუძლია, შეამციროს პრობლემური ქცევა.

ABA თერაპია მოქნილი და ინდივიდუალურია. ABA თერაპიის ხანგრძლივი კვლევები აჩვენებს დადებით შედეგებს ინტელექტუალური ფუნქციონირების, ენობრივი განვითარების, ყოველდღიური ცხოვრებისა და სოციალური უნარების კუთხით.

სენსორული მხარდაჭერის ინსტრუმენტები

სენსორული მხარდაჭერის ინსტრუმენტებია სათამაშოები და სხვა ნივთები, რომლებიც შექმნილია ერთი ან მეტი გრძნობის სტიმულირებისთვის. ისინი მიმზიდველია აუტიზმის სპექტრის მქონე ზოგიერთი ბავშვისთვის, რადგან შეუძლია, მოჰგვაროს ბავშვს სიმშვიდის შეგრძნება და მისცეს სასურველი სენსორული გამოცდილება მათი სენსორული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

კარგი დამხმარე საშუალებებია დამძიმებული ჟილეტები და საბნები, მოძრავი ბალიშები და ბალანსის დაფები, ფიჯეტ სპინერი, პოპიტი, ტყლარწი და რბილულა.

სოციალური ისტორიები

„სოციალური ისტორიები“ არის თხრობითი აქტივობა, რომლის მიზანია, სათანადო კომუნიკაციისას, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს დაეხმაროს სოციალურ სიტუაციებში გარკვევაში. სოციალურ ისტორიებს შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს აუტიზმის მქონე ბავშვების ურთიერთობა როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთანაც. შეუძლია, აჩვენოს და ასწავლოს, როგორ მოიქცნენ (და როგორ არ მოიქცნენ) სოციალურ სიტუაციებში და პრობლემების წარმოშობის დროს. სოციალური ისტორიის მაგალითი შეიძლება იყოს გადმოცემული კომიქსის ფორმით ან მარტივი წინადადებების სერიით, რომელიც ასახავს, რას უნდა ელოდოს ბავშვი და რატომ.

გამოყენებული რესურსები:

1. https://hiddentalentsaba.com/autism-and-smell-sensitivity/

ინა იმედაშვილი

წიგნი VS ეკრანი

თანამედროვე სამყაროს გამოწვევა

თანამედროვე სამყარომ, ტექნოლოგიურმა გამოწვევებმა, საოცრად განვითარებულმა სოციალურმა ქსელებმა - ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები სერიოზული საფრთხისა და გამოწვევების წინაშე დააყენა.

თანამედროვე სამყარომ, ტექნოლოგიურმა გამოწვევებმა, საოცრად განვითარებულმა სოციალურმა ქსელებმა – ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები სერიოზული საფრთხისა და გამოწვევების წინაშე დააყენა.

ალბათ გეცნობათ ასეთი სიტუაცია, როდესაც მაგიდაზე უამრავი ლამაზი, ილუსტრირებული წიგნი აწყვია და იქვე დევს მობილური, პლანშეტი – წიგნი ბავშვის ყურადღების მიღმა რჩება, ხოლო არჩევანი გაჯეტებზე კეთდება. თითქოს დაწყებულ რბოლაში, კონკურსში – წიგნი აგებს. ამის გააზრება კი საშინლად სევდიანია.

მოკლე ვიდეოები, ხმამაღალი მუსიკა, მოკლე ტექსტები – წუთში ათი ფირის ნახვა, მუდმივად ეკრანის თვალიერება, საშინლად გადატვირთული და მრავალფეროვანი სოციალური ქსელები ნელ-ნელა იპყრობენ ბავშვების გულსა და გონებას, ყურადღებასა და კონცენტრაციას, მაშინ, როცა წიგნების კითხვას დრო, ჩაფიქრება, ყურადღება სჭირდება.

სინამდვილეში არაფერი შეცვლილა, ადამიანს ისევ უყვარს ამბები – ოღონდ მათი მიღების მარტივი და იოლი გზა ურჩევნია.

ბავშვებზე ვსაუბრობთ, თუმცა ამ რისკის ქვეშ მოზრდილებიც არიან, ინტერნეტდამოკიდებულება ყველა ასაკისა და ყველა ინტერესის მქონე ადამიანს მოიცავს.

ჰოდა, რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს მასწავლებელმა და მშობელმა? როგორ უნდა დავაბრუნოთ ბავშვები წიგნებთან? ამ უთანასწორო ბრძოლაში როგორ გავამარჯვებინოთ წიგნებს?

ელექტრონული – წიგნები

მოდით, ცოტა ვიეშმაკოთ და გაჯეტები ვაქციოთ წიგნებად, მაგალითად, ელექტრონული წიგნების მოწყობილობები, როგორიცაა ასე პოპულარული ქინდლი. ქინდლი მშვენიერი საჩუქარიცაა, მასში შეგიძლიათ ათასობით წიგნი ჩატვირთოთ, თან მოზარდს ექნება განცდა, რომ გაჯეტთან ატარებს დროს, თუმცა ამ დროს წიგნებსა და ტექსტებს შევაპარებთ.

პიკნიკი წიგნებით

ძალიან კარგი აქტივობაა „პიკნიკი წიგნებით“ – ბავშვები წრეზე სხდებიან, გარშემო ბევრი ბალიში და მუსიკაა დაბალ ხმაზე, წყნარი, მშვიდი ჰანგები.

https://www.youtube.com/watch?v=mlYzp5rcTvU&t=853s

თითოეული ბავშვი ისე კითხულობს, როგორც სურს: ხმამაღლა ან ჩუმად. ან დააგემოვნონ „წინადადებები“ და ის წინადადებები წაიკითხონ, რომლებიც მოეწონებათ და გაზიარება მოუნდებათ.

წიგნების გალერეა

ბავშვებს ძალიან უყვართ, როდესაც არჩევანს აკეთებინებენ. შეგვიძლია კლასში მოვაწყოთ

„წიგნების გალერეა“ – გამოვფინოთ სხვადასხვა წიგნი, ბავშვებმა დაათვალიერონ და თავად შეარჩიონ სასურველი. თითოეულს, სასურველია, ჰქონდეს აღწერა. არჩეული წიგნი მოსწავლემ უნდა წაიკითხოს.

წიგნი – თამაში

შეიძლება წიგნით ვითამაშოთ კიდეც. ავიღოთ ისეთი ამბავი, რომელიც ნაწილებადაა დაყოფილი, ხოლო თითოეული ნაწილის შემდეგ მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს პასუხი კითხვაზე, სადაც დაფარული იქნება შემდეგი ნაწილის შინაარსი ან პერსონაჟის საიდუმლო. შეგვიძლია გამოვიყენოთ QR კოდები, ან პატარა ვიდეოები, სადაც მასწავლებელი იძლევა მინიშნებებს.

შევქმნათ წიგნის „ტრეილერი“

ბავშვი წიგნის „ტრეილერს“ ქმნის, არეკლამებენ წიგნს, როგორც ფილმს. არჩევენ სცენარს, მუსიკას, ვიზუალურ ეფექტებს – ამასობაში კი უღრმავდებიან შინაარსს.

დისკუსია, ფიქრი

ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად, მოეწყობა დისკუსია წიგნებისა და ეკრანის თემაზე. ბავშვების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ გაჯეტები ინფორმირებულებს გვხდიან, მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ წიგნები ადამიანებად გვაყალიბებენ. დისკუსიის მიზანი გამარჯვება არ არის, მთავარია, ბავშვმა აღმოაჩინოს, რომ ეკრანი სწრაფ ინფორმაციას იძლევა, წიგნი კი ღრმასა და საფუძვლიანს.

პოსტი წიგნებზე

საკლასო ოთახში ვაკრავთ დიდი ზომის ქაღალდს, რომელიც ისეა გაფორმებული, თითქოს ფეისბუქის გვერდი იყოს. ბავშვებმა უნდა დაწერონ თითო პოსტი წიგნის შესახებ, პერსონაჟების შესახებ – თითქოს წიგნის ამბავი რეალური ცხოვრებაა და თავადაც იქ არიან, ან შეარჩიონ პერსონაჟი, მოირგონ მათი როლი და ამ პერსონაჟის პერსპექტივიდან დაწერონ: მაგალითად: ვგრძნობ სევდას, რადგან დღესაც ვერ ვნახე მზე.

ბავშვმა რაც მოისმინა ან ნახა ვიდეოში, ერთად მოძებნეთ მსგავსი თემატური წიგნი. მაგალითად, უყვარს დინოზავრები ან კოსმოსი – აჩვენე ილუსტრირებული ენციკლოპედია ან მოთხრობა ამავე თემაზე. ეს ქმნის ხიდს რეალობის ორ ფორმას შორის.

კარგი იქნება, თუ გააფორმებენ „ემოჯებითა“ და სოციალური ქსელისთვის დამახასიათებელი სიმბოლიკით.

წიგნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში სასურველია, მშობელიც ჩაერთოს.

რა უნდა გააკეთოს მშობელმა?

ერთობლივი კითხვა ძილის წინ

არ კითხულობს მხოლოდ ბავშვი, არამედ კითხულობენ მშობელი და ბავშვი, რაც ძალიან სასიამოვნოა და თან ურთიერთობებსა და ემოციურ კავშირებს ამტკიცებს.

მშობელი, როგორც მკითხველის მაგალითი

ბავშვი ვერ შეიყვარებს წიგნს, თუ სახლში არ ჰყავს ზრდასრული მკითხველი.

მშობელმა უნდა გაიაზროს, რომ წიგნი არ არის მხოლოდ ბავშვის ნივთი, არამედ ოჯახის კულტურული ტრადიციაა.

წიგნის თარო, რომელიც ბავშვთან ერთად იზრდება

ბავშვს ჰქონდეს თავისი კუთხე – თარო, ყუთი ან კალათა წიგნებისთვის, სადაც თვითონ ჩადებს იმას, რაც მოსწონს.

პატარა ბავშვისთვის – ილუსტრაციები; უფროსისთვის – ამბები, რომელშიც საკუთარ თავს აღმოაჩენს.

კითხვა ყოველდღიურობაში

კითხვა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წიგნით. წაიკითხეთ ერთად: ქუჩის ნიშნები, პროდუქტის შეფუთვები, მენიუები.

ბავშვი სწავლობს, რომ კითხვა სამყაროსთან ურთიერთობის ბუნებრივი ფორმაა.

საუბარი წაკითხულზე, არა გამოკითხვა

არასდროს ჰკითხო: გაიგე? დაგამახსოვრდა? სჯობს შეეკითხო: რომელი გმირი მოგეწონა? შენ რას გააკეთებდი მის ადგილას?

ეკრანის ნაცვლად – ემოციური სიახლოვე

როცა ბავშვი ტელეფონთანაა, ნუ ეტყვით პირდაპირ: „ჯერ წიგნი წაიკითხე და მერე ტელეფონი“ – ეს ბრძანებაა და არა დაინტერესება.

სჯობს უთხრათ: „გინდა, დღეს მე აგირჩიო ამბავი?“ და მიუჯდე.

ეკრანს კონკურენციას ვერ გაუწევს აკრძალვა, მაგრამ შეუძლია ემოციურმა სიახლოვემ ნამდვილად ჩაანაცვლოს.

ეკრანის პარალელური სამყარო

ბავშვმა რაც მოისმინა ან ნახა ვიდეოში, ერთად მოძებნეთ მსგავსი თემატური წიგნი.

მაგალითად, უყვარს დინოზავრები ან კოსმოსი – აჩვენე ილუსტრირებული ენციკლოპედია ან მოთხრობა ამავე თემაზე.

ეს ქმნის ხიდს რეალობის ორ ფორმას შორის.

საღამოს სინათლე

დააწესე ოჯახური რიტუალი – ძილის წინ 15 წუთი წიგნისთვის, როცა ტელეფონები სხვა ოთახში იტენება.

შეგიძლიათ წაიკითხოთ ერთად და ხმამაღლა იცინოთ ტექსტის რომელიმე ეპიზოდზე.

ბავშვმა უნდა იგრძნოს: ეს არ არის წიგნის დრო – ეს არის *ჩვენი დრო.*

რამდენი წიგნი წავიკითხე?

გააკეთეთ პატარა პლაკატი და ყოველ თვეს მონიშნეთ, ვინ რა წაიკითხა.

ბავშვი ამაყობს, როცა ხედავს საკუთარ პროგრესს და ოჯახის აღიარებას.

ეკრანი იძლევა მყისიერ ჯილდოს, წიგნი კი – ნელ ბედნიერებას. მაგრამ თუ ამ ბედნიერებას აღიარებენ, ის ძლიერდება.

საბოლოოდ, ყველაფერი ხომ ჩვენს ხელთაა, ნუ დავიზარებთ, ნუ დაგვენანება დრო, შედეგი კი ჩვენს ძალისხმევად ნამდვილად ღირს.

ნათია ნაფეტვარიძე

როგორ დავწეროთ ესე

ესე – (არსებითი სახელი. ნათესაობითი ბრუნვა: ესეს) „ლიტერატურული კრიტიკის, ფილოსოფიის, პუბლიცისტიკისა და მისთ. ჟანრი, რომელსაც ახასიათებს ფორმის თავისუფლება და ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების წარმოჩენა.

ალბათ არაერთი შემთხვევა გვქონია, როდესაც მოსწავლეს თავი შეუკავებია ესეს (ანალიტიკურის, არგუმენტირებულის თუ სხვ.) დაწერისგან. არ მინდა, არ ვიცი, არ გამომდის, არ შემიძლია, ვერ ვწერ... – უამრავი მიზეზის მოფიქრება შეიძლება საამისოდ და ეს ჩვენს მოსწავლეებს ნამდვილად არ უჭირთ. მასწავლებლებმა არ უნდა შევიკავოთ თავი და არ გადავდოთ სამომავლოდ ამ უნარის ჩამოყალიბება, თუნდაც იმ საბაბით, რომ გაკვეთილზე ამას ბევრი დრო მიაქვს, რომელიც შეიძლება უფრო ეფექტურად მოვახმაროთ სხვა მიმართულებით განვითარებას. ეს ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია, თანაც დასწავლადი, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ და ჩვენს მოსწავლეებს საამისოდ გარკვეული სტრატეგიებიც შევთავაზოთ.

ხშირად ვაძლევთ ესეს საშინაო დავალებად, შინ კი დამხმარეებად დედა, მამა, ძიძა, ბებია, პაპა, უფროსი და-ძმა, ბოლო დროს კი ხელოვნური ინტელექტიც ეგულებათ.

როგორ ვასწავლოთ საბაზო საფეხურის მოსწავლეს ესეს წერა

მოსწავლეებს, განსაკუთრებით – საბაზო საფეხურზე, ხშირად უჭირთ აზრის გამოთქმა და საკუთარი ნააზრევის ფურცელზე გადატანა, აზრის გამთლიანება, ამიტომ ისეთი აქტივობების გამოყენება, რომლებიც მათ ესეს წერის პროცესში დაეხმარება, შესაძლოა ძალიან ეფექტური აღმოჩნდეს. მნიშვნელოვანია, სწავლის პროცესი იყოს მარტივი, გასაგები და თანმიმდევრული.

1. დავეხმაროთ მოსწავლეს თემის არჩევაში

მთავარი ნაბიჯი თემის სწორად არჩევაა. დავიწყოთ მარტივი თემებით, რომლებსაც მოსწავლე კარგად იცნობს. უფრო კომპლექსურ თემებზე შეიძლება მოგვიანებით დავაწერინოთ. ესე უნდა ეხებოდეს კონკრეტულ საკითხს, რომელსაც მოსწავლე ადვილად გაართმევს თავს.

2. გავაცნოთ სტრუქტურა

დავეხმაროთ მოსწავლეებს ტექსტის მარტივად სტრუქტურირებაში:

- პირველი ნაწილი – დასაწყისი;
- მეორე ნაწილი – ძირითად საკითხზე მსჯელობა;
- მესამე ნაწილი – დასკვნა.

3. მაგალითები და შაბლონები

ერთად ვწეროთ მაგალითები. მივცეთ მოსწავლეებს მარტივი შაბლონები, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებენ. მაგალითად:

- **შესავალი:** „მიმაჩნია, რომ... ჩემი აზრით... ვინაიდან...“
- **მთავარი ნაწილი:** „მიზეზი 1: ... მაგალითი: ...“
- მნიშვნელოვანია, ბავშვებმა პოზიცია არგუმენტებით გაამყარონ; გამოიყენონ ამისთვის ლოგიკა, სტატისტიკა, გამონათქვამები ან მაგალითები.

4. ენა და სტილი

- ენა უნდა იყოს სადა და გასაგები.

ესეს წერის ტექნიკის დაუფლება არა მხოლოდ წერილობითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ბევრი სხვა ისეთი უნარის განვითარებასაც, რომლებიც საჭიროა ზოგადი განათლებისა და შემდგომი კარიერისთვის.

ესეს წერა აუმჯობესებს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტაციის, სტრუქტურირებისა და თვითგამოხატვის უნარებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვს არა მხოლოდ სკოლაში სწავლის პერიოდში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

- გადაამოწმონ ტექსტის ენობრივი გამართულობა.
- თავი ავარიდოთ რთულ გამონათქვამებს, რადგან შესაძლოა, აზრის გაგება გაჭირდეს.

5. რედაქტირება

წერის შემდეგ აუცილებელია ტექსტის რედაქტირება. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ დინამიკა დაკარგულია ან საჭიროა დამატებითი არგუმენტი.

6. მცირე ნაბიჯები

არ დავუშვათ, რომ მოსწავლემ თავი გადატვირთულად იგრძნოს. მივცეთ კონკრეტული და მარტივი რჩევები. დავიწყოთ ერთი აბზაცით და ნელ-ნელა გავზარდოთ მოცულობა.

7. პოზიტიური უკუკავშირი

ესეს წერა შეიძლება საკმაოდ სახალისო და შემოქმედებითი პროცესი იყოს. ამისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს მივცეთ პოზიტიური და სწორი უკუკავშირი, არ დავაბნიოთ ის.

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს, დაწერონ გამართული ესე:

1. **ასოციაციური რუკა (გონებრივი იერიში)**

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ იდეების სწრაფად თავმოყრა და თემის უკეთესად გააზრება.

- მივცეთ მოსწავლეებს კონკრეტული თემა, მაგალითად: „ჩემი საყვარელი წიგნი“ ან „როგორ შევცვლიდი სკოლის წესებს“.
- შემდეგ, წავახალისოთ, რამდენიმე წუთის განმავლობაში დაწერონ ყველა იდეა, რაც თავში მოუვათ.
- ავარჩიოთ რამდენიმე ყველაზე საინტერესო იდეა და შევქმნათ კონცეფცია.

2. **5 კითხვა:**

მიზანი: თემის უკეთ გააზრება და თხრობის ორგანიზება.

- მოსწავლეებს მივცეთ სამსჯელოდ კონკრეტული საკითხი, მაგალითად: „რატომ მიყვარს ზაფხული“
- ამ თემის გარშემო დავსვათ კითხვები:

- **ვინ?** – ვის ვხვდებით ზაფხულობით?
- **რა?** – რა ხდება ზაფხულში?
- **როდის?** – როდის ხდება ყველაფერი ეს?
- **სად?** – სად ხდება?
- **რატომ?** – რატომ ხდება?

3. **„აბზაცი+შედეგი“ (მთავარი წინადადება + დამხმარე დეტალები)**

მიზანი: მოსწავლეებმა ისწავლონ აბზაცის აგება.

- ვთხოვოთ, დაწერონ რაიმე ზოგადი თემის შესახებ, მაგალითად, ისაუბრონ საყვარელ წიგნზე.
- გაითვალისწინონ ძირითადი სტრუქტურული ელემენტები:
  - **შესავალი** – რა არის მთავარი იდეა (მაგალითად, რატომ უყვართ ეს წიგნი).
  - **არგუმენტები** – რატომ არის ის განსაკუთრებული, რა ინფორმაციას იძლევა, რა შეცვალა მათ ცხოვრებაში.
- ყურადღება გავამახვილოთ სტრუქტურაზე: როგორ ჩამოაყალიბონ თემა (პარაგრაფის დასაწყისი) და გაამყარონ საკუთარი მოსაზრება.

4. **პირამიდა**

მიზანი: დავეხმაროთ მოსწავლეებს, შეარჩიონ და დაახარისხონ მნიშვნელოვანი არგუმენტები.

- ავაგოთ „პირამიდა“, რომელიც აჩვენებს, რომელი არგუმენტები უნდა მოექცეს ყველაზე მაღალ საფეხურზე და რომელი – დაბალზე.
- მოვიყვანოთ რამდენიმე არგუმენტი ამ თემაზე.
- მოსწავლეები დაასახელებენ არგუმენტებს, შემდეგ განიხილავენ, რომელია ყველაზე ძლიერი და ესეში გამოიყენებენ.

5. **ანალოგიები**

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ ანალოგიების (პარალელების) მოშველიებას განსხვავებული იდეების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

- მივაწოდოთ ბავშვებს გარკვეული ფაქტები ან მოვლენები გასაანალიზებლად.
- შემდეგ ვასწავლოთ, როგორ გამოიყენონ ანალოგიები (მათ შორის – ემოციურიც) მოსაზრების განსამტკიცებლად.
- ამ ტიპის აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს აზრების გამთლიანებაში.

6. **ცრუ თუ ჭეშმარიტი? (ფაქტი თუ ვარაუდი/მოსაზრება)**

მიზანი: განასხვაონ ერთმანეთისგან ფაქტი და მოსაზრება.

- მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითი და ბავშვებს ვთხოვოთ იმის განსაზღვრა, რომელია ცრუ და რომელი – ჭეშმარიტი, რომელია ფაქტი და რომელი – მოსაზრება.

7. **კრიტიკული კითხვა**

მიზანი: დავეხმაროთ, ისწავლონ კრიტიკული აზროვნება და ინფორმაციის შეფასება.

- დავსვათ კითხვა: „რა მოხდება, თუ?..“ ან „რატომ არის?..“
- ვთხოვოთ ბავშვებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.
- კითხვა პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს თემას. ამით მოსწავლე მიხვდება, როგორ ჩამოაყალიბოს ახალი იდეები და დამატებითი არგუმენტები.

ამ აქტივობების მეშვეობით მოსწავლეები შეძლებენ, დაწერონ გამართული ესეები, მოიყვანონ დამაჯერებელი არგუმენტები და დააჩქარონ წერის პროცესი. თითოეული აქტივობა მათ სხვადასხვა ასპექტში დაეხმარება: იდეების გენერირებაში, სტრუქტურის გაძლიერებაში, არგუმენტების ჩამოყალიბებაში...

ესეს წერის ტექნიკის დაუფლება არა მხოლოდ წერილობითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ბევრი სხვა ისეთი უნარის განვითარებასაც, რომლებიც საჭიროა ზოგადი განათლებისა და შემდგომი კარიერისთვის. ესეს წერა აუმჯობესებს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტაციის, სტრუქტურირებისა და თვითგამოხატვის უნარებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვს არა მხოლოდ სკოლაში სწავლის პერიოდში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

გვახსოვდეს, რომ წერის პროცესში თითოეული ნაბიჯი მნიშვნელოვანია და რაც უფრო დიდი გამოცდილება აქვს მოსწავლეს, მით უფრო დახვეწილი და ლოგიკური იქნება მისი ნამუშევარიც.

მეგი კავთუაშვილი

სასკოლო ფორმის მსოფლიო ტენდენციები

მოსწავლეთა ჩაცმულობის სტანდარტიზაცია უსაფრთხოების, სწავლაზე ფოკუსირებისა და თანასწორობის გარანტიად გამოიყურება, თუმცა არ არსებობს მყარი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ფორმა ნამდვილად ახდენს გავლენას განათლების ხარისხზე.

ქართულ სოციალურ ქსელში, ბოლო დროს, ხშირად განიხილება სასკოლო ფორმის შემოღების საკითხი. სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმების მომხმარებლები აქტიურად წერენ და საუბრობენ ფორმების დადებით და უარყოფით შედეგებზე.

სასკოლო ფორმის შემოღების მომხრეთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ იქ, სადაც ერთნაირი სამოსი აცვიათ ბავშვებს, ბულინგი არ არის, მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, უკეთ იქცევიან და უფრო თანასწორი გარემოა. მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტები კი ის გახლავთ, რომ ისინი ერთნაირ ჩაცმულობას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად მიიჩნევენ.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს საკითხი აწუხებთ. სასკოლო ფორმების შესახებ ათწლეულებია არგუმენტირებული დებატები მიმდინარეობს. საქართველოსგან განსხვავებით, მოწინავე ეკონომიკისა და განვითარებულ ქვეყნებში ამ თემაზე არაერთი მკვლევარი მუშაობს, რომლებიც სიღრმისეულად სწავლობენ ჩაცმულობის გავლენას მოსწავლეთა ქცევასა და მიღწევებზე.

არსებობს მცირემასშტაბიანი კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ იმ სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სადაც ფორმების ტარება სავალდებულოა, აღემატება სხვა სკოლების მოსწავლეთა სწავლის შედეგებს. თუმცა, ასევე, არსებობს უფრო სიღრმისეული ნაშრომები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ზემოთქმულ შედეგებს და განმარტავენ, რომ მაღალ აკადემიურ შედეგებს არა ტანსაცმელი, არამედ სხვა მოცემულობები განაპირობებს. **ცალკე აღებული სასკოლო ფორმა არ წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების საიმედო ბერკეტს.** მკვლევრების ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ სასკოლო ფორმას საზიანო გავლენა აქვს ბავშვების თვითშეფასებასა და სკოლისადმი მიკუთვნებულობაზე. ამერიკის ზოგიერთ შტატში ამ საკითხზე დავების სასამართლო განხილვის პრეცედენტებიც არსებობს. მომჩივანი პირები და ორგანიზაციები სასკოლო ფორმის დაწესებას განიხილავენ, როგორც ბავშვის გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.

ბოლოდროინდელმა მსხვილმასშტაბიანმა კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებლების, დირექტორებისა და მშობლების ნაწილს სასკოლო ფორმების მიმართ ნამდვილად გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ. 2022 წელს გამოქვეყნდა ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის გრძელვადიანი კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა, დაედგინა კავშირი სასკოლო ფორმებსა და ბავშვების ქცევას შორის. კვლევა 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მეხუთე კლასის ჩათვლით 6 320 მოსწავლე მონაწილეობდა. ამ ხნის განმავლობაში მასწავლებლები აფასებდნენ თითოეულ მოსწავლეს სამი განზომილების მიხედვით: ქცევითი პრობლემები მოსწავლეებში (როგორიცაა შფოთვა და სოციალური იზოლაცია), მიდრეკილება აგრესიისადმი, სოციალური უნარები. კვლევამ აჩვენა, საერთო ჯამში, სასკოლო ფორმებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია ქცევის სამი განზომილებიდან არცერთზე. ამით მკვლევრებმა დაადგინეს, რომ **სასკოლო ფორმა არ აუმჯობესებს ბავშვების ქცევას და უმეტეს**

შემთხვევაში, დადებით გავლენას არ ახდენს მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელზე. მცირე გამონაკლისს წარმოადგენდა დაბალშემოსავლიანი ოჯახების მოსწავლეთა წილი. ეს ერთადერთი ჯგუფია, სადაც დასწრების მაჩვენებელი წელიწადში ერთი დღით მაღალი იყო იმ სკოლებში, სადაც ფორმის ტარება სავალდებულოდ ითვლებოდა. მკვლევრებმა შეაფასეს ამ მოსწავლეების თვითშეფასების მაჩვენებლებიც. მოსწავლეებმა ისაუბრეს სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობაზე და აღწერეს ბულინგისა და სოციალური შფოთვის გამოცდილება. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო ფორმები არ იყო დაკავშირებული ბავშვებში ბულინგის ან სოციალური შფოთვის რაიმე განსხვავებასთან. ამავე დროს, მკვლევრები საუბრობენ ერთ საყურადღებო მიგნებაზე. უნიფორმის ტარების ვალდებულების მქონე მოზარდებმა სკოლისადმი მიკუთვნებულობის უფრო დაბალი დონე გამოავლინეს, ვიდრე მათ, ვინც სწავლობდა სკოლებში, სადაც ფორმის ტარება არ იყო სავალდებულო. ამ კვლევით, დღის წესრიგში დადგა კიდევ ერთი საკითხი, როგორიც არის, უკუეფექტი და ზიანი, რაც შეიძლება სასკოლო ფორმამ მიაყენოს მოსწავლეს.

სასკოლო ფორმების შემოღებას მთელ მსოფლიოში მკაფიო ადვოკატირებას უწევენ სამოსის მწარმოებელი კერძო კომპანიები. ამ დროისათვის ფორმის ერთი კომპლექტის ღირებულება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 25-დან 500 დოლარამდე მერყეობს. სასკოლო ტანსაცმლის წარმოებაში მსოფლიოში ცნობილი ატელიეებიც არიან ჩართული. ისინი ცალკეული სკოლისთვისაც ქმნიან დიზაინს და მასობრივ წარმოებაშიც მონაწილეობენ. ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, კერძო სექტორი აქტიურ რეკლამირებას უწევს სკოლაში ფორმების ტარებას. მათი დამკვეთების უმრავლესობაც კერძო სკოლები არიან, ვისთვისაც სამოსი სკოლის ბრენდინგის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ სამყაროში სასკოლო ფორმების გამოყენების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და დამოუკიდებელი ასოციაციებიც კი არსებობს, ევროპისა და ამერიკის სკოლებში უნიფორმის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 30-35%-ს არ აღემატება, მაშინ როცა აზიასა და აფრიკაში ფორმის ჩაცმა სავალდებულოა სკოლების 80-90 %-ში. საერთაშორისო კვლევებს თუ გადავხედავთ, მარტივად დავინახავთ, რომ ევროპული/ამერიკული განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება აზიური და აფრიკული განათლების ხარისხს. ეს ალბათ ყველაზე ნათელი დადასტურებაა, რომ სკოლის ფორმა პანაცეა არ არის.

უნიფორმის შესახებ დებატები მეტყველებს, რომ სასკოლო საზოგადოებას სურვილი აქვს, რთული საგანმანათლებლო გამოწვევების გადასაჭრელად მარტივი გადაწყვეტილებები იპოვოს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა ჩაცმულობის სტანდარტიზაცია უსაფრთხოების, სწავლაზე ფოკუსირებისა და თანასწორობის გარანტიად გამოიყურება, არ არსებობს მყარი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ფორმა ნამდვილად ახდენს გავლენას განათლების ხარისხზე.

ჭეშმარიტად ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომებს, რომლებიც საგანმანათლებლო გამოწვევების ძირეულ მიზეზებს ეხება.

წყაროები:

1. https://ehe.osu.edu/news/listing/school-uniforms-don-t-improve-child-behavior-study-finds
2. https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC8775910/

ლელა მაგოშვილი

წლიური განმავითარებელი შეფასება დაწყებით კლასებში

ამ ტიპის შეფასებას მასწავლებლები იყენებენ როგორც სწავლების პროცესში, კონკრეტული დავალების/ აქტივობის შესრულების შემდეგ, ისე სემესტრისა და წლის ბოლოს.

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე.

ამ ტიპის შეფასებას მასწავლებლები იყენებენ როგორც სწავლების პროცესში, კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შემდეგ, ისე სემესტრისა და წლის ბოლოს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი დაწყებითი საფეხურის გზამკვლევში (**გზამკვლევი – ქართული (I-IV)**) ჩაშენებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი (I-IV კლასები, გვ. 4).

გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით.

თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება 6 შედეგი. მოცემულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით (გვ. 11). შედეგი მოიცავს როგორც უნარებსა და ფაქტობრივ მასალას, ისე მიზანს/დანიშნულებას, რისთვისაც მოსწავლეს შეძენილი ცოდნა სჭირდება.

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I). 1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა;
- სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.

როგორ ვაფასებთ კონკრეტულ დავალებას/ აქტივობას?

ნებისმიერი წერითი/ზეპირი დავალების (შემოქმედებითი, შემაჯამებელი, სადიაგნოსტიკო

ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, როლური თამაში და ა.შ.) განმავითარებელი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს თემის ფარგლებში სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.

გთავაზობთ შეფასების სარეკომენდაციო ნიმუშს კონკრეტული დავალებისთვის.

გრძელვადიანი სამიზნე ცნებები: ტექსტი (ჟანრი); გრამატიკა (პრაქტიკული).

დავალების პირობა: გაიხსენე ლექსი „მზე და მთვარე“ და შექმენი კომიქსი.

შეფასების კრიტერიუმები:

ნამუშევარში, დიალოგურ ღრუბლებში ჩაწერე:

- რა ბრძანა თავმომწონე მთვარემ.
- რას ამბობს მზე. გამოკვეთე მისი ორი უპირატესობა.
- გადმოეცი სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.
- მართებულად გამოიყენე სასვენი ნიშნები.

დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკების საფუძველზე ვწერთ შესრულებული სამუშაოს ანალიზს, რა შეძლო/ვერ შეძლო მოსწავლემ.

ამგვარად ვწერთ ყველა დავალების განმავითარებელი შეფასების ანალიზს და საბოლოო შედეგებს ავსახავთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ინსტრუმენტში.

დავალება N 1. ანალიზი

	მოსწავლის სახელი, გვარი	სამიზნე ცნება – ტექსტი		სამიზნე ცნება – გრამატიკა	რეკომენდაცია
		დიალოგური ღრუბლებით წარმოაჩინა მზისა და მთვარის პოზიცია.	გადმოსცა სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.	მართებულად გამოიყენა სასვენი ნიშნები.	
		✓	✓	✓	
		✓	✓	✓	
		✓	✓	ნაწილობრივ	
		✓	✓	✓	
		ნაწილობრივ	✓	✓	
		ნაწილობრივ	ნაწილობრივ	✓	
		✓	✓	✓	
		✓	✓	✓	
		✓	✓	✓	
		✓	✓	ნაწილობრივ	

დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა	
სამიზნე ცნება	**შეფასების კრიტერიუმებსა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით მოსწავლემ უნდა შეძლოს:**
ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)	დიალოგური ღრუბლების დახმარებით წარმოაჩინოს მზისა და მთვარის პოზიცია. გადმოსცეს სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.
გრამატიკა (შედეგები: (I). 5, 6)	მართებულად გამოიყენოს სასვენი ნიშნები.

N	სახელი, გვარი	დავალება	მოსწავლის შედეგი			მასწავლებლის რეკომენდაცია
			ტექსტი	სიტყვიდან ტექსტამდე	გრამატიკა	1. წინადადების აგებისას ყურადღება გაამახვილოს გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვაზე. 2. მართებულად გამოიყენოს სასვენი ნიშნები.
1.		N 1	✓		✓	
		N 2		✓	ნაწილობრივ	
		N 3	✓		ნაწილობრივ	

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე.

წლის ბოლოს, ქართული ენისა და ლიტერატურის (I-IV) სტანდარტისა და მოსწავლის მიერ შესრულებული ყველა დავალების შედეგის გათვალისწინებით, ვწერთ საბოლოო განმავითარებელ შეფასებას. გთავაზობთ სარეკომენდაციო ნიმუშს.

	მოსწავლის სახელი, გვარი	მოსწავლეს შეუძლია	რეკომენდაცია
1.		**სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)** - კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა; - ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა (მეტ-ნაკლებად);	**ივარჯიშოს კითხვის ტექნიკის გასაუჯობესებ-ლად (ყოველდ-ღე ხმამაღლა იკითხოს მცირე მოცულობის ტექსტი).**

	მოსწავლის სახელი, გვარი	მოსწავლეს შეუძლია	რეკომენდაცია
		სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6) • მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით; • მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; • სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა (მეტ-ნაკლებად); **სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)** • სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება; • გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას; • სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება (მეტ-ნაკლებად); • მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.	**ყურადღება გაამახვილოს სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვასა და სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებაზე.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა, დაწყებითი საფეხურის (I-IV) გზამკვლევი (შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით)

ნესტან მიქაძე

ციფრული პედაგოგიკა - განათლების სისტემის გამოწვევა

განათლების სისტემა ისტორიული გარდაქმნის ზღვარზე დგას. ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური გამოწვევების ფონზე, მკაფიოდ იკვეთება პედაგოგიკაში ციფრული პედაგოგიკის ფუნდამენტურ დონეზე დამკვიდრების საჭიროება.

განათლების სისტემა ისტორიული გარდაქმნის ზღვარზე დგას. ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალური გამოწვევების ფონზე, მკაფიოდ იკვეთება პედაგოგიკაში ციფრული პედაგოგიკის ფუნდამენტურ დონეზე დამკვიდრების საჭიროება. თანამედროვე სწავლების პროცესი ვერ იქნება ეფექტური მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. ციფრული სწავლება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, აიმაღლონ სასწავლო პრაქტიკა, გამოიყენონ ინტერაქციული ინსტრუმენტები, პერსონალიზებული გზები და ვირტუალური პლატფორმები, რომლებიც მოსწავლეთა ჩართულობას, კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და კვლევით უნარებს გააძლიერებს. ტექნოლოგიების გამოყენება უნდა ეყრდნობოდეს საგნობრივ სტანდარტებს და ესგ-ის მიზნებს. მნიშვნელოვანია, არ შეიზღუდოს მოზარდის პიროვნული განვითარება, სოციალური ურთიერთობები და პირისპირ სწავლების მნიშვნელობა.

რა არის ციფრული პედაგოგიკა?

ციფრული პედაგოგიკა ინოვაციური ციფრული მეთოდებისა და კონცეპტუალური მიდგომების გამოყენებაა. მისი მიზანია ადაპტაციური და პერსონალიზებული სწავლების, ახალი შემოქმედებითი მეთოდების დანერგვის, სწავლის გამოცდილების გამდიდრებისა და შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ციფრული პედაგოგიკა განისაზღვრება, როგორც განათლების პროცესში ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გააზრებული ინტეგრაცია და მათი მიზნობრივი გამოყენება – თანამედროვე ეპოქის გამოწვევა, რომელიც განსაზღვრავს ციფრული განათლების არსსა და სტრუქტურას, ხაზს უსვამს ციფრული სასწავლო რესურსების როლს მოზარდის სწორად განვითარებისა და სწავლა-სწავლების ეფექტურობის ზრდაში. ციფრული პედაგოგიკა მიზნად ისახავს ისეთი პრაქტიკული მეთოდებისა და ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც გამოყენებულ ტექნოლოგიას სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილად გადააქცევს. ციფრული სწავლება უნდა გახდეს მოზარდის სრულყოფილი განვითარების ინტელექტუალური და შემოქმედებით შესაძლებლობა.

ლოგიკურია, რომ ციფრულ ეპოქაში პედაგოგიკა განიცდის ევოლუციას. სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების მზარდმა ინტეგრაციამ ტრადიციული სასწავლო პრაქტიკები გამოწვევების წინაშე დააყენა და ინოვაციებისთვის ახალი შესაძლებლობები შექმნა. პედაგოგი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე, იმისთვის, რომ მოახერხოს სწრაფად ცვალებადი სამყაროს საგანმანათლებლო გამოწვევებზე რეაგირება. **ასწავლო, გულისხმობს მუდმივ მზადყოფნას ახალი უნარების შეძენისთვის, ციფრული ინსტრუმენტების გაცნობისა და მათი პედაგოგიკაში გააზრებულად ინტეგრირებისთვის.**

ციფრული პედაგოგიკა პირდაპირ ეხმიანება **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს,** რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი „ციფრული მოქალაქის“ აღზრდაა – ისეთი პიროვნების, რომელსაც შეუძლია ტექნოლოგიური მიღწევების გააზრებული, ეთიკური და შემოქმედებითი გამოყენება სწავლაში, პროფესიულ საქმიანობასა და ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში. **ამ მიზნის განხორციელების საშუალებად ციფრული პედაგოგიკა გვევლინება ტრადიციული პედაგოგიკის ბუნებრივ გაგრძელებად, რომლის მთავარი ამოცანაა სწავლების ძველი მეთოდების ციფრულ რეალობასთან ადაპტირება.** იგი ეფუძნება დამკვიდრებულ პედაგოგიურ პრინციპებს, აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციებს და ხელს უწყობს აქტიურ სწავლებას, მოსწავლეთა ინდივიდუალურობისა და კოგნიტიური თუ სოციალური განვითარების მხარდასაჭერად.

ციფრული სწავლება აერთიანებს მრავალფეროვან ელემენტებს:

- **ციფრული რესურსები** – ინტერაქციული სიმულაციები, ვირტუალური ლაბორატორიები, საგანმანათლებლო ვიდეოები და თამაშები, რომლებიც შესასწავლ მასალას უფრო ვიზუალურსა და მარტივად აღსაქმელს ხდის;
- **ვირტუალური პლატფორმები** – ისეთი სივრცეები, როგორებიცაა Google, Classroom, Microsoft Teams, Moodle, Canva, tinkercad და სხვა, სადაც სწავლა მიმდინარეობს არა მხოლოდ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, არამედ კოლაბორაციულად;
- **მულტიმედია და ვიზუალიზაცია** – ტექსტის, სურათის, ხმისა და მოძრაობის კომბინაცია, რომელიც სხვადასხვა ტიპის აღქმასა და აზროვნებას უწყობს ხელს;
- **მონაცემთა გამოყენება** – სასწავლო პროგრესის ანალიზი, უკუკავშირის ავტომატური ფორმები, მონაცემებზე დაყრდნობით ინდივიდუალური საჭიროებების ამოცნობა.

ციფრული რესურსები ამაღლებს მოტივაციას და ცოდნას გარდაქმნის აქტიურ პროცესად. სწავლა-სწავლება ხდება უფრო მოქნილი; საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მოისმინოს ინფორმაცია, თავად შექმნას კონტენტი, ექსპერიმენტებით შეამოწმოს იდეები და გაუზიაროს სხვებს.

ციფრული სწავლება არ გამორიცხავს ტრადიციულ მეთოდებს – პირიქით, ის ქმნის ახალ სინთეზს, სადაც **წიგნი, ფიქრი და ციფრული გამოცდილება** ერთმანეთის გამაძლიერებელია. თანამედროვე პედაგოგისთვის გამოწვევა არ არის მხოლოდ ტექნოლოგიის ცოდნა, არამედ იმის გააზრება, **როგორ ვაქციოთ ეს ტექნოლოგია აზროვნების და შემოქმედების ინსტრუმენტად**.

რატომ გახდა საჭირო ციფრული სწავლება? ტერმინი „ციფრული პედაგოგიკა“ ხშირად გაიგივებულია მხოლოდ ონლაინგაკვეთილებთან ან დისტანციურ ფორმატთან, თუმცა, ეს აღქმა ზედაპირულია. ციფრული სწავლება ბევრად უფრო ფართო ცნებაა. ის მოიცავს ტექნოლოგიის გააზრებულ ინტეგრაციას სწავლა-სწავლების პროცესთან და ამაღლებს აზროვნების, შემოქმედებითობისა და თვითსწავლების უნარებს. ციფრული სწავლა არ არის უბრალოდ „ეკრანზე გადატანილი გაკვეთილი“, არამედ ახალი კულტურაა, სადაც სწავლა ხდება ციფრულ გარემოში, ციფრული ინსტრუმენტების საშუალებით და ციფრულ აზროვნებაზე დაყრდნობით. ციფრული სწავლება არის პასუხი იმ ცვლილებებზე, რომლებიც მთელმა სამყარომ განიცადა უსწრაფესი ტექნოლოგიური პროგრესით. თანამედროვე საზოგადოება ეყრდნობა ციფრულ კომუნიკაციას, მონაცემთა გაცვლას და ინფორმაციის მყისიერ დამუშავებას. ამ რეალობაში განათლება ვეღარ დარჩება უცვლელი, რადგან მოსწავლე უკვე ცხოვრობს გარემოში, სადაც **ინფორმაციის მოპოვება აღარ არის მთავარი სირთულე სირთულეს წარმოადგენს მისი გააზრება, შერჩევა და სწორად გამოყენება.** სწორედ ამ საჭიროებამ წარმოშვა **ციფრული პედაგოგიკის კონცეფცია**, როგორც **ცოდნის სამყაროს ახალი გზამკვლევი**.

ციფრული პედაგოგიკა ტექნოლოგიის მიღწევებს აერთიანებს თანამედროვე დიდაქტიკურ მიდგომებთან და XXI საუკუნის სწავლებისთვის ქმნის მოქნილ, ადაპტირებად ჩარჩოს. საგანმანათლებლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად ციფრული პედაგოგიკა იყენებს ციფრულ ინსტრუმენტებს. ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა ეფექტური, ინკლუზიური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

ციფრული პედაგოგიკა შეისწავლის საგანმანათლებლო პროცესების დიზაინს, განხორციელებასა და შეფასებას, სადაც ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება. ის მოიცავს ისეთი პირობების გააზრებას, რომლებიც განსაზღვრავს ამ პროცესების ეფექტურობას – სწავლების სინქრონულ და ასინქრონულ საშუალებებს ვირტუალურ და შერეულ სასწავლო გარემოში;

სწავლის მართვის პლატფორმებსა და ინსტრუმენტებს, ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებს, სხვადასხვა აპლიკაციისა და ციფრული ხელსაწყოს საგანმანათლებლო გამოყენებას, სწავლა-სწავლების ვირტუალურ ასისტენტებს, მასწავლებელთა ციფრულ კომპეტენციებს.

ციფრული პედაგოგიკის როლი უკვე ფართოდ არის აღიარებული განათლების სისტემაში. თუმცა, ციფრულ ინსტრუმენტებს აქვთ შეზღუდვები პიროვნების ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობისას, განსაკუთრებით სოციალურ-ემოციური ფაქტორებისა და პირისპირ სასწავლო გამოცდილების შენარჩუნებაში.

ციფრული სწავლება არის ინოვაციური შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, განივითაროს პროფესიული კომპეტენციები და უზრუნველყოს მოსწავლეებთან აქტიური, ღრმა და მიზანმიმართული ინტერაქცია.

ციფრული პედაგოგიკის პირობებში მასწავლებლის როლი არსებითად იცვლება. ამ ცვლილებას განსაზღვრავს გაკვეთილის ახალი ფორმატი, ტექნოლოგიური გარემო, მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები და თავად მასწავლებლის მუშაობის სტილი.

პედაგოგები ორ ძირითად მიმართულებად იყოფიან – ტრადიციული სწავლების დამცველებად, რომლებიც ხაზს უსვამენ გამოცდილებაზე დაფუძნებულ პრაქტიკას და პირისპირ ურთიერთობის მნიშვნელობას; ასევე, ციფრული სწავლების მომხრეებად, რომლებიც სასწავლო პროცესში ტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრაციას უჭერენ მხარს.

პედაგოგთა ნაწილი, უმეტესად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, ციფრულ ინსტრუმენტებს უფრო ბუნებრივად იყენებენ – ირჩევენ მოქნილ, მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. მათთვის ციფრული ინსტრუმენტები პერსონალიზებული და ინოვაციური სასწავლო გარემოს განუყოფელი ნაწილია. ეს თაობა უფრო კომფორტულად გრძნობს თავს ტექნოლოგიების სწრაფად ცვალებად გარემოში და მხარს უჭერს ციფრული რესურსების გამოყენებას მოსწავლეთა ჩართულობის, ადაპტირებისა და ინდივიდუალური სასწავლო გამოცდილების გასაძლიერებლად.

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილისთვის ციფრული პადაგოგიკა შესაძლებლობაა მრავალმხრივი ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენებისთვის, პროფესიული განვითარებისთვის, ისინი ხაზს უსვამენ ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობას ციფრულ ინსტრუმენტებსა და დამკვიდრებულ სასწავლო მეთოდებს შორის. ტექნოლოგიას ისინი აღიქვამენ როგორც ტრადიციული სწავლების გაუმჯობესების საშუალებას; აქცენტს აკეთებენ ციფრული რესურსების უსაფრთხოების გათვალისწინებაზე.

დღევანდელ სკოლას უნდა ჰქონდეს თაობებს შორის ხიდის ფუნქცია – სასწავლო სივრცე უნდა იყოს ღია და ინკლუზიური, სადაც სწავლა, თანამშრომლობა და ექსპერიმენტები ბუნებრივად მიმდინარეობს. ასეთ გარემოში სხვადასხვა თაობისა და შეხედულებების პედაგოგებს შეუძლიათ გაუზი-

არონ ერთმანეთს ხედვები, ერთობლივად ჩამოაყალიბონ პიროვნული ზრდისა და მნიშვნელოვანი განვითარებისათვის საჭირო ღირებულებები.

ციფრული პედაგოგიკა საშუალებას აძლევს პედაგოგებს:

- მოსწავლეებს შესთავაზონ პერსონალიზებული და ადაპტირებადი სასწავლო გზები, რომლებიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ ინტერესებსა და ტემპს;
- ხელი შეუწყონ პრობლემების გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას ინტერაქციული დავალებებისა და კვლევითი პროექტების მეშვეობით;
- მოსწავლეებისთვის შექმნან ახალი შესაძლებლობები, რეალურ სამყაროში არსებული აპლიკაციებისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების საშუალებით;
- განავითარონ თანამშრომლობა ჯგუფურ და ქსელურ გარემოში, სადაც მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან ცოდნას;
- გამოიყენონ მონაცემთა ანალიზი და უკუკავშირი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად და ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგისთვის;
- სწავლებისას გააძლიერონ შემოქმედებითი მიდგომა – ვირტუალური ლაბორატორიების,

სიმულაციებისა და მულტიმედიური რესურსების გამოყენებით;

- მოამზადონ მოსწავლეები ციფრული მოქალაქეობისათვის, პასუხისმგებლობიანი, ეთიკური და უსაფრთხო ონლაინ ქცევის ჩამოსაყალიბებლად;
- გააძლიერონ საკუთარი პროფესიული განვითარება ციფრული პლატფორმების, ონლაინ-კურსებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების გზით.

ამ დინამიკური მიდგომის მეშვეობით ციფრული პედაგოგიკა უზრუნველყოფს ჩარჩოს ტრადიციული სწავლების მეთოდების განვითარებისთვის, რათა დააკმაყოფილოს XXI საუკუნის საკლასო ოთახის მოთხოვნები.

ციფრული პედაგოგიკა უზრუნველყოფს კოგნიტიურად მდიდარ სასწავლო გარემოს, სადაც ერთიანდება აქტიური ჩართულობა, კვლევა და დამოუკიდებელი აზროვნება. ეფექტური სწავლებისთვის საკმარისია არაა მხოლოდ ტექნოლოგიური კომპეტენციები – მასწავლებელმა ინტეგრირებულად უნდა გამოიყენოს **TPACK მოდელი - საგნობრივი ცოდნა, მეთოდიკა და ტექნოლოგია**, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ცოდნა გაიღრმაონ პრაქტიკული გამოცდილებით და სწავლების პროცესი გახდეს მაქსიმალურად ეფექტური.

ბევრი პედაგოგი მიიჩნევს, რომ ციფრული პედაგოგიკა გარკვეულ რისკებს ქმნის მოსწავლეთა სოციალური და ემოციური განვითარების თვალსაზრისით. მათი აზრით, პირისპირ კომუნიკაცია, თანაგრძნობა და თანამშრომლობა ვერ განვითარდება, თუ ტექნოლოგიასა და ტრადიციულ სწავლების მეთოდებს შორის არ იქნება ჯანსაღი ბალანსი – **ციფრული ტექნოლოგია უნდა იქცეს დამხმარე ინსტრუმენტად**, რომელიც გაამდიდრებს საგაკვეთილო პროცესს, გაზრდის საკლასო ინტერაქციას, მიიპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას და ხელს შეუწყობს აქტიურ ჩართულობას.

ვირტუალური პლატფორმები, სიმულაციები და თანამშრომლობითი პროგრამული უზრუნველყოფა ქმნიან პერსონალიზებულ და მოქნილ სასწავლო გარემოს, რომელიც სასწავლო პროცესს ახალ შესაძლებლობებს აძლევს. თუმცა, მხოლოდ **ციფრული კონტენტი** ვერ უზრუნველყოფს პიროვნულ ზრდას და მაღალი საარზროვნო უნარების განვითარებას. იგი **უნდა იყოს მხარდაჭერილი პირისპირ, აქტიური და ინტერაქციული პრაქტიკით.** ტექნოლოგია უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც მხარს უჭერს სწავლა-სწავლების ეფექტურობას.

ტრადიციული სწავლების მეთოდები ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე საჭიროებებს: მოსწავლეებს სჭირდებათ კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, ინოვაციურობის, პრობლემების გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება კი კვლავ გამოწვევად რჩება, რადგან **ბევრი პედაგოგი მათი გამოყენებისას თავს კომფორტულად ვერ გრძნობს**.

ციფრული პედაგოგიკის მომავალი ტენდენციები მიუთითებს პერსონალიზაციის გაზრდაზე და ისეთი ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე, როგორებიცაა **ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური რეალობა და ადაპტური სწავლების სისტემები.**

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ ემოციური ინტელექტი და ადაპტური სწავლება მომავალშიც სერიოზული მსჯელობის საგანი იქნება,რადგან არსებობს საშიშროება ციფრული ინსტუმენტების უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება **შეასუსტოს ადამიანური ურთიერთობები, ვერბალური კომუნიკაცია, ემოციური მხარდაჭერა და განათლების ყველა სოციალური ფენისთვის ხელმისაწვდომობა.**

ლოგიკურია, უახლოეს მომავალში **მასწავლებლების როლი უფრო მეტად მენტორის, ხელმძღვანელის, ციფრული კონტენტის დიზაინისა და ეთიკური პასუხისმგებლობისკენ გადაინაცვლებს**. მასწავლებელი არ იქნება მხოლოდ ცოდნის გადამცემი, ის გახდება მრავალგანზომილებიანი საგანმანათლებლო ლიდერი, რომელიც მართავს ციფრული სწავლების პროცესს. ადაპტაცია რთულია, მაგრამ **პედაგოგის ვალია, ამ ტრანსფორმაციაში დაიკავოს საკუთარი განსაზღვრული ადგილი.**

თუ წარსულში სკოლა იყო ცოდნის მთავარი წყარო, **დღეს ის უნდა იქცეს სივრცედ, სადაც მოსწავლე სწავლობს ინფორმაციასთან მუშაობას, კრიტიკულ, ანალიტიკურ და შემოქმედებით აზროვნებას.** ტექნოლოგიების ინტეგრაცია ამ მიზნის მისაღწევად გარდაუვალია. ციფრული რესურსები არა მხოლოდ ამარტივებს დასწავლას, არამედ მას ინტერაქციულსა და დინამიკურს ხდის.

დღევანდელი მოსწავლე მომავალში იცხოვრებს სამყაროში, სადაც ციფრული კომპეტენციები იქნება ყველა პროფესიის საფუძველი. უკვე დღეს, მრავალი სფერო მოითხოვს მონაცემთა გაანალიზების, პროგრამების გამოყენების, ციფრული კომუნიკაციისა და შემოქმედებითი ტექნოლოგიური აზროვნების უნარს. ამიტომაც, სკოლა აღარ შეიძლება იყოს მხოლოდ ცოდნის მიმწოდებელი - ის უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლე სწავლობს, როგორ იცხოვროს და იმუშაოს ციფრულ რეალობაში.

ციფრული სწავლება საჭირო გახდა არა როგორც მოდური ტენდენცია, არამედ როგორც განათლების განვითარების მომავალი. ის **პასუხობს დროის გამოწვევას და ამზადებს ახალ თაობას სამყაროსთვის, რომელიც უკვე ციფრულია.**

ციფრული სწავლების უპირატესობები

ციფრული სწავლება თანამედროვე განათლების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მოქნილი ინსტრუმენტია. სწავლა აღარ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ საკლასო ოთახს, დროს ან ფორმატს – ცოდნა ხელმისაწვდომი ხდება ყველგან და ყოველთვის. ტექნოლოგია არღვევს გეოგრაფიულ და დროის ბარიერებს, სწავლების ორგანიზაციული მხარე და აზრი ფართოვდება, ხოლო რესურსები ყველასთვის ღიად ხელმისაწვდომი.

ციფრული სწავლების მთავარი უპირატესობაა ინდივიდუალური სიჩქარე და პერსონალიზაცია. ტრადიციულ გაკვეთილზე, უმეტეს შემთხვევაში, ყველა ერთ ტემპს უნდა მიყვეს, მაშინ, როცა ციფრულ გარემოში მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სწავლის რეჟიმი და დრო თავად განსაზღვროს. ეს საშუალებას იძლევა სწავლება გახდეს პროდუქტიული და წარმატებული.

ტექნოლოგიები ქმნიან მრავალმხრივ და ვიზუალურად მდიდარ სასწავლო გამოცდილებას. სხვადასხვა საგნის, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნების საკითხები გაცილებით ცხადი ხდება, როცა მოსწავლე ხედავს პროცესს ან თვითონ ატარებს ვირტუალურ ექსპერიმენტს. მულტიმედიური რესურსები ხელს უწყობს აბსტრაქტული ცნებების ვიზუალიზაციას და რთული იდეების უფრო სიღრმისეულ გააზრებას.

ასევე, მნიშვნელოვანია, მოტივაციის ამაღლება და თვითსწავლების ხელშეწყობა. ციფრული გარემო მოსწავლეს აძლევს თავისუფლებას - თავად აირჩიოს პრიორიტეტები და შეაფასოს საკუთარი პროგრესი. ასეთი გამოცდილება აყალიბებს სწავლის ისეთ კულტურას, სადაც მოსწავლე აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის მიმღები, არამედ აქტიური შემოქმედი.

ციფრული სწავლების მთავარი უპირატესობაა თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება. მოსწავლე ხედავს, როგორ ტრანსფორმირდება რეალურ ცხოვრებაში მეცნიერება, მონაცემები და ტექნოლოგია; სწავლა გარდაიქმნება აქტიური აღმოჩენის, ინტერპრეტაციისა და შემოქმედებითი ჩართულობის პროცესად, სადაც მოზარდი თავად ქმნის ახალ ცოდნას.

გამოწვევები და საფრთხეები – რეკომენდაციები

ციფრული სწავლება თავისი უპირატესობების მიუხედავად, ისეთივე სერიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს, როგორ შესაძლებლობებსაც ქმნის. ტექნოლოგიების ინტეგრაციას განათლებაში მოაქვს არა მხოლოდ კომფორტი, არამედ ახალი გამოწვევებიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასწავლებელს და მოსწავლეს ჯერ კიდევ არ აქვთ გამოკვეთილი ციფრული კულტურა.

ერთ-ერთი **მთავარი სირთულე არის მასწავლებლის ციფრული კომპეტენციის დეფიციტი.** ტექნოლოგიური ინსტრუმენტის ფლობა არ ნიშნავს მის პედაგოგიურად გააზრებულ გამოყენებას. ხშირად მასწავლებელი იცნობს პლატფორმებს, მაგრამ უჭირს მათი სწავლების მიზნებთან დაკავშირება. ამიტომ, **აუცილებელია ამ მიმართულებით პედაგოგთა უწყვეტი პროფე-**

ციფრული პედაგოგიკა ინოვაციური ციფრული მეთოდებისა და კონცეპტუალური მიდგომების გამოყენებაა. მისი მიზანია ადაპტაციური და პერსონალიზებული სწავლების, ახალი შემოქმედებითი მეთოდების დანერგვის, სწავლის გამოცდილების გამდიდრებისა და შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სიული განვითარება - არა მხოლოდ ტექნიკური ცოდნის, არამედ ციფრული პედაგოგიკის და ეთიკური ხედვის გასაძლიერებლად. ციფრული სწავლება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი ტექნოლოგიურ გარემოში თავს გრძნობს კომფორტულად, თავისუფლად და შემოქმედებითად.

სერიოზული გამოწვევაა აგრეთვე, ინფორმაციული გადატვირთვა. ონლაინსივრცეში ინფორმაცია უსასრულოა. ეს მრავალფეროვნება ხშირად იწვევს დაბნეულობასა და ზედაპირულ აღქმას. მოსწავლემ უნდა ისწავლოს ინფორმაციის კრიტიკული შერჩევა, წყაროების სანდოობის შეფასება და ძირითადი აზრის გამოკვეთა – აიმაღლოს მედიაწიგნიერების კულტურა. აქ **პედაგოგის როლი შეუცვლელია - სწორედ მას შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს ინფორმაციული ნაკადების დახარისხებასა და გააზრებაში.**

ციფრული გარემოს ერთ-ერთი საფრთხეა, ასევე, სოციალური ურთიერთობების შემცირება. ეკრანთან გატარებულმა დრომ შესაძლოა, შეამციროს ემოციური კომუნიკაცია და თანამშრომლობის განცდა. აუცილებელია ტექნოლოგიის გამოყენება ისეთი ფორმებით, რომლებიც ინარჩუნებს ადამიანურ კონტაქტს – ჯგუფური პროექტები, ერთობლივი ონლაინ-დისკუსიები და ცოცხალი უკუკავშირი ქმნის ბალანსს ვირტუალურ და რეალურ ურთიერთობებს შორის.

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ტექნიკური და ეთიკური საკითხებიც - ინტერნეტთან წვდომის უთანასწორობა, პირადი მონაცემების დაცვა, ავტორობის პატივისცემა. ამ პრობლემების გამკლავება მოითხოვს სკოლების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის ცნობიერების ამაღლებას.

ციფრული პედაგოგიკის წარმატება სწორედ ამ ბალანსშია – ტექნოლოგიის გონივრულ გამოყენებასა და ადამიანურ ღირებულებათა შენარჩუნებაში. ტექნოლოგია უნდა იყოს არა მიზანი, არამედ საშუალება. პედაგოგი – არა სისტემის მომხმარებელი, არამედ მისი შემოქმედი; ხოლო მოსწავლე – არა მხოლოდ მსმენელი, არამედ აქტიური მონაწილე.

ციფრული სწავლება არ არის მხოლოდ გარემოებების შედეგად მიღებული აუცილებლობა – ის იქცა შესაძლებლობად, რომელიც გვაძლევს სწავლა-სწავლების ახალი სისტემის შექმნის შანსს. ტექნოლოგიის გააზრებული გამოყენება ცვლის არა მხოლოდ სასწავლო ფორმატს, არამედ სწავლების ფილოსოფიასაც: **ცოდნა იქცევა ერთობლივი აღმოჩენის პროცესად, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე თანასწორად მონაწილეობენ შემეცნებაში.**

ამ კონტექსტში პედაგოგის როლი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება – მას აღარ შეუძლია დარჩეს, როგორც მხოლოდ ცოდნის გადამცემი. ციფრული ეპოქის პედაგოგი ხდება გზამკვლევი, ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს კითხვების დასმაში, ინფორმაციის გააზრებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ტექნოლოგია მას ვერ ჩაანაცვლებს, პირიქით, გააძლიერებს, მისცემს შესაძლებლობას, დანერგოს ინოვაციური სასწავლო მეთოდები, სტრატეგიები და შექმნას თანამედროვე სწავლების შესატყვისი ფორმატი.

სწორად გამოყენების შემთხვევაში, ციფრული პედაგოგიკა სინთეზურად აერთიანებს ტრადიციულს და თანამედროვეს – **წიგნს, ფიქრსა და ტექნოლოგიას;** არ ამცირებს სწავლების არსს, არამედ მატებს მას ინტელექტუალურ სიღრმეს და პედაგოგიურ შესაძლებლობებს. ციფრული სწავლება არის ინოვაციური შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, განივითაროს პროფესიული კომპეტენციები და უზრუნველყოს მოსწავლეებთან აქტიური, ღრმა და მიზანმიმართული ინტერაქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. rb.gy/z6j03t
2. rb.gy/ykhhjf
3. rb.gy/0vj1lo
4. rb.gy/5pns01
5. rb.gy/h6ho69
6. rb.gy/1xggws
7. rb.gy/9k6a2k

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge